

საქართველო  
1978



# საბჭოთა სელოვნება

1978 6



6/1978

# საბავშვო სტუდიები

## შინაარსი

ილია შავვაშვაძე — 140

|  |     |
|--|-----|
| ახრთლდ ჩიქოვავა —<br>ილია შავვაშვაძე და სალიტიკატორო კარტული იმის<br>მეტიანობის საკითხი      | 2   |
| აკაკი გაწერელია —<br>ფიქრი მასწავლებელი  | 6   |
| ვახილ კიკნაძე —<br>ილია შავვაშვაძე და კარტული თეატრის ძირითადი<br>კრებლები                   | 11  |
| დავით შულღიაშვილი —<br>ილია შავვაშვაძის იკონოგრაფიული ფონდი ლიტ-<br>რატურულ მუშაუბრებში      | 21  |
| შალვა მარკოზაშვილი —<br>ილია და მისი თეორიები  | 24  |
| ირინე მერაბიშვილი —<br>ილია შავვაშვაძის ნაწარმოებთა ილუსტრირების ის-<br>ტორიისათვის          | 26  |
| ინებოვიძე. ილია შავვაშვაძის სალ-მუშაუბრი თე-<br>ორიები                                       | 32  |
| კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკო-<br>ნანობი                                       | 35  |
| ედუარდ ხიზარულიძე —<br>კულტურის დაწესებულებანი — ხუთწლიანი სასახურები                        | 36  |
| აბესლომ კალანდარიშვილი —<br>კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა თანამედროვე<br>მეთოდებით დონეში | 44  |
| ლევან ფრუძე —<br>რუსეთის კრებულები კრებულებად რჩება  | 52  |
| ირინე ძუცუვა —<br>კარტული მხატვრული სარწმუნოების მუშაობა                                     | 55  |
| ინებოვიძე. საკარტული კომპოზიციის ისტორიის მუ-<br>შაუბრი                                      | 58  |
| ციხანა კუხიანიძე —<br>კარტული თეატრალური მხატვრობა   | 60  |
| ფოტოგრაფიული „საქართველო“ აქტი წლისაა  | 66  |
| ნოდარ გურაბანიძე —<br>რემონტისთვის თანამედროვეობა და კლასიკის პერო-<br>ნული სულისკვეთება     | 68  |
| გიორგი ხუბიაშვილი —<br>კარტული მხატვრობის დღევანდელი დღე                                     | 79  |
| ბაჩანა ბრეგვაძე —<br>გალერეის პასაჟი   | 86  |
| ალექსი არღუნი —<br>მუშაობა ლაშქარში (პიესა)  | 94  |
| ბრონიკა  | 112 |

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
ხელოვნების დეპარტამენტი

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
მედიცინა

მთავარი რედაქტორი  
თამარ პილავა  
სამედიცინო კომისია:  
აკაკი ზაქარაძე  
მხატვრული კომისია:  
გუგუშვილი თინათინა  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
ნოდარ გაბუნია  
მუსიკის კომისია:  
ნოდარ მგალობლიძე  
ხელოვნების დეპარტამენტი:  
გიორგი მარტოვიძე  
ნათელა ურუშაძე  
რედაქციის მდივანი:  
ანდრონოვიძე  
ილია შავვაშვაძე  
ნოდარ გაბუნია

# ილია ჭავჭავაძე — 140

„მარალ და ყველან, საპართევლოვ, მი მარ შენთანა...“  
ილია

## ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი

არნოლდ ჩიქობავა

ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვან საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ქართული ენის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა.

ორი საკითხია აქ მთავარი: პირველი, ესაა ერთი სალიტერატურო ენის საკითხი, შემდეგ — ერთიანი ხალხური სალიტერატურო ენის საკითხი.

ერთი სალიტერატურო ენის საჭიროება ილია ჭავჭავაძემ, ჯერ სრულიად ახალგაზრდად, დაიცვა ვასული საუკუნის სამოციან წლებში (ანტონ კათალიკოსის მიძღვერებთან ცხარე კამათში).

ერთიანი სალიტერატურო ქართულზე ზრუნვა ილია ჭავჭავაძის მთელი შემდგომი მოღვაწეობის სავანი იყო. ილია ჭავჭავაძის ყურადღების გაერზე არ დარჩენილა სალიტერატურო ენის ყოფიერების არც ერთი არსებითი საკითხი, იქნება ეს ერთიანი ნაწარმოების დადგენა, ტერმინოლოგიის დამუშავება, თუ ლექსიკონის შედგენა.

და მინც, ყველაზე დიდი ამაგი სალიტერატურო ქართულ ენას ილია ჭავჭავაძემ დასდო თავისი შემოქმედებით, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა და პუბლიცისტმა

\* \* \*

ერთი ენის საკითხი სპეციფიკურმა ვითარებამ გააჩინა: ქეთვარამეტე საუკუნეში გავრცელებული იყო სამი სტილის თეორია, ის მოითხოვდა სალიტერატურო ენა გავრჩიათ იმის მიხედვით, თუ რა საგანს ეხებოდა მსჯელობა: რელიგიისა და ფილოსოფიის საკითხებისათვის დაწესე-

ბული იყო აღზევებული (მაღალი) სტილი. (მეცნიერებს დარბაისლური სტილი შეეფერებოდა, კომედია — მდაბიური, სისაუბრო).

მაღალ მატერიებზე ჩვეულებრივი ენით ლაპარაკი და წერა ნორმის შეუწყნარებელ დარღვევად მიიჩნდათ (ისევე, ვთქვათ, როგორც დაუშვებელია საზეიმო სხდომაზე თუ დარბაზობაზე საშინაო ტანსაცმლითა და ფლოსტებით მისვლა).


როგორც ცნობილია, ამხანაგ-მეგობრებთან საუბარი და საჯარო გამოხსლა, დადგენილების ტექსტი და კრიტიკული წერილის ტექსტი, ახლაც განსხვავდება სტილის მიხედვით:

სამი სტილის თეორია ასეთ სხვაობას როდი გულისხმობდა: უნდა შეეთხოზათ ენისათვის უცხო, ხელოვნური საშუალებანი, რომ გაერჩიათ მაღალი სტილი (სხვა ორისაგან), „თეს სახელისა“ („სახელისათვის“). „მებრ კაცი-სა“ (მდრ. „კაცისამებრ“), „მეპირველ“ („პირველისა“ ნაცვლად) და ა. შ.

წიგნიერ კაცს მოეთხოვებოდა ამგვარ რამეებში ყოფილიყო გაწაფული.

მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებულ მთელი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა სამი სტილის ეს ხელოვნური თეორია და ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივ განვითარებას აბრკოლებდა.

ვასული საუკუნის მესამოცე წლებში მწვავედ დაისვა საკითხი: ხელოვნურად გარჩეული სამი ნაირსახეობა — თუ ერთი სალიტერატურო ენა უნდა გვექონდეს... თუ ერ-



თი. რაგვარი: აღზევებული, დარბაისლური თუ „მდაბი-ური“ (ესე იგი, ხალხურზე დამყარებული).

საკითხი გადაწყდა ერთი ენის სასარგებლოდ, და ეს ერთი ენა უნდა ყოფილიყო ხალხის ენა: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ-თეორეტიკაო“ (ე. ი. ჩიტორიკის ნორმები); ეს იყო ილია ჭავჭავაძის დებულება და ამ დებულებამ გაიმარჯვა!

1 დამწერლობით ამის შესახებ საუბარი გვაქვს წერილში: ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“ (ენიკის მოამბე, ტ. II, 1937, გვ. 15-23), აგრეთვე შრომაში: „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“ — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, გვ. 20-25.

ამ დებულების შესაბამისად ქართული ანბანიდან ამო-იღეს ზედმეტი ასოები: კ, ვ, ჟ, ზ. ამ ნიშანთა შე-საბამისი ბგერები აღარ იხმარებოდა სალიტერატურო მეტყველებაში; ასოები კი დარჩა. და ამით დაირღვა ქა-რთული მართლწერის ძირითადი პრინციპი: ყოველ ბგე-რას თავისი ნიშანი (ასო) მოეპოვება, ყოველი ნიშანი (ასო) მხოლოდ ერთ ბგერას აღნიშნავს.

ზედმეტი ასოების ამოღებამ ქართული ანბანისა და პართლწერის ძირითადი სიკეთე აღადგინა თავის უფლე-ბეშში.

სალიტერატურო ქართული ენა უნდა იყოს ერთი და ერთ ენას ხალხს ენა უნდა წინამძღვრობდესო.

მაგრამ სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთიანი, რომ სათანადოდ მოემსახუროს კულტურას, რომლის პროდუქტიც ის არის და რომლის წინსვლის იარაღადაც ის ივარაუდება.

რა ურთიერთობაშია ეს ორი საწყისი: სალიტერატურო ენის ხალხურება და მისი ერთიანობა?

ეს ცხადი გახდება, თუ გავარკვევთ, რასაც გულისხმობს თითოეული მათგანი.

სალიტერატურო ენის ერთიანობის პრინციპი ნათელია. ერთიანობა მოითხოვს ერთგვარობას იქ, სადაც სიტყვლე ენას დაძაბუნებდა, მაგრამ ერთიანობა ნაირგვარობას იგუვებს იქ, სადაც სხვადასხვაგვარობა სიმდიდრეს ნიშნავს, ერთგვარობა კი სიღარიბის მომასწავებელი იქნებოდა.

ორიოდე მაგალითი: მტკაცედ და მტკიცეთ... შეგნებულად და შეგნებულათ... საქვეყნოდ და საქვეყნოთ... ვხნავლით და ვხნამდით... გაუტეხია და გაუტეხინა... უთქვამს და უთქვია... მსგავსი და მზგავსი... აქამდე და აქამდე. აქამდის, აქამდინ..

ნაცნობი შემეკითხა და ნაცნობმა შემეკითხა... მეგობარი დამპირდა და მეგობარმა დამპირდა...

ეს პარალელური ვარიანტები უფუნქციოა და ურგენი, რაც უფრო მეტია ასეთი ვარიანტები, მით უფრო ურელი და დაუძუმწავებელი იქნება სალიტერატურო ენა: ასეთ შემთხვევაში ერთი ვარიანტიღაა საჭირო.

სხვაგვარი ის შემთხვევები, როდესაც ვარიანტს თავისი ფუნქცია აქვს: ხალხს ზნე-ჩვეულება.. ხალხური სიმღერა... სახალხო მატარებელი — ყველას თავისი ადგილი აქვს, ყველა საჭიროა... ისტორიული მნიშვნელობა... მაგრამ: საისტორიო საზოგადოება... ისტორიის ფაქტურტი... ასევე: „ლიტერატურის (ანდა: სალიტერატურო) გაზეთი“ და არა „ლიტერატურული გაზეთი“...

„მგზავრი დამავდა (ავარიის დროს)“... „სოფლის მეურნეობა დაზარალდა (წყალდიდობისაგან)“... „შენობა დაზიანდა (მიწისძვრის დროს)“: ქართულში ამ ზმნებს გარჩევითი ხმარება უნდა (რუსული ერთ ზმნას ხმარობს, пострадали... ქართულად თარგმნისას ზოგი გაზეთიც ერთ ზმნას ხმარობს — „დაზარალდაო“...)

ხალხურობის პრინციპს მეტი სიორთულე ახლავს. ხალხური ენა დიალექტების სახით არსებობს: დიალექტებთან ურთიერთობის საკითხი ყოველი სალიტერატურო ენის წინაშე დგას. ზოგი დიალექტი სალიტერატურო ენასთან ყველა სხვაზე უფრო ახლოსაა: ესაა საყარდენი ფუძე დიალექტი. სხვა დიალექტთან კავშირი არაა გამორიგებული, მაგრამ მასაზროლებელ წყაროდ სალიტერატურო ენისათვის, პირველ ყოვლისა, საყარდენი დიალექტი გვევლინება.

ეს ენება ყველა სალიტერატურო ენას. თუ ახალი სამწერლო ენა გვაქვს, სალიტერატურო ენისა და საყარდენი

დიალექტის ურთიერთობა შედარებით მარტივად ურთიობას ერთი განზომილებადა აქვს. როდესაც ენას ძველი მწერლობა აქვს, ურთიერთობა რთულია. სალიტერატურო ენის ფაქტები უნდა გაჩვიოლოთ ორგვარად. ე. ი ორი განზომილებით, ერთაა — მართება საყარდენ დიალექტთან, მეორეა — მიმართება სალიტერატურო ენის ტრადიციასთან.

ეს ნიშნავს: ყოველი სადაო საკითხის მოგვარება ძველი მწერლობის მქონე ენაში უფრო რთულია, ვინემ იმ შემთხვევაში. როცა სალიტერატურო ენას მხოლოდ საყარდენ დიალექტთან მიმართების საკითხი უდგას.

სალიტერატურო ენის პრესტიჟი დიალექტთან შედარებით ისე მაღლა დგას, რომ გვაიწყობება ცოცხალი დიალექტური მეტყველების როლი: ის საზარდოებს სალიტერატურო ენას.

სამაჩისი ეს მასაზარდობელი წყარო დაშრეს, და სალიტერატურო ენის მზეც ჩაესკენება.

ილიოსი კეისრის დროს ლათინური, დახვეწილი კლასიკური საშეწერლო ენა ნიპუს წარმოადგენდა. მაგრამ ამ დახვეწილობამ ვერ შეუნარჩუნა მას საცოცხლო, როდესაც ხალხურმა ლათინურმა შეწყვიტა არსებობა.

შუა საუკუნეებში, მაინცდამაინც მათე საუკუნეების, ლათინური ენა ერთადერთი საშეწერლო ენა იყო მთელ დასავლეთ ევროპისათვის, მაგრამ ლათინური ენა არავისთვის იყო დედა-ენა; ზეპირი ხალხური მეტყველება მას აღარ ასაზრდობდა და სასიცოცხლო ძალას აღარ პატავდა. ლათინური სალიტერატურო ენა ხელოვნური საცოცხლო ცოცხლობდა... და ქვეითდებოდა: „ოქროს ლათინური“ (ილიუს კეისრის, ტიტ დივიუსის, ციკერონისა და ვირგილიუსის თხზულებათა) შეცვალა „ვერცხლის ლათინურმა“ (შედეგ კი მან „სხილენის ლათინურის“ სახელწოდება დამსახურა).

„ხალხია ენის კანონის დამდებო“, ილია რომ ამბობს, ანით იმ ცოცხალი მეტყველების ძალა და მნიშვნელობაა ხალხლები, ურომლისოდაც წიგნის ენა დღემოცუ იქნებოდა.

ქართული სალიტერატურო ენისათვის ესაა ქართლურ-კახური, როგორც ფუძე დიალექტი, უფრო ზედმიწევნით, ის საერთო, რაც ქართლურ-კახურში გვაქვს და სალიტერატურო ქართულის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ტრადიციას ეკუთვნის, სალიტერატურო ქართულის განვითარების მაგისტრალურ ხაზს შეესაბამება.

ამ ხალხური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიაში ისეთი მოვლენებიც გამოვლინდება, რომელთაც სალიტერატურო ენის კუთვნილება ვერ მივიჩნევთ. (მაიტანა, იწყობს. ხნამდინა... მაგრამ დიქსიკა და ფრაზოლოგიზმები ძარღვიანია ქართულის ნიშნავს იძლევა.

ამ „ხალხური“ ენით დაიწერა ქართული პროზის შედევრი „ოთარანთ ქვირივი“, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, პირველი წიგნი, რომელსაც ქართველი ბავშვაგელში იღებს.

ილია ქავკავაძის პუბლიცისტური წერილებიც ამ მხრივ სანიშნავია. გაზეთის მეთოთხი, რომლითაც ილია ქავკავაძე ეგებება ახალ, მეოცე საუკუნეს, იწყება ასე:

„ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისაა. ამ ახალ საუკუნეს ჭერ არა ეთქმის რა. გარდა იმისა, რომ შემოვლი



ეები, გწყალობდით ღმერთით, წარსულში საუკუნემ. რომელმაც გზა... დაუთმო ახალ საუკუნეს, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერებას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სისწული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა მთელს დანარჩენს თვამეტ საუკუნეს არ უნახავს.

ვინ მოსთავის ყოველ იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლივინა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი რა წოდებათა კიბის სადებურზედაც გინდ იდგეს, მინაც ადამიანია და ვითარცა ადამიანი, ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემბატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი, დიდს ხიისაჲან (!) მოიხი. მაგრა? ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განაღდა, გააძლიერა, გააფართოვა, და, დაუდგარა მეცნიერულ საბუთი, დარბითა და უძლურთა სამწყო მოძღვრებად გარდააქცია.

ასეთი სავანეთი წერილის ენა ილია ჭავჭავაძისა. ხალხური თუ არა, ხალხურთან მტკად ახლო და ადვილი გასაგები.

\* \* \*

სალიტერატურო ქართულში ფონეტიკა-მორფოლოგიის ნორმათა საკითხი ილია ჭავჭავაძის (დროსაც იღვა. 1868 წლის 8 მარტს „ივერიის“ რედაქციაში ილია ჭავჭავაძეს მოუწვევია სხდომა „განახილველად საგრაამტკიო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად“.

ივარაუდებოდა ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა:

1. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან („დიდი წყალობით“ --- „დიდის წყალობით“), აგრეთვე ნათესაობისა და მოთხრობითში...
2. „კაცად“ თუ „კაცათ“... „უკანონო“ თუ „უკანონოდ“...
3. „მის პრეფიქსთა ხმარება: „მიყიდე“ და „მიპყიდე“ „დატრიალებს“ და „დასტრიალებს“... „რისი ნიშანია იგი“ (მის)?
4. ჰ და ხ: მონაცვლობა თუ შეიძლება და რა შემთხვევაში („სწერ“ და „ჰწერ“...).
5. „ერთხიარად შესაწყნარებელია თუ არა“ — ზვისარ-თავის სუფიქსები — ული, — ური, — ემური... „აღმინისტრატული“ თუ „აღმინისტრატული“ თუ „აღმინისტრატებური“... „გენიური“ თუ „გენიალური“? და რიგი სხვა.

ამჟამად ამგვარ საკითხებს შესისწავლის სამეცნიერო დაწესებულება (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), ხოლო, საკითხს წყევებს „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კომისია“, რომელშიც ენის სპეციალისტების გარდა მწერლებიც, პრესის მუშაკები შედიან, რომელსაც მთავრობის თანხმდობა ხელმძღვანელობს.

ილია ჭავჭავაძის დროს კი სალიტერატურო ქართულის

ნორმათა საკითხების მოგვარება საზოგადო მოღიწვედათაოსნობის საქმე იყო... მოთხოვნას ილია ჭავჭავაძის სრულობდა.

ეგვერ ითქმის ახალი ტერმინების შესახებ, რაც სალიტერატურო ენას სჭირდებოდა ქართული ლექსიკის შესწავლისა და ლექსიკონების შედგენის ღონისძიებათა შესახებ.

ამასაც ილია ჭავჭავაძე უვლიდა.

\* \* \*

ყოველ ენას, მწერლობის მქონესაცა და არმქონესაც. სარბილი ესაჭიროება. რაც ვინდ დაწვეწილი იყოს სალიტერატურო ენა, მისი დღეები დათვლილია, თუ ამ ენაზე არაინ წერს და ლაპარაკობს.

ამჟამად დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე შეიძლება მივიღოთ. არ არსებობს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომ მისი შინაარსს ქართულად არ ითქმოდეს.

მაშინ კი, როდესაც ქართული ენა ერთი მუქა თავდალებული მოღვაწეთა საზრუნევ საგნად იყო ქვეული, დაწყებითი სწავლაც კი ქართულ ენაზე სანუკვარ საქმედ მიჩნდოდა.

დღეა-ენაზე სწავლების საკითხი ბრძოლის საგანი იყო და ამ საკითხის სიმწვავეს ილია ჭავჭავაძის სიტყვები გვაგრძობინებს:

„ქართული ენა ყველგან გამოდევნილია. ქართულის მკოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია“ — შინაშინაც ილია ჭავჭავაძე 1881 წელს. „უბეშმა თავის დღეა-ენაზედ უნდა ხაიხსნას გონება და უბეშო რის სწავლას მაშინ მიპყოს ბოლი, როცა თავის დღეა-ენაზედ საკმაოდ გავწრთილი იქნება“, წერდა ილია ჭავჭავაძე.

ენის უფლებები იცავდა ილია ჭავჭავაძე და ამით თავის ხალხს, მშობელ ქვეყანას ესარჩლებოდა.


ენის საკითხი ეროვნების სასიცოცხლო საკითხებს უკავშირდება: ერის ჩამოყალიბება ეროვნულ ენას გულისხმობს; ერის კულტურული ცხოვრება ენას საჭიროებს განვითარების იარაღად; ერის მეომას, პირველ ყოვლისა, ენა არკვეს (და შემდეგ — ხალხური სიმღერა, ხალხის ვანცლათა მესაიდუმელი).

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ მწერალი-კლასიკოსია, არა მხოლოდ სალიტერატურო ქართული ენის ხალხურობის დამცველი და დამფუძნებელი.

ილია ჭავჭავაძე მწერალი-მოქალაქეა; მას თავისი ხალხი უყვარდა თათარანთ ჭებრვის პირუთენელი სიყვარულით.

გი თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა კატკოვებისაგან იმ შეუღრეკელობით, რაც ქვეყნის სახელით მოლაპარაკეს შეგვერის და იმ შეუპოვრობით, რაც თავის სიმართლეში დარწმუნებულ ადამიანს ახასიათებს.



# დიდი

# მასწავლებელი

აკაკი გაწერელია

როდესაც რუსეთიდან დაბრუნებულმა ჭაბუკმა ილია ჭავჭავაძემ დარიალის ხეობა გამოვლო, ბუნების ორმა ანანასაობამ დააფიქრა იგი: მყინვარის ზვიადობამ და თერგის ბორგვამ. პირველმა მას გოეთეს ოლიმპიურობა მოაგონა, მეორემ კი — მაირონის დაუდგრომლობა.

ახალგაზრდა ილიამ უპირატესობა მეორეს მიანიჭა.

თვითონ ოლიმპიელი და „სატანური თავდაჭერილობის“ კაცი საჭართველოს ჭირვარამმა აიძულა მთელი ნახევარი საუკუნე აბჯარასხმულს ებრძოლა მშობლიური ერის ისტორიული სიდუხჭირინა შესაცვლელად და მისთვის ნათელი მომავლის გამოსაჭედად.

ჩვენს ხალხს რამდენჯერმე გამოსჩენია ფაქტიური ლიდერი მისი ისტორიის ძნელბედობის ჯამს და ამ ლიდერთა მისია ყოველთვის ერთი იყო: აქტიური მოქმედებისაკენ მოეწოდებინა თანამემამულეთათვის.

ილიას მისია ქართველი ხალხის მიერ საკუთარი თავის ხელახალ პოვნასა, ხელახალ აღზრდასა და თავისუფლების წყურვილის კიდევ უფრო გაღვივებაში გამოიხატა.

ეს მან ათქმევინა მოხვევ ლელთ ღუნის კავკასიის ამაყი მწვერვალის კალთებთან:

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს-ო!

და ამ დევნიზმა გამსჭვალა ქართველი ხალხის შეგნება. ეს დევიზი ვეება ზარიეთ რეკდა ჩვენ

ერის სულიერ და გონებრივ სამრეკლოზე მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე.

დავით აღმაშენებელზე დაწერილ სტატიაში  
 ი. ჭავჭავაძე წერდა:

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, — ამბობს ბრძენი სეფეა, — იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძინოთ საკუთრის ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვეწრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავის სახელის ხსენებითაცო“.

ასეთი მწვერთელი აღმოჩნდა მშობელი ხალხისათვის თვითონ ილია, რომელსაც კარგად დაუხსომებია რამეული სტოიკოსის ბრძნული შეგნება. თავისი საქმიანობის ყველა სფეროში იგი შობო-ლიკური ერის მწვერთელად მოგვეგონინა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის მშენებელი, პოეტი და პუბლიცისტი, დრამატურგი და თეატრის მოამაგი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, მთარგმნელი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ღრმა პოლიტიკური მოაზროვნე, ეკონომისტი და ფინანსისტი, საზოგადოებრივ საქმიანობათა მოთავე, — ასეთია მოკლე სია ილიას მოღვაწეობის სფეროებისა.

მისი შეურიგებელი ხასიათი საქართველოს მტრებისადმი, უსაზღვრო ერთგულება დიადი წინაპრებისადმი, მზადყოფნა ერის მოძმე ყოფილიყო ჭმუნვასა და სიხარულში — სიმეარულით ავსების ყველა ჩვენგანს მისადმი, რომლის სახელების ხსენებაც ახლაც წრთვის თვითეულ ქართველს ალბათ, უზუნაფსა იზრუნა ამ მესიის მოვლინებისათვის ჩვენი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე.

თვითონ მეტყველება მისი, ენა მისი — ნათელი შუქივით შემოდის ჩვენში, ილეკება ჩვენს ემბრეციონებში, ხოლო მისი მხატვრული სახეები და ბუნების სურათები სიყრმინდანვე იბუდებენ ჩვენს არსებაში, ვითარცა წარუშლელი აჩრდილები, რომელთა საუბარი, ცალკეული რუბლიკები თუ ფერთა ლეგივი მუდამ თან გვედევნა. ყოველ ჩვენთაგანში მოიპოვება ელემენტო ლეონსაბის საზარმაყისა და კულონარული მიდრეკილებებისა, ხოლო ზოგიერთს მაინც განუცდია ამ კეთილი თავადის ბიოლოგიური ნოსტალგია უშვილობის გამო, ან ვინ არ ცდილობს, შინაგანად მაინც, თავი არავის დაარავგვიროს და „ხელმწიფომდე“ ფეხით იაროს ღირსების შესანარჩუნებლად, ვინ არ დაფიქრებულა საწურთის მუსთლობაზე ან ვის არ მიუტანია გულთან „ორი თვალის“ ღრამა, რომლის აღწერა თობას ჰარდის რომანების საუკეთესო პასაჟებს დაამწვენება; ჩვენს ცნობიერებაში ხომ მუდამაჰმ იცოცხლებს ყვარლია მთები, ალა-

ზნის პირას მდგარი გამხმარი მუხა, ლოჭინის ხევი და კუდიგორა?..

თუ ხელოვნება, ასე თუ ისე, საკუთარ ზნანებთან საუბარია, მაშინ ხომ არ გვეუნება ილია ჭავჭავაძე, რომ ოცნების ეამს ან თავისებური სიბარტიხმის წუთებში ყოფილი ჩვენთაგანი ხანდახან მაინც ითვლის ბუზებს თოახის ჭურჭე, რათა წარმოდგენილი რამ შემდეგ მხატვრულად გაობიექტურდეს? არც სერვანტესი ფიქრობდა, მგონი, სხვაგვარად!

\* \* \*

მაგრამ ი. ჭავჭავაძე მარტო მხატვარი არ ყოფილა და მას მარტო მხატვრული სახეებით არ გაუმდიდრებია მწერლობა. მარტოდენ ამისთვის მას არ სცალოდა, მისი კალმის „პატარა წვერს“ სხვა დანიშნულებაც დააკისრა ღრმომ. თავისი გოლიათური მხრებით ილიამ სხვა მძიმე ტვირთიც ატარა. რამდენი ბრძოლა გაღაიანდა მან საქართველოს პრეკტივის დასაცავად, თუნდაც „ქართლის ცხოვრების“ ავთენტურობის დასამტკიცებლად! როგორი თავგამოღებით იცავდა იგი ქართული ენის სიძლეესა და სიმდიდრეს (მაგ. ქართული ზმნას უნიკალურობას და სხვ.)!

და განა ვასაკვირია ქართული კულტურის პირდაპირი თუ შენიღბული მტრების მიმართ ილიას უღმობელი და ბაზი ვამაი? მათ მიმართ „ტკბილ სმათათვის“ არ წარმოუზგანია იგი ღმერთს. ამიტომაც გადაჭრელებული ილიას პოლემიკური სტატიები გამოთქმებით: „აბალაზდა“, „ქურჩუი კრიტიკა“, „ლაგამწამოყრილი ლაპარაკი“, „ვინც არას ჰკარავს, ის ყოველთვის კადნიერი და გამამედავია“, „თავგასული“, „ტინითხელა და ჭკუამოკლე“, „შუშეკარი და ჭკუათხელი მოხარჩე“, „ცრუპუნტელა მამულარი“, „ეს რა არის: ბოღვა თუ ჭკუთმყოფელის დალაგებული საუბარი“ და მრ. მისთ. ზოგჯერ მწერალი იშველიებს რუსთაველის გამოთქმებს: „ყოველი მსგავსი მსგავსა შობს“, „კოკასა შინა რადც დვას“ და ა. შ.

თვითონ სათაურებიც კი ზოგიერთი მისი წერილისა თუ პატარა ფელეტონისა კარგად ამხედრენ ცამდე მართალი და უკომპრომისო ადამიანის გულსწყრომას („უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ქარაფშობთა, ორთავანობა და ორპირობა უმეცართა“ და მრ. სხვ.). დღევანდელი მიზმი-ჩვენი გნობებს შორის და მას ბრალი არ უშევს თუ ველი ცხედრებითა მოფენილი!

ილია იგონებს ფშაურ ლექსს:  
 ვაჭაკი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვებარი.



მლიერი და დინჯი, ილია ჭავჭავაძე სრულიად არ იყო წყნარი უმეცართა, ცილისმწამებელთა და მკვებხარათა მიმართ. მის მაქიმიალიზმს და საერ-კასტულ მანერას ფაქტიური და ისტორიული გამართლება აქვს.

მაგრამ როგორ ეპყრობოდა იგი ღირსეულთ? ილია ჭავჭავაძე იყო ქართული დრამატული საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარე 1881 წლამდე. მას ბევრი უწერიდა თეატრისა და ქართული ხალხური მუსიკის საკითხებზე, ცალკე-ულ მსახიობთა მიერ ამა თუ იმ როლის შესრულებ-ბაზე და ა. შ. საერთოდ, დიდად აფასებდა ხელო-ვნების დარგთა მოღვაწეებს. „ქვემარტივ არტის-ტი იგივე შემოქმედია, როგორც სხვა ჭემმარტივი ხელოვანიო“ — წერდა ილია ვ. აბაშიძეს (1887 წ.).

ასევე ვის არ ახსოვს სურია მისი გამამხნეველ-ლი და ჯენტლმენური ბარათებისა ნიჭიერთა და დამსახურებულთა მისამართით? „ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად პატრინეასციმი მწერალია, რომ მისი ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ-არის მარტო ერთის კაცის აზრი და შთაბეჭდილე-ბაო“, — წერდა ილია 1905 წელს.

ისტორიამ გაამართლა „ოთარაანთ ქვერცხია“ და „განდევლის“ ავტორის ეს შეხედულება. და რამდენი ამგვარი მაგალითის დასახელება შეიძ-ლება! როგორც ვხედავთ, ტკბილ სმათათვისაც იყო იგი წარმოგზავნილი. და ეს კარგად ჩანს მისი ადრინდელი ლირიკიდანაც.

\* \* \*

საკმაოდ ტრივიალური, მაგრამ მაინც აწორი გაგებით, ლირიკა ყველაზე სუბიექტური ფორმაა ლიტერატურული შემოქმედებისა. მწერლობის არცერთი დარგი არ გადმოსციქმს ისე მკაფიოდ ავ-ტორის პიროვნულ დიქციას, მის ტემპს, შემოქ-მედის სულიერ და გონებრივ სამყაროს, როგორც ლირიკული ლექსი. ჩვენა წინაშე დგას ავტორი, რომლის ხმა უშუალოდ მიმართულია მსმენელისა-დმი, მკითხველისადმი.

ილია ჭავჭავაძე შესანიშნავ ლირიკოსად მოგ-ვევლინა უკვე მისი ცხოვრების პეტერბურგულ პერიოდში. რაოდენობის მხრივ უფრო მეტი ლექსი მას არ დაუწერია სამშობლოში დაბრუნების შემ-დეგ. იმპერიის სატახტოში გაეცნო ილია პირველ-ლად ნ. ბარათაშვილიან პოეტურ მემკვიდრეობას, რამაც მასზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ილია პირდაპირ გაოგნებული აღმოჩნდა „მერანის“ ავ-ტორის ქმნილებებით და პირველსავე მის ლექს-ში „ყვარლის მთებს“ (1857) გახმაურდა იქო ნ. ბარათაშვილის ლექსისა „შემოდამება მთაწმი-ნდაზედ“ (1833):

როს ყმაწვილთა მწულარება ჩემს ყმაწვილურ გულს  
საბრავდა ხოლმე, თქვენ წინ ევლრდი ჩემს  
ცრემლთ ნაქაღულს,  
თქვენ შეგბოილთ, შეგტიროლით, თემც კი ამ ჩემ  
ცრემლს



წინამურ

როგორცა ახლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს...  
და ეს არბილი საოცნებელ წარსულთა წამთა  
ჩემს სიკვდილამდე შემარხება გულშია ღრმათა...

ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ლექსის თვით მზა-ტურული აქტსუარის ცალკეულ დეტალებს მიე-ყვართ ნ. ბარათაშვილიან:

აგერ პეპელა  
ფრთააკრული  
ყვავილსა სწოწს ნელა  
და თრთის ყვავილი („ვახაფხული“, 1858).

მოტიანილ სტრიქონში გაეგულეულია ნ. ბარა-თაშვილის „საყურეს“ შემდეგი ცნობილი შედა-რება (რითმიფიცი კი ერთიანია):

ვითა პეპელა  
არბევს ნელ-ნელა

ნ. ბართათშვილის პოეტური კამერტონი არეგულირებს ილიას პეტრანურებს პერიოდის ლირიკაში გამოხატულ ემოციებს და ზაიო გამოვლინების მელოდორ წყობას.

მიავარი კი ისაა, რომ ორივე პოეტს ერთმანეთთან აახლოვებს სულიერი ცხოვრების პიღრმე და სირთულე. ჭაბუკი ილია ღირსეულად უდგას მხარში ადრე დაბრძენულ გენიალურ ქართველ ლირიკოსს.

და არა მარტო მას.

აქ მოვიტანთ რამდენიმე სტრიქონს ილიას ლექსიდან „მეც შეე თვალგებს“ (1858):

მეც მინახავს თვის სიბნელეთ თვალნი,  
ვითა წყვლიად ისე ღრმად-ღრმანი,  
სამიშინი ცეცხლით, დაუმოხანნი,  
ვით ქარიშხალში ავ-ფთოხი ზღვანი.  
სიცოცხლე მათში დულს მამ ცეცხლით,  
რომ დაიდავო მისის ნავერწლით,  
სიცოცხლსთანა სცნობ შერგებას  
და არ ინლომებ სხვა ნეტარებას.  
რა რიგ ჩანს ტრფობად ამღერეულობა  
და არწივსა თავისუფლება  
მათ დიდ მშვენიერ სიბნელის ტბაში  
მათ გრძელელ, უხმოდ ცხად გამოჟჟმანო.

ეს ლექსი თავდება ტაბეებით:

ვეძებ და ვეძებ აქ მე შეე თვალგებს  
მაგვარ რუსეთში ვინ დამახანებებს..

მაგრამ ... აი, სწორედ რუსეთში დიანახ მაგავსი შაგი თვალები უღიღემსა ლირიკოსმა თ. ტიუტჩევმა და ისიც აბსოლუტურად ილიაებური შეგნებთ:

Я очи знал, — о, эти очи!  
Как я любил их, знает бог!  
От их волн ебной, страстной ночи  
Я душу оторвать не мог.  
В непостижимом этом взаре  
Жизнь обнажающем до дна,  
Такое слышалось горе  
Такая страсти глубина

ტიუტჩევის ეს ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1854 წელს (მანამდე ტიუტჩევის ლირიკა ცალკე წიგნად არც ყოფილა გამოცემული). ილია კი „სოვრემენნიკის“ მკითხველი იყო და შეიძლება კიდევ სცოდნოდა ტიუტჩევის ლექსი, ამ პოეტის სხვა ლექსებთან ერთად. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ორი პოეტის ლიტერატურული ანალოგები დამოუკიდებლად წარმოიშვა, მათი გამოშვევი მიზეზი კი ამ ავტორთა ერთნაირი სულიერი სიღრმე და სიმდიდრეა.

დიდად ნიჭიერის ემოციები დიდად ნიჭიერის გრძნობების მსგავსია. აკი ნ. ბართათშვილც ყველაზე ახლოსაა სწორედ ტიუტჩევთან. მაგ., თუ ეს უკანასკნელი ამბობდა:

Мысль изреченная есть ложь («Silentium»).

დამოუკიდებლად მასვე აცხადებდა ნ. ბართათშვილიც:

მოკვდესა ენას არ ძალქმს  
უკვლავთა გრძნობათა გამოჟჟმანო.

გრძნობიერების მხრივ ღირებთა ფორმალურად ვირტუოზობა კი არ ჰქმნის მაღალ პოეზიას, არამედ ლექსის ფორმის მიღმა მოქმედი უღრმესი სულიერი პლასტების არსებობა. ჭეშმარიტი პოეზია — ასეთი პლასტების ხშიერი ვიზრციაა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სწორედ სიტუბუკის პერიოდში (1858 წ.) აქვს ილიას დაწერილი ორი „ლოცვა“.

ჯერ მოვაკვს ერთი მითვანი:  
ოჯეს დე მო ნა ურწუმეობის,  
უეუ-თქმისა და მაცდუროების,  
საწაღლეთი თვით საესეს თასს მაცდურს  
წინ დაუღამაღეს ჩემს სულსა უძღურს, —

ნუ მანღობ ღმერთო, ზღვისა ტრიალს, —  
ნუ დამაწაფებ დე მო ნის ფი ა ლ ს,  
და უეეთუ არს შესაძლებელი,  
მე განმაროდენ იგი სამსელენ.

მაგვარ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,  
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,  
განჰქრენ შენ ხმასთან სურვილენ ჩემნი  
და იყავნ ნება, უფალა, შენი.

ეს — ქურუმის ლოცვაა, ანალოგი იმ მუდარისა, რომლითაც ნ. ბართათშვილი მიმართავდა თავის დემონს „სული ბორტო“-ში. თვითონ დემონის ფენომენი, სახელიც კი მისი (როგორც „ბორტო სულის“ შემნაცველი), მიუღს ქართულ პოეზიაში პირველად ილიასთან გვხვდება, რუსულ პოეზიაში — ძალიან ხშირად იმავე ტიუტჩევთან.

საერთოდ, წარსულში არაერთი დიდა პოეტი ესაუბრებოდა თავის ლექსებში ან დემონს, ან უზუნაეს. ამ ორ მეტაფიზიკურ არსებას შორის გამართული დიალოგის გარეშე პოეზია ნეტწილად მოსაწყენი დეკლამაციაა, რადგან პოეტი ჩვეულებრივ ან „დემონის ფილასაა“ დაწაფებული, ან ღმერთის მიერ შემზადებულ ნეტქარს. პოეტური სუროგატების მომრავლების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ამგვარ სასმელს ხშირად ცალბე ნეტქარი ცვლის.

\* \* \*

როგორც ყველა დიდა პირთვებას, ილიასაც ზრავდა საკუთარი არსებობის უზრრბის შეგნება (საკუთარი „არაფრობის“ განცდა ვერ ამიტანიათ — ამბობს იგი ერთ ლექსში). ასევე მწვევად განიცდიდა იგი „ცხოვრების ზღვაში გრიგალთა ქროლის“ სუსხს და ამ მხრივაც მისი პოეტური ასოციაციები ნ. ბართათშვილისას უახლოვდება:

მარტოდ მივეყრავ ცხოვრების ზღვაში,  
თითქო უსურვლოდ და უფიქროლად;  
და ზღვის ღღვაში, გრიგალთ ქროლისში  
არარა აქვს ჩემს გულს იმედად.

ზეირთი ზეირთხუდა ჩემკენა სრბიან,  
ჯერ ჩემს მკერფს ნაკე ზედ ასყდებთან,  
და, ვუპერტ რა ჩემს ნაკე რსა რხუგას  
ვეუდი ანუ მის, ანუ ზღვის ძლევას.

(„მარტოდ მივეყრავ...“ 1858)

გაიხსენეთ ნ. ბარათაშვილის სიტყვები მისი შედარებელი ლექსიდან „ჩემი ლოცვა“.

არა დაჰქაროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,  
არამედ მოეც მას საღვთო მუდროებისა.

და ამ სულიერი გრივალების ტანს, ილიას არსებაში რომ იყო ამტყვადრი, მას ნ. ბარათაშვილით არ ავიწყდება თავისი ვალი მომავალ თაობათა წინაშე:

დაე თუნდ მოვკვდე, არ მუშინია,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალ  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან  
თქვან: აღსარულა მან თვისი ვალო. („დაე თუნდ მოვკვდე“... 1858).

და ეს სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომელსაც უკვე ნაგემი ჰქონდა ადამიანური იმედგაცრუებათა, სულმდაბლობათა და მტრობათა შხამი. და ჩვენ იშვიათად მოგვისმენია ქართულ პოეზიაში სკეპტიკა და მტყუნეაზიები შეგპრობილი პიროვნების ისეთი ღაღადისი, როგორც ჰაბუკ ილიას ბავშვებიდან გადმოიღვარა:

ღაბნულა სულა, ვარშემოდ ბნელა,  
სიცეე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;  
ალარ მაქვს საზარდო სულსათვის მე  
არც სიძულელიშო, არც სიყვარულიშო.  
ღიღბანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას,  
და გაიშავრე ჰაბუკი მკლავი  
ბეგრეჯერ მამარტახს, მაგრამ არვის-წინ  
არ მოიხირა ამაყი თავი.

ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ჰღირდენს,  
გვიან შევიტვი ეს ცდომილება;  
ახლა მათ საზიზო, მღაბალ მტრობაზე  
არც მეციცნება, არც მეტყობება.

ღაბნულა სულა, ვარშემოდ ბნელა,  
სიცეე მკვიდრობს ეხლა ჩემს გულში,  
ალარ მაქვს საზარდო სულსათვის მე  
არც სიძულელიშო, არც სიყვარულიშო!  
(„ღაბნულა სულა“... 1860).

ეს ლექსი უკვდავია. როგორ ადრე დასდგომია უსარმაზარი სულიერი რთველი ჩვენნი ხალხის უსაყვარლეს შამას, როგორ ადრე უგარძნია მას პოპულარულ განცდათა დასასრული, რთვა გონებრივი აბათია დროებით ეუფლება ხოლმე ბუნებით მებრძოლს!

ასეთსავე მწვერვალს აღწევს ილია ჭავჭავაძე თავის ე. წ. „სატრფიალო ლირიკაშიც“. დაგემა-ყოფილებით ერთი შედგერის მოტანით (იგი პირველად მოვიტანეთ ქართულ ლიტმოდნობაში 1959 წ.):

მაშინ დაესტკებია სრულს სამოთხით,  
როს, ვით მე გეტრფი, შენცა მებრფოდო,  
და ქალწულებს ართომით, მორსცხოვით  
მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე;  
მე დაჯერებულ ტრფილბობითა,  
შენ ჩემს გულზედა თავი გესვენოს;  
მე უფუროდეს, მაგრამ კრძალულებითა  
მე შენთვის კოცნავ ვერ გამეხედნის.  
ვიწმ, მაგ შენს ნარნარს გულს-ცემასა  
ვით ლოცვის ბეგრას, ლობობი ვისმენდე  
და ცოდვილი ფიქრთა ზღო მსოცვასა  
შენის სიწმინდით ვიგერებდე  
(„მაშინ დაესტკებია“... 1858)

21 წლის ჭაბუკის ეს ლექსი უტოლდება პეტრარკას მიერ ლაურასადმი მიძღვნილ პაკეტოსო სინეტებს. რამდენი ინტიმური მომზომელობათა ილიას ლირიკულ პასაჟებში, სადაც ანგულისს თითქოს მშვიდად დაუხრია ფრთები, ხოლო ერთსის დემონს თვალის გახელავ ვერ გაუბედნია. ილია დიდი ეთიკური მასწავლებელიცა თავის სატრფიალო ლირიკით. „სასიყვარულო გრძობის პროცესტალიზაციის ის პროცესი, რომელიც ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში დაიწყო („შვიდშობო ცრემლსა ჭირთ-მანგულბელს...“), თავის ღირსულ გამოძახილს აგრეთვე ილიას ლირიკაში ჰპოვებს. ეს ხაზი შემდეგ დასატკინნამ გააგრძელა.

\* \* \*

1860 წელს ილიამ შთამბეჭდავი სიტყვებით გამოიტრია თავისი ბრძენი წინაპარი (ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილსად“). ეს გამოტირილი ვალის მოხდა იყო იმ ადამიანის წინაშე, რომლის პოეტური სამყარო მუდამ კვებავდა ილიას დიად სულსა და გონებას.

1858 წელს დაიწერა ილიას შემდეგი მეთრე „ლოცვა“:

შამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!  
მუხლმოდრეკილო, ლობიერი ვლდეკარ შენ-წინა;  
არცა სიმდიდრას, არც დიდბებს თხოვნა არ მინდა,  
არ მინდა ამით შეურაცხ-ვეპაო მე ლოცვა წმინდა...  
არამედ მწყურს მე განმზიათლდეს ცით ჩემი სულა,  
შენგან ნამტენების სიყვარულით აღმუნთოს გულა,  
რომ მტერთათვისიცა, რომელთ თუნდა გულს ლახ-  
ვარო მტრან,  
გთხოვდე: „შენუნდე, არ იციან, დემეროთ, რას  
ექმან!“

ასე ლოცულობდა ილია ჭავჭავაძე — აზრისა და გრძობის ვის გვიგანტი — უხრებათა წინაშე და სით თავისი ცხოვრების გაირიქნაქუქ!

და მისი ლოცვა ფატალური პარადოქსითა აღბეჭდილი: გულში კი არ ჰქრის მას ლახვარი, ტყვიით განუგმირეს შუბლი, რომელიც, ერთი მისი ბიოგრაფის თქმით, „ფიდიასის ჭანდაცვას დაამწყვებდა“.

უსახ ღვროდ შემეზარდი და საბედისწერი წამი მთელი ქართველი ხალხის ისტორიისა!

ერთი გამოჩინილი რუსი მწერალი სწერდა, რომ ჩემთვის რუსეთი განყენებული ცნება კი არაა, არამედ რამდენიმე — სამაყო და სამაწყებური გეოგრაფიულ პუნქტთან დაკავშირებულ მოგონებათა ჯამით. ასეთ პუნქტებად მიანჩნდა მას: კულაიკოსის ველი, ადგილი, სადაც პუშკინისა და დანტესის დეული შედგა და იანაია პოლიანა.

ყველა დიდ ერს შეუძლია დასასახლოს ანალოგიური გეოგრაფიული პუნქტები.

ქართველ ერსაც აქვს თავისი რამდენიმე სანიშნავი ადგილი მშობლიურ მიწაზე: უჯარამი, სადაც გორგასალი მოჰკლეს, დიდგორი ყვარელი, წიწმურთი.

და ჩვენი ხალხი ყოველთვის მდუმარედ შედეგება იმ ადგილას, სადაც ერისთვის მზრუნველი მამის დიადმა აზრმა თავია ფიციკური საყოფილი დასტკვა. ილიას მიერ აღზრდილი ქართველი ერი ცოცხლობს, მარად იცოცხლებს და არასოდეს დაივიწყებს თავის დიდ მასწავლებლებს.



# ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრის ქირითაღი პრობლემა

ვასილ კიკნაძე

ილია ჭავჭავაძე დიდი თეატრალური მოღვაწე იყო და, ბუნებრივია, რომ მის სახელს უკავშირდება ძველი ქართული თეატრის ძირითადი პრობლემები. მე-19 საუკუნის თეატრალურ-ესთეტიკური პრინციპების კვლევა ვერ წარმოიადგინება ილიას სახელის გარეშე. მის სახელთან არის დაკავშირებული ამ საუკუნის ქართული თეატრის თეორიისა და პრაქტიკის კარდინალური პრობლემები. ილია მეტად მნიშვნელოვან დროს ამხარდა თეატრს. წერდა რეცენზიებს, სტატიებს, პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა თეატრს, ეხმარებოდა ყველას, ვინც თეატრისათვის სასიკეთო საქმეს აკეთებდა. თავადაც წერდა პიესებს და სხვა დრამატურგებსაც ხელს უწყობდა. მისი ჟურნალების გარეშე არ რჩებოდა არცერთი მოვლენა.

საკითხის ფართო წრიდან გვინდა მკითხველის ყურადღება შევაქროთ სამ პრობლემაზე, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავდა იმჟამინდელი თეატრის ხასიათს, საკითხი ესე-ბა დრამატურგიის, სამსახიობო ხელოვნებისა და რეჟისურის პრობლემებს.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ თეატრალური შემოქმედება ემყარება დრამატურგიას, მის საფუძველზე იბადება და იქმნება აქტიური ხელოვნება, მის სახელთან არის დაკავშირებული რეჟისურის, მხატვრობის, მაცურებლის პრობლემები, მანამდე თეატრის როლისა და მნიშვნელობის ილიასეულ განსაზღვრას უნდა მიექცეს ყურადღება.

მაგრამ ვიდრე თითოეულ ამ საკითხს შევვებოდეთ,



თეატრი ილიასათვის „ხალხის მწერთნელი და ხალხის გამწვანებელი“ კერა იყო. იგი ამ ფუნქციას შესარულდება თუ წარმატებით ემსახურებოდა თავის ხალხსა და ქვეყანას. „ხომ რამ, — წერდა თქრომწველინიმეფის, — თეატრი რა დიდი იარაღი, მაგის მეტი ნაციონალიზმის ნიშნადაა ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა, ევ ერთი ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს სხვაგა ზეფერი სიკეთეც მოსდის“.

აი, ასეთ დიდ როლს ანიჭებდა ილია თეატრს. იგი ხშირად მოუწოდებდა ხალხს, რომ მხარში ამოსდგომოდა თეატრს, ბოლო თვითონ, სხვების სამაგალითოდ, თეატრის ამონაგებობას ეკუთვნის თუ ავრცელებდა. ილია დაუნდობელი იყო იმით მიზნით, რომლებიც თეატრისადმი გულგრილობას იჩენდნენ, ვისაც არაფრად მიაჩნდა თეატრი: „რას უნდა მივაწეროთ ასეთი გულ-გრილობა ჩვენის საზოგადოებისა, გულ-გრილობა, რომელიც დანაშაულებად და ცოდვად ადგოდა ჩასათვალელია, თუ ჩაუფრთხვლებით, რა არის ერისათვის თეატრი და რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის, დიას, ჩვენთვის...!“

ხედავთ? — როგორ ხაზს უსვამს სიტყვას „ჩვენთვის“. დიას, ილია ჭაჭუაძემ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ხალხისთვის თეატრი!..

„სვენა იგივე შკოლაა, — წერდა იგი, — რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულს და ჭკუასა. იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე“. მაგრამ რა დანიშნულება აქვს ამ ზემოქმედებას? ილია ამ საკითხზეც იძლევა პასუხს იგი არის „კაცის გონიერობისა და ჭკუის განაფუჭიხულები, გამწვანებელი“. როგორც ვხედავთ, ილიამ თეატრს ძალიან დიდი ამოცანა დაუდგინა. მასურების აღწერდა კი შექმლო მხოლოდ ისეთ თეატრს, რომელიც ხალხის ინტერესებს გამოხატავდა, ხალხისათვის გასახლები და ასლობელი იქნებოდა. თუ თეატრის წარმოდგენა არ მოეწონა მასურებელს, ცხადია, რომ მას არც დაუჯერებს იგი, არ შეიყვარებს. ასეთ შემთხვევაში სპექტაკლიც ვერაფრითარ გაგლეჩას ვერ მოახდენს მასზე.

თეატრი ხალხის საყვარელი ადგილი უნდა იყოს. თეატრში მასურებელმა უნდა დაისვენოს კიდევ და საინტერესო სანახაობით სულიერი საზრდაც უნდა მიიღოს. ილია ჭაჭუაძე-გაძის აზრით, თეატრს პირველ რიგში მოეთხოვება თანამედროვე ცხოვრების გამოხატვა. თეატრი ხომ ვეფარებ თანამედროვე ხელოვნებაა. იგი არსებობს კონკრეტულად ახლა, აი, დღეს, დღევანდელი მასურებისათვის. ამიტომ უნდა ემსახუროს იმას, — ვისთვისაც იგი არსებობს. მასურებელს სურდა სენაზე ეხილა ადამიანი, რომელიც მის ჭკრას და ღონის გაიზიარებდა, დაუნდობლად ამხელდა ძველსა და ჩამორჩენილს, სისხარულს მიანიჭებდა შრომისაგან მოქანცვლი: „სამართლიანად მხატვრობებენ ბევრნი ჩვენგანნი, — წერდა ილია, — რომ ჩვენმა ჯართულმა სვენამ რაც შეიძლება ხშირად გაგვიტაროს თვალწინ ჩვენის ცხოვრების ხატი და ამ ხატში, გაგვიხორცილოს აზრი და სხარის ასე თუ ისე მიმავალ წუთისმოხალისე“. ეს უკვე რეპერტუარის პირობებმა, როგორც იტყვიან, კიდევან თეატრის მთელი შემოქმედებითი ცხოვრებისა, მისი სახე და ტენდენცია, მისი სატიკვარი და სისხარული. კარგი რეპერტუარის გარეშე ბევრს ვერაფერს გააწყობს თეატრი, ვერ შესარულებს იგი თავის დიდ სოცია-

ლურ, იდეურ-ეთიკურ ფუნქციას. ილია ერთ წიგნშიც წერს, რომ თეატრი დიდებისათვის ის არის, რაც ასეველია სხვა მშენებანათვის. სპექტაკლი თავისებური წიგნია, რომელიც ცოცხალი სურათებით ელაპარაკება მასურებელს. მასურებელი კი დიდვ არის და პატარა, მოხუცია და ახალგაზრდაც. ამიტომ ილია ჭაჭუაძემ თეატრის დანიშნულების განსაზღვრის დროს მასურებელსაც გულისხმობდა. დიდ სიფრთხილეს იჩენდა პიესების შერჩევაში. თუ თეატრი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, იგი „მიკატხნად გადაიქცევა და მანინ სივსის წაწმენდა, ვიდრე სუფავსეცს.“ — ამბობს იგი. მაყარი მომთხვენელობაა, ხომ? — რას იზამთ, ასე უფრთხილდებოდა ილია მასურების გემოვნებას, ასე ბევრს მოითხოვდა იგი თეატრისგან. საინტერესო ფაქტია, რომ დიდი რუსი რეჟისორი კ. სტანისლავსკი ასევე დიდ როლს ანიჭებს თეატრს ხალხის აღწერაში და, ამასთან ერთად, ილიას მსგავსად მკაცრ მოთხოვნილებას უყენებს მას. აი, რას ამბობდა სტანისლავსკი:

„თეატრი თიპირი მახვილია; ერთი პირით იგი იბრძვის სინათლისათვის, მეორეთი — წყვიდადისათვის. ზემოქმედების იმავე ძალით, რომლითაც თეატრი აკეთილობობებს მასურებელს, მას შეუძლია გარყვანას იგი, დააინიშნოს, გაუფუჭოს გემოვნება, ემსახუროს უხასმობასა და პატარა, მემწანურ მოჩვენების სილაშავეს“.

ასე რომ, შეიძლება თეატრი ცუდი გემოვნების, ცუდი ჩვენების დამმკვიდრებელიც გახდეს. ამიტომ მასურებელი უნდა ვრცელოდეს თეატრის ავ-კარგინაობაში.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრის უპირველესი სასურნავია რეპერტუარი. პიესების გონივრულად შერჩევა, — პიესის შერჩევა კი ძველი და ახალი დრამატურგიის ცვლანას გულისხმობს, — მასურებლისა და თეატრის ურთიერთობის მრავალ სფეროსა და წახანჯს მოიცავს.

ილია განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ახალი დრამატურგიის შექმნის პრობლემას. ამიტომ საგანგებო ვურადდებდას აქცევდა პიესებს. მაკო საფაროვას თქმით, „ქართული პიესა ისე არ გაჭკანდებოდა, რომ ილიას არ წაეიფოთხა, ან არ შეესწორებინა, როგორც ენობრივად, ისე შინაარსის მხრივაც: ასე უპატიეკულ დახმარებას უწევდა დრამატურგებს. მან გახეი „დროობის“ სახელით კონკურსიც კი გამოაცხადა საუკეთესო ქართულ პიესაზე, „ივერაში“ გაამალოება პიესების ბეჭდვას. სულ რაღაც ორი-სამი წლის განმავლობაში დაიბეჭდა ა. ცაგარლის „მოთიკო“ და დ. ერისთავის „სამშობლო“. ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებელი“ და რ. ერისთავის „ადვოკატები“ და სხვა.

ილია ჭაჭუაძისას სტატებში, სპექტაკლის რეცენზიებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დრამატურგიის საკითხებს. იგი გაბედულად უჭერდა მხარს და ახალისებდა ახალგაზრდა დრამატურგებს, ხელს უწყობდა მათი პიესების წამოყენებას, ასე, მაგალითად: ილია ა. ცაგარლის პიესებს მიიჩნევდა „ცოცხლად ამოდებულს აწყის ცხოვრებიდან“. „ამ პიესებს საგნად ჭქონდა სურათები დღევანდელის ცხოვრებისა და ამ გზაზე ბ-ნს ცაგარელი ჩვენში ჯერ წინ ვერაფერ წასწერებია“.

ა. ცაგარლის პიესებმა „სტანისლავსკის“ „ხანუმა“ ილიას ატეკური მხარდაჭერა ჰპოვა. დიდმა შურალმა წაახალისა ახალგაზრდა დრამატურგი, რომ მეტი ენერგიით შემეიბოდა ეროვნული დრამატურგიის საწინალო საქმეს. სპეციალური სტატია უძღვნა „ხანუმას“. ილიას მიიჩნდა,



ხეობა  
 ბი. ი. ხ. ვ. ე. ა. 1962, 1 ქ. ხ. — ღ. ხ. ხ.  
 ღ. ხ. ხ. — ნ. ხ. ხ. — ღ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ.  
 ი. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ.  
 ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ.  
 ბი. ი. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ.  
 ი. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ.

რომ „ჩვენს სასცენო ლიტერატურაში მაგეგარ პიესას, ნამეტ-  
 ნავად ასლებში, არა სჯობია რა“, ილია კრიტიკულ შე-  
 ნიშნებსაც არ მოერიდა, მაგრამ სტატია მხარდაჭერის პა-  
 თოსითა დაწერილი, რადგან ეს პიესა „ცოცხალი სურათია  
 ჩვენის ცხოვრებისა“.

ილიას სახელთან არის დაკავშირებული მე-19 საუკუნის  
 მეორე ნახევარში დრამის თეატრის საკითხების დამუშავება.  
 პიესის სტრუქტურის, მისი შინაარსისა და ფორმის მსატერუ-  
 ლი ოსტატობის საკითხები ერთგვარად შეჯამდა სტატიაში  
 „ახალი დრამების გამო“.

ილიას დრამატურგია პოეზიის უმაღლეს და ურთულეს  
 განზრდ მიაჩნდა, იგი, ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა სა-  
 ებებში. აქაც იზიარებდა ბელინსკის შეხედულებებს დრა-  
 მატული პოეზიის შესახებ. პოზიციების ამ თანამთხვევას ლო-  
 კალური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. თეატრალური პრობ-  
 ლემებისა და საკითხების სხვა სფეროშიაც დაიძინება პარა-  
 ლეგები.

ილია სათეატრო მოღვაწეობის სფეროშიც უაღრესად თა-  
 ნამდეროვად და მისი შეხედულებანი საკმებთ ბუნებრივად  
 თავსდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე მოსო-  
 ვლიოს თეატრალური ნააზრვეის საერთო დინებაში. პირველ  
 რიგში დიდ მწერალთა თეატრალური სამყაროა მისთვის ეს-  
 თოდენ ნაწიბთა და გასაკებში. გერკუნი თეატრის საზოგადოებო  
 რეკვიზიტების გადაწყვეტის უმაღლეს ინსტანციას უწო-  
 დებდა. ლ. ტოლსტოისათვის თეატრი მაღალი კათედრა იყო.  
 თეატრის დიდ აღმზრდელითა: როლზე წარდნენ ბალზაკი,  
 სტენდალი, გოგოლი და სხვები. დიდი მწერლობა დიდი დრა-  
 მატურგის უქმნავს ოცნებობდა, დიდ თეატრალურ სამყა-  
 რის ელტვოდა მარადმას. ილია ჭავჭავაძეც მუდამ თეატრ-  
 ში ტრიალებდა, მისი ჭირ-ვარამის მონაწილე იყო, საკუთარი  
 მზრებით ატარებდა თეატრალური მოღვაწის მძიმე ტვირთს.  
 პიესების დაწერაც სცადა, მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა  
 იგი. მკაცრი მომზაოვნლობით ეკიდებოდა პიესის შექმნის  
 საკითხს. „ჩვენში ეს საქმე მეტად ადვილად არის მიჩნეუ-  
 ლი“. თხზულების დაილოგებია და მიონოლოგებით დაწუ-  
 რა, „სცენებად და მოქმედებად“ დაყოფა, „შეი ორიოდ  
 ალაგას ჭლისა და კაცის სიკვდილი“ — დრამას როდი  
 ქმნი. „გარეგანი სახე დრამისა ვერასოდეს ვერ დაჰფარავს  
 შინაგანის ცარილობის, ფუსჰავატობას, არარაობას“. დრამა

„სულისა და გულის უდიდეს ძერჯს გნდა იყოს აგებულნი და  
 აშენებულნი და ეს კლდეში ძერჯა სულისა და გულისა და გულ-  
 თადრთი საგანია დრამისა, ერთადერთი ბუნებაა მისი“.  
 დრამის მწერალს გამორჩეული ნიჭი და უნარი უნდა ჰქონ-  
 დესო. „დრამის შექმნა, — წერდა ილია, — ყველა სხვაგვარ  
 პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძხელია და ყველა თე-  
 რალი თუნდა — სიყვიერო — ვერა პედავს ხელი შემარო-  
 თოს“. თავისი დებულების საილუსტრაციოდ ილიამ განიხი-  
 ლა ავსტრენტი ცაგარის „ქართვლის დედა“. მკაცრად გაა-  
 კრიტიკა პიესა, რადგან მასში დაცული არ იყო ისტორიზ-  
 მის პრინციპი. არ ჩანდა სახეთა ინდივიდუალიზაცია, ოო-  
 გორც რეალისტური ხელოვნების ტიპიზაციის ერთ-ერთი  
 მთავარი ნიშანი. „აქ ისტორიული მარტო ის არის, რომ ავ-  
 ტორი ყველგან ამბობს: „საქართველოს წარმოდგომია შტე-  
 რი“ და მუსსრ ავლებსო. პიესის მთავარი მოქმედი გმირი  
 დედაა, არსებითად. მასზეა დამოკიდებული ნაწარმოების ბე-  
 დიც. დედას ბუთი შვილი აყავს და სუთივეს სამსობლოს-  
 ათვის ღირავს. თავისთავად მასში არაფერია მოული დელი.  
 ჭირველ დედებს უფრო საგმირო საქმეებიჩნა დედებიათ. ხა-  
 ვამ კართველი ჭლის ამ პართიველ გრძნობას არა ავეს  
 მხატვოული დამაჯულებლობა. ისე მიღან შეილები, რომ დე-  
 და არ განიკდის ღუსილს, არ ღელავს, აქ არ არის დიდ მუ-  
 ხარებისაგან გახვეება, სულისა და გულის შეძერჯა და რაკი  
 არავითარი ადგილი არ უჭირავს „დედაშვილურ გრძნობას  
 აგრე მოსალოდნელს, აგრე სასურველსა და საპატიოს“, ამი-  
 ტრიაც მის მიერ მამულისათვის შვილთა „განწირვას არაფე-  
 ზი დაია არ აქვს“. და ბოლოს, მართეულად დამასკვის ილია:  
 „განწირვა მამის არის დიდსულოვნების საქმე, როცა გამწირ-  
 ველი თითონ დიდს რასმე ჰქარავს. როცა ვხედავთ, რომ ამ  
 განწირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვეტა გამწი-  
 რველისა, ერთი დიდი რამ დააკო, ძნელად გასაწირი, ძნელად  
 გასატეხებელი, ძნელად დასამოთბი ადამიანისაა. ამ შემთხ-  
 ვევაში გულთა ჭიდილი დედისა უნდა გამართულიყო დედა-  
 შვილურ და მამულისშვილურ სიყვარულის გამო, რომელნიც  
 ამ დრამაში ერთმანთს შეხედნენ ისე, რამ ან ერთი უნდა გა-  
 იწირის, ან მეორე“. ორ დიერებულმება შორის მშობლივი კონ-  
 ფლიქტი წარმოქმნიდა ბუნებრივ სიტუაციებს, ხასიათების  
 სიმართლეს, რაკი ეს ასე არ მოხდა, კანონიერი გრძნობა გა-  
 ყალბდა და პიესამაც დაჰკარგა თავისი ზემოქმედებითი ძა-  
 ლა.

ილია ჭავჭავაძემ საგანგებოდ განიხილა დრამის ტენდენ-  
 ციურობის პრობლემა. ეს სპეციფიური საკითხია. აღიარებუ-  
 ლია, რომ დრამაში ტენდენცია თავისთავად უნდა გამოძლი-  
 ნარეოდდეს მოქმედებიდან და მდგომარეობიდან ავტორის  
 საგანგებო ჩარევის გარეშე. ადამიანის სულიერი ზრახვა და  
 გულის წაღილი ბუნებრივ მოქმედებაში უნდა გამოვლინდეს.  
 პიესა კვდება, როცა „თვითონ ავტორები მოქმედი პირთ  
 გვეუბნებიან, ეს ასეა, ეს ისეაო, მამის როცა ამეებს ჩვენ თვი-  
 თონ უნდა ვხედავდეთ, ჩვენ თვითონ ვგრძნობდეთ — საქმი-  
 თა და არა ავტორების სიტყვებითა;“. „ქართლის დედაში“  
 კი მოქმედი პირები შუბლზე მიკრული ბილეთებით გამოდიან  
 — აი, ეს ამისთანა კაცია, ეს ამისთანაო“. ამ „მოხეტიაელ  
 სენტციების“ (ბელინსკი) ქვევა „ბაქიაობას უფრო ჭავს,  
 ვიდრე ხასიათების გახსნას და „გამოშლას“ (ილია), დრამა-  
 ტურგია კი სწორედ ხასიათების მოქმედებაში გახსნის პრინ-  
 ციპს ემყარება. აქ კონფლიქტია მამობრავებელი ძალა. კონფ-

ლიტკშივე ხდება ხასიათების ზრდა და განვითარება, მათი სა-  
ოლოო იაოსიყალიბება. დღიანი საცხოვრებელი თავი და თავი აქ  
აოი. იატოი დღეისათვის აყე შეკაცოდ ილია ითავდა აოათო-  
გზის შეველო ავტორს? საჭეის ეს გაზღავთ, რომ ამით მან  
გაა გადაუღებდა დომატურების ქაბრში შოვდავების გაიო-  
ლქოი ლქადქეცეცე. ააათათოი, ილიას, როგორც თავისი  
დღიანი დღიანი ითათოვებს, არ შეველო არ ემხრობოც დაბის  
ბუხების უკუგდების ყოველგვარი სცდელბობა. საბოლოოდ ამით  
იგი იღლაშქრებდა პროვინციალიზმის ყოველგვარი გამოვლქე-  
ვის სიყაადღეც.

სილა უაკეჟავაჟე დოთისა და საეთოდღე, ქათული ლიტქ-  
ოატუოთია და სქლქეცეცეისათვის უცოი ითქლქეად მითიბია  
აბოლოტურად დადღეით და აბოლოტურად უოყოვით და-  
ხებეად დაყოფის ტქედღეცეცე, ამ ტქედღეცეცეის ყოყოვულ სა-  
ფცეცეცეცეცე დაფუცეცეცე. „უკეჟავაჟე არ აოი ითათათა უოი,  
— ყეჟა იგი, — რომ ითქუელი უთბდეს აბ მარტო კოგი,  
აბ სასოლო აბი, აბი და კოგი ყველგაბ აოთი და ვიაცე ეს  
აბიყქედღე, აბ დღე აბათილს ვეო გაიბრებს სქერობობამი.“  
„ქათოვლია დღეისათვის ქათოვლებია ითქუელი საბოლოო ყოყვილი  
სიკეითი და სილაბათი, ბოლო შოყინაადღეცეცე ითათათ-  
ლოთ. აქოდღე, აქედე კოგიბი ვოთი, ითიბი კი საყეცეი და აყ-  
თრეიბი აბათო. ეს გრბობის ტქემარტო გზაზე დაყეცეცეა კი  
არ არის, გრბობის წაყქედღეა, გაყალბება.“

ილია ქართული დრამატურგებიდან განსაკუთრებით დიდ  
შეფასებას აძლევდა გ. ერისთავს. მის გამგრძობლად მიანჩ-  
ნა. ანტონოვი. ამ მწერლების პიესებმა დიდი როლი შეას-  
რულეს ქართული თეატრის ისტორიაში. მათი ნაწარმოე-  
ბები მშრომელი ხალხისათვის გასაგები იყო. ხალხს მოსწოხ-  
და, როცა სცენებზე ესმოდა თავადებისა და ვაჭრების ხალო-  
ვნებობა მანობლებელი სიტყვები. ჯანსაღი სიცილი და მზი-  
არული განწყობილება იყო დარბაზში. სიცილით ამათრახებდა  
თეატრი ცხოვრების მანერებებს.

„ღვაწლი გ. ერისთავისა იმ იყო, რომ შეჰქმნა ქართული  
თეატრის და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოყველინა.  
ამით მარტო სიყვარულის და ტრფიალების მორევი შორს-  
იღე გული ჩვენი და მარტო განტოვლილ ფიქრებში წაყული  
ჩვენი გონება მინაცხოვრებებს დააკვირვა, მიახებდა: მისი  
„გაყრა“ ამის მავალითია.“

გ. ერისთავს მხარში ედგა ზ. ანტონოვი. მან, როგორც  
ილია ამბობს, რაკი „იგრძნო, რომ საკუთარი ფრთები მისხლია,  
თავის ოსტატს გაუსწრო, მის ვიწრო მივდუნს ლობეები შორს  
გაუღდა, საბრძოლი გაუღდა, გერეწოვლებულ მდამბი ხალხის  
ყოფა-ცხოვრება, აგ-კარგინობა, მისი ზენ-ჩვეულება ცოტა თუ  
ბეჭერდა დაგვანახა.“

ინანად ქართულ თეატრს ორიგინალური დრამატურგოი-  
დან არსებობდა გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის და ა. ცაგარ-  
ლის ნაწარმოებები ასაზრდოებდა. მათი პიესების აქტუალო-  
ბა, სოციალური მოტივების სიმბაფრე და ხასიათების საოცარ-  
ი თანადროულობა, საშუალებას აძლევდა თეატრს კონტაქტი  
დაემყარებინა ხალხთან.

ილია ჭაჭავაძე მარტო ქართულ დრამატურგებს როდი  
უჭერდა მხარს. იგი დიდად აფასებდა სხვა ხალხების ნაწარ-  
მოებებსაც.

ი. ჭაჭავაძე დიდი პატივით და დიდი ინტერნაციონალის-  
ტი იყო. მისი თეატრალური ნააზრდების მასშტაბები სცილდებდა  
ქართული თეატრის სფეროს, მის წერილებში დიდი სიყვარუ-

ლით არის განხილული რუსული და დასავლეთ ევროპის საუ-  
კეთესო ნიესები. ილია „რევიზორს“ შესახებ წერდა: „უკ-  
ანსებელი უკუილი გოგილის რუსისათვის დღედაღამისაგა-  
დღელი და თაბოასწარწებელი კაცია. თითქმის მთელმა რუსე-  
თმა ეს დღე საჭეწეოდ იღდესსაწულა და თავის სასქელო-  
ბის კაცის სასქელს თავისი გულითად და სამართლიანი პა-  
ტივითცემა გამოუხსადა.“

ილია ჭაჭავაძესა და მის თაბობს კარგად ესმოდა, რომ  
ქუმანიზმისა და დემოკრატიზმის იდეების გავრცელებამ  
უღდეს როლს თამამობა თეატრი საერთოდ და, კერძოდ,  
დრამატურგია. ამ მხრივ ერთგული მოგაგონის როლს ასრუ-  
ლებდა რუსული დრამატურგია. იგი ქართულ მაყურებელში  
იყვედა ახალ პროგრესულ აზრებს, ამდიდრებდა მის სულს,  
გახაბთებდა ყოველგვარი ძალადობისა და უსამართლობის  
წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორედ იმიტომ, რომ ილიამ, აკაკიმ და სხვა მოწინავე ქა-  
რთელებმა მხარი დაუჭირეს რუსულ დრამატურგიას, დაბრ-  
თული თეატრის მსახიობები უფრო დიდი ხალხის მიმართ  
რუსულ პიესებს. შეიქმნა შესანიშნავი ტრადიცია, — რუსულ  
პიესებს ყოველთვის ჰქონდათ ქართული თეატრის მხარდაჭე-  
რა. დაწყებდა მჭიდრო კონტაქტები ქართველ და რუს დრა-  
მატურგებსა და მსახიობებს შორის. ისინი ერთად ემბოდნენ  
ცათრისი პოლიტიკას, სოციალურ უკუდამართობას. ამ ბრძო-  
ლაში ქართველი ხალხის სულიერი მოკავშირე იყო ა. ოსტ-  
როვსკიცე. მაყურებელი ცხოველი ინტერესით ხვდებოდა მწერ-  
ლის ქმნილებებს. ა. ოსტროვსკისთვისაც ცნობილი იყო, თუ  
როგორ უყვარებოთ იგი საქართველოში, იცოდა, რომ იდგებო-  
და მისი პიესები, მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს ვადაპარბა  
იმ შესვენებამ, რომელიც მას მოუწყვეს თბილისში 1883 წლის  
20 ოქტომბერს. ოსტროვსკისადმი მიძღვნილი საღამო მოწუ-  
შო გ. აბაშიძის მეთაურობით. ამასთან დაგვიხსენებოთ, გაზ-  
„დროება“ (207) წერდა: „სუთმაბათს, 20 ოქტომბერს, ქარ-  
თული დრამატული დასი წარმოადგენს გამართებას, რომელ-  
ზედაც მიწვეულია რუსეთის განიჭებული დრამატურგი ალექ-  
სანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკე, ამ საღამოს დღეისათვის  
სტუმრის კომედიდთან „შემოსავლიანი ადგილი“ — რამდენიმე  
სურათი იქნება წარმოადგენილი და იმისთანა ორიგინალური  
სცენები, სადაც ოსტროვსკის შექმნილი რეწებური ტანსაცმ-  
ლები და თამაშის ნახვა.“ შესვენდა მართლაც ბრწყინვალე  
იყო. საღამოზე თავი მოიყარა ქართველმა, რუსმა და სომეხ-  
მა ინტელიჯენციამ. ეს იყო მეგობრის, უმულობის, ძმობისა  
და ერთობის სიცილი. საღამოზე წარმოდგინეს ა. ცა-  
გარლისა და სუნდუკიანის პიესების ნაწილებიცეცეცე. გამოე-  
რული იყო მისასალმებელი ლოზუნგები „სალამი მსოფიან  
დრამატურგებს“. დაურეს მრავალგამეორი. მსახიობა დასი შე-  
გებდა ეროვნული ტანსაცმელით.

ვ აბამიქ და ა. ცაგარელი ფრაკებში გამოწყობილი დას-  
ვდნენ, გ. აბაშიძემ რუს მწერალს ამაღლებული სიტყვით მი-  
მართა: „ბეიფასო ჩვენი მოძღვარი!... ჩვენ დავრწმუნდით,  
და სხვანიც დავარწმუნეთ, რომ თქვენს წინადა რუსეთის სუ-  
რათის შექმლიან ადელფონ გული და გონება არა მარტო  
რუსეთის საზოგადოებისა, თქვენი დიდი სახელი ისეთივე სა-  
სიქადალოა აქ, საქართველოში, როგორც იქ, რუსეთში; და-  
და და დიდად ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს შეგებდა ვიყვნენ  
თქვენთა ქმნილებთა მოცხებით შეგამოვდა ზნეობრივთა გავ-  
შირისა და ორ ხალხს შორის, რომელთაც ბევრი აქვთ საერ-



ილია სოხუმში. 1903 წლის მაისი

თოდ მისალწვევი, რომელთა შორის არსებობს ერთმანეთი-სადმი სიყვარული და თანაგრძნობა“. ამას ამბობდა ქართ-ველი მსახიობი ამ ოთხმოცი წლის წინათ.

ეს დღე დაუეწიარა იყო რუსი მწერლისათვის. თავის დღი-ურში დეტალურად აღწერს ამ საღამოს. „დასის რეჟისორმა მტად გულთბილი და ჭკვიანური ადრესი წამიციხთხა ჩემდა-მი მოძღვნილი“ — იგონებს იგი. ხოლო შემდეგ, როცა (სა-ქართველოსადმი მაღლიერების ნიშნად) ერთ-ერთი თავისი საუკეთესო პიესა („უდანაშაულო დამნაშავენი“) დაწერა, ასე მიიხსენია ქართული თეატრი: პიესა დაწერილია „იმ შთაბეჭ-დილებებით, რომელიც თბილისის საზოგადოების აღფრთოვა-ნებულმა დახვედრამ მოახდინა ჩემზე. მე მინდოდა ამ პიე-სით მაღლობა გადამეხადა ხალხისათვის, მინდოდა მეჩვენე-ბინა, რომ მის მიერ პატივცემული ავტორი არ დაკმაყოფილდა ადრის გვირგვინით, რომ მას სურს კიდევ იმუშავოს, კიდევ მი-ანიჭოს საზოგადოებას მსატკრული სიამოვნება, რომელიც მას უყვარს და რომლისთვისაც იგი ავტორს პატივს სცემს“.

ილია ჭავჭავაძე სათავეში ედგა არა მარტო ეროვნულ-გან-მათავისუფლებელ მოძრაობას, არამედ იგი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეების უპირველესი დამცველი იყო. ამ მი-ზანს ემსახურებოდა მისი თეატრალური იდეალებიც. საილუს-ტრაციოდ დაგასახელებთ კიდევ ერთ ფაქტს. 1890 წელს სა-ქართველოში საგასტროლოდ ჩამოვიდა ცნობილი ტრაგიკოსი მსახიობი ერნესტო როსი. 27 მაისს წარმოადგინეს შექპი-რის „მეფე ლირი“, სადაც ლირის როლს თამაშობდა როსი. ამავე დღეს დაემთხვა გამოჩენილი რუსი მსახიობის სავინას ბენუვისი. სავინას სლამოზე, მიუხედავად როსის გასტროლე-ბისა, მიიწვი „მთელი საზაფხულო თეატრი აივსო“. მაყურებე-

ლმა ჯეროვანი პატივი მიაგო რუს მსახიობს. ამასთანავე, დი-დი სახეიმო შეხვედრა მოუწყო ე. როსის. ი. ჭავჭავაძე წე-რილით გამოეხმავრა როსის ლირს. „ვისაც როსი არ უნახავს „მეფე ლირი“, ის ნუ იტყვის, რომ ხელოვნება მინახავსო: ის გონებითაც ვერ მისწვდება, რა შესძლება ჭეშმარიტ ხელო-ვნებასა და ლევისიკან მიმადლებულს და სწავლისაგან გაბრწ-ვინებულს არტისტსა“.

ილია ჭავჭავაძემ მამოიღებელი წერილები გამოაქვეყნა უცხოური პიესების გადაქართულების საკითხზე. ილიასთვის ეს პრინციპული მნიშვნელობის პრობლემა იყო. გადმოქართ-ულბა ტრუას ცხენსა ჭკავდა. ზოგიერთი ავტორი აიღებდა რო-მელიმე უცხოურ პიესას, მოქმედ პირებს შეუცვლიდა სახე-ლებს, დაარქმევდა ზოგს გიორგის ან სოლომონს, ზოგს ქეთე-ვანსა თუ თამარს, მოქმედებას საქართველოს მიწა-წყალზე გადაიტანდა და თითქოს ამით გახდებოდა პიესა ქართული.

საჭირო გახდა საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა, რათა თეატრი „მშენიერი ელენების“ სამარტყვინო, სასალახანო ასპარეზად“ არ გადაქცეულიყო. პირდაპირ უღმობელი კრი-ტიკით შეხვდა ილია „გეგო, მინას და კამპანიას“ გადმოქარ-თულბებს. პიესა წარმოადგინეს 1879 წლის 21 მარტს ნ. ავა-ლიშვილის სცენისმოყვარეთა წრეში. კარგად არის ცნობილი ილიას გონებაშავილური წერილი ამის შესახებ. „თითონ კომედიანზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკლოვანება აქვს, თორემ სხვაფრივ კი არა უჭირს რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რათ დაწერა, მე-ორე ისა, რომ თუ დამწერმა დაწერა, გადამკეთებელმა რათ გადააკეთა. და მესამე ისა, რომ თუ ორივე შეცდნენ, თეატრში მაინც რათ წარმოადგინეს“.



ასე გამანადგურებელი სიტყვებით შეხვდა გადაქართულების ტყედვისთა ხოთაღებას ქართულ თეატრში (სხვათა შორის, ეს ტენდენცია მეტნაკლებად ახლაც გრძელდება!)

\* \* \*

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ერთობ გაიზარდა სამსახიობო ხელოვნების არსი წყდობის სურვილი. ამაღლდა თეატრალურ-ესოტიკური აზროვნება. დაიწერა სტატიები, რეცენზიები, სადაც ქართული თეატრის კარდინალი საკითხები წამოჭრილი. მათ შორის აქტიურად ხელოვნების პრობლემები, ეს ურთულესი, უძღვრებად საპედიოური და თავსატეხი სფერო შემოქმედებისა ზუდა იწყევდა აზრთა ჭიდილს და ცხოველ ინტერესებს. ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა თავისი დროის თეატრალურ შეხედულებებს და, როგორც მოთავსებულ მოაზროვნე, ცდილობდა სწორად წარემართა ქართული სამსახიობო ხელოვნების განვითარება. სიტყვა „სწორი“ პირველ რიგში რეალისტურ სამსახიობო ხელოვნებას გულისხმობდა. თეატრს მის წიადღი უნდა მოეწავა თავის შესაძლებლობათა გამოყენების მრავალი პლანი, და ასაპექტი.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქართულ თეატრში მოჭარბდა რომანტიკული ნაკადი (ლ. მესხიშვილი), თეატრი კვლავ დაქარუნდა არსებული წინააღმდეგ ბრძოლის ნაცად ზერხს, ქართულ თეატრალურ აზროვნებაში თავს იჩენს ორი ურთიფროსპირისპირო ტენდენცია, ერთი, რომელიც რომანტიკული ვიზირის რეალისტურად წარმოსახვას გულისხმობს, ხოლო მეორე დამიწებისაგან<sup>1</sup> საუკებით ათავისუფლებს მას და „ჩანსაზნე შემდგარი“ ემოციებით ცდილობს მაყურებლის გულის მონადირებას. მაყურებლის მნიშვნელოვან ნაწილში შესაბამისი აღტკინებას და გამობახილს პოულეს ეს უკანასკნელი. საერთო ფონი ისეთია, რომ ორივე ტენდენცია ერთი დინების ილუზიასა ქმნის. მხოლოდ დაკვირვებელი თვალის ამჩნევს მათ სხვაობას. რლიამ, როგორც ბრძენსაცმა, კარგად იცის, რომ, ამასთან ერთად, თეატრალურ სამყაროში გზას იკვლავს ფსიქოლოგიური ნაკადი, იხადება მეორე პლანისა და ქვეტექსტის გამიფრის ტენდენცია. ამგვარ პირობებში იწყება მისი სტატია „ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლი“<sup>2</sup>. საკითხი ეხება გამყრელიძის გამოსვლას და. ერისთავის პიესაში „სამშობლო“. ვინც იცის მისი სცენური ისტორია, მისთვის ადვილი წარმოსადგენია ილია ჭავჭავაძის სტატიის პრინციპული მნიშვნელობა. ქართულ თეატრში „სამშობლო“ იდგებოდა საზუსტესი რომანტიკული პათეტიკითაც და ზომიერი, რეალისტური სტილითაც.

ილია ჭავჭავაძემ ქებათა-ქება უძღვნა გამყრელიძის შესრულებას. მსახიობის შუქო მისდავე, ბუნებრივად, „მისი თამაშობა ამ შემთხვევაში თვით ბუნება იყო, არაფერი მეტი, არაფერი ნაკლები. თავიდან ბოლომდე ერთხანირად, თანასწორად, ფრთხილად და ცოდნით, ნამდვილ გმირის ბუნების შეუღდალად გაატარა თავისი როლი“<sup>3</sup>. ილია ჭავჭავაძე სასუბეებით ნათლად გამოხატავს თავის პოზიციას. მსახიობის ხელოვნებაში მას მოსწონს სინამდვილის რეალისტური გამოხატვა. „მისი თამაშობა თვით ბუნება იყო“, — წერს ილია და თითქოს აქ სიტყვა „თამაში“ ჰკარგავს თავის შინაარსს. ადამიანის ბუნების ხმს, მის ძახილს მიჰყვებოდა გამყრელიძე და ამ

გზით თანდათან „ფრთხილად და ცოდნით“ ქმნიდა იგი ლეონიძის სახეს. გმირის სამყაროში შექცეულა და მისი დაუფლებლობის ერთი არასად სცილდებოდა წონიერის საზღვრებში<sup>4</sup>. მაგრამ ეს არ იყო ტემპერამენტის ხელოვნური მოთოკვა, სახება ბუნების „გამწიფება“ და „დამიწება“<sup>5</sup>. იგი დიდ შემოქმედებას ახდენდა მაყურებელზე კლასიკური მითითებით, რომელიც დიდი არტისტული ენება და სიმართლე იყო დამუხტული უკანასკნელს სცენაში, როცა ლევან ხიმშიაშვილს ეთხოვება და სასცენოდლოდ მიდის, აქ ასეთი ბუნებით სასუბე კილო იხმარა ბ-ნმა გამყრელიძემ, რომ პირველხარისისფრან არტისტსაც ხშირად გაქმნელებდა.

სვიმონ ლეონიძის დიდ-ბუნებოვანობის ზარი მთელის თავისი ძალმობრობით იგრძნო მოვლმა კრებამ მაყურებლისამ იმდენად განიხა ყველამ სული, ბ-ნი გამყრელიძისაგან თქმული, „ლევან, აღძვება, აღძვება და დავიწყო, აღძვობა“ — გასავალ კარგეში ხმადაბლად, თითქმის ჩურჩულიდ თქმული, მოეფინა მთელს დარბაზს თეატრისას თავიდან ბოლომდე<sup>6</sup>.

ილიამ აქტიურული ოსტატობის კიდვე ერთ მხარეს მიჰქცია ყურადღება. კერძოდ, დიქციონი, მეტყველების საკითხს. ეს დიდი თემაა. იგი პირდაპირ კავშირშია სცენური ხელოვნების აზროვნების, მისი სტილის პრობლემასთან. ილია ჭავჭავაძე არაერთხელ მუშაობდა ამ საკითხს.

მას ვერ წარუბოლოვანია მსახიობის ხელოვნება მეტყველების პრობლემისაგან გამოცალკეებულად. მის ნააზრევში იგი იკითხება, როგორც ერთი მთლიანი მოვლენა, სცენური მხატვრული სახის დედა-ბოძი, მისი ორგანული ნაწილი. მართალი და სწორი მეტყველების გარეშე ვერცერთი დიდი სახე ვერ წარმოდგინება. ილია ჭავჭავაძე საზუსტესი აღნიშნავს, რომ გამყრელიძემ „სიტყვა-პასუხის კილო მშვენიერი ადგილიონა. მის ლაპარაკში თითქმის ყოველი სიტყვა თავის გამოვლინების შესაფერის კილოთა იყო თქმული, როგორც კუთვნილია“.

გამყრელიძის სცენური მეტყველება განხილულია მოქმედებასთან, ლეონიძის მხატვრული პორტრეტის შექმნასთან. მის ფორმასთან ორგანულ კავშირში. ილია აქ შესრულების სტილური მთლიანობის საკითხსაც ეხება. გმირის ჩაცმულობიდან მოყოლებული, იგი ყველაფერს გმირის ბუნების თავისებურებას უკავშირებს. „ჯერ ერთი შესაფერისად მორთული იყო“, — წერს ილია, — „მერე ყოველი მიხრა-მოხრა, ყოველი მოძრაობა... შეესაბამებოდა ძველს, დარბაისელს ქართულს“. ამას მოხდენდა აქტიურული შესრულების მანერის ფორმიული ელემენტების ანალიზის, რომელიც როლის ბუნების რეალისტური გადაწყვეტით არის გაპირობებული. „არც ჭიშკა, რომ აცა დიდხელოვნების კაცის როლსა ვთამაშობ და გავიბრძნობო, არც გრეს და პრანჭვა, გაჭაჭვა, რომ აცა გვირად გამოფინდყო, არც ერთი ამისთანა უმსავესლო არ მოსვლია ბ-ნი გამყრელიძეს“. და შემდეგ გამყრელიძემ ისე შექმნა ნამდვილი გმირი, რომ „არც ბუვი დაუტრავს ამისთვის, არც ნადარა“<sup>7</sup>. ეს არის რეალისტური სამსახიობო ხელოვნების პრინციპის დაცვა და აღიარება. ამიტომ ფასდადებელია ილიას ნაწილი და ამავი ქართული რეალისტური სამსახიობო ხელოვნების საფუძვლების ფორმირებაში. როცა ილიას დასახელებულ წერილზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავგახსენდეს შექმნილის „ჰამლეტი“. შესაბამისი მოქმედების მეორე სურათში ჰამლეტი მსახიობებს ასე არივებს:

„უთხოვ, ეს ლექსი ისე წარმოსთქვა, როგორც მე თვითონ

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძის ყველა ციტატა დამოწმებულია წიგნიდან „ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ“, კრებული, „ხელოვნება“, 1955 წ.



განგე, თავისუფლებით და ძალ-დაუტანებლად, მაგრამ თუ ისეთი ყვირილი მორთე, როგორც ზოგიერთ ჩვენს აქტიორებს ზნდა სჭირთ, სჯობს ჩემი ლექსები ქუჩის გზის გათქმევი-ნო". შემდეგ მსახიობებს არიგებს თუ როგორ წარმოსთქვან სიტყვა, როგორც ვაგვეული მოქმედების გამოხატულება. „ნუ გააპობ პაერს, აი ასე, ხელების ქწივით და სიწყნარით მოი-ქვ, ნურც ძალიან მოღვინდები და შენივე გონიერება მრჩეუ-ლად იყოლიე. მოქმედება სიტყვას შეუფერე და სიტყვა მოქ-მედებას". განა გინაილერი შექმნიის ამ ნააზრების კვალთ არ იკითხება ილიას წერილში? მაგრამ ეს არის არა მიბაძვა, არამედ ერთ თეატრალურ-ესთეტიკურ პრინციპზე დღმთა, სცენური აზროვნების რეალისტური სტილისა და მანერის აღიარება, სამსახიობო ხელოვნების „წმინდა“ ბუტაფორუ-ლობისა და სიყალბის ყოველგვარი დანაშრეებისაგან, რომე-ლიც არა იშვიათად იჩენს ხოლმე თეატრში თავს.

ილია ჭავჭავაძემ სცენაზე შეუმჩნეველი და დარჩენია პატა-რა, თითქოსდა, უმნიშვნელო დეტალები კი. კერძოდ, ერთ-ერთ სპექტაკლში მისი ყურადღება მიუქცევია უსიტყვო როლს. მო-სამართლის დარაჯის აზრანი დაგომას, მის ყურადღებაზე „სცენურ ცხოვრებას“ ვეროვანი ზღვრის მიერ ილიამ სცენა-ზე დარაჯს სალაპარაკო არაფერი ჰქონია, მაგრამ იმდენად უმარჯვია შემსრულებელს, რომ დასურბელის მიწონება და ყურადღება დაუმსახურებია. ილია ჭავჭავაძე ამის შესახებ წერს: „შესანიშნავი იყო ამავე პიესაში „სტროფი“ სასამართ-ლოსი. სცენაზე ბევრი სალაპარაკო და სამოქმედო არ ჰქონდა რა, მაგრამ იმოდენად ხერხიანად იყო, ისე თავის დროზე და გარემოების შერჩევით გაივლ-გამოივლიდა ხოლმე, ან შეადე-ბდა და გათავად კარებს, ან ისე სასაცილოდ აიტკუზებოდა, არც არავის უშლიდა, არავის ეჩხრებოდა წინ“...

ასე დეტალურად იხილავს ილია უცნობი მსახიობის შესრუ-ლებას. მისი ყურადღება და სითბო სწვევლიდა ყველას. ილია დღმი მოთხოვნილების კრიტიკოსი იყო, არავის არ აპატიებ-და ნაკლს, მაგრამ, ამასთანავე, დიდ გულმხურვალეობასაც იქ-ნდა. ბევრი მსახიობი დღლოცა მან, ბევრს გაუკვლია ცხოვრე-ბის გზა.

ამ პატარა დეტალში კრიტიკოსის გულისხმიერების გამე-ღაწვება კი არაა მთავარი, არამედ უფრო მნიშვნელოვანი და პრინციპული — ანსამბლის პრობლემა.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ქართულ თეატრს მუდამ აწუხებდა ანსამბლის საკითხი, მაგრამ იმდენ-და ძლიერი იყო „კრიმლ სკულპტურების“ აქტიური დინდი-ვიდუალიზმის, გასტროლირი და პრემიერი მსახიობის ინს-ტიტუტი, ისე ძალსა და რბილში იყო იგი გამჯდარი, რომ სცენაზე ხშირად მთავარი გმირის გარდა, თითქმის ყველაფე-რი იძირებოდა „საერთო პლანში“. მსატყურე სახეისა ნივე-ლირების ტენდენციას შეებრძოლა ილია. მან დარაჯის როლის გამორჩევი, არსებითად ანსამბლის პრინციპზე დაიცვა. უფ-რო ზუსტად კი წინამორბედი გახდა იმ დიდ ბრძოლისა, რომე-ლიც მოქმე საუკუნეში ქართულ პროფესიულ რეჟისურას ზედა წილად.

ილია ჭავჭავაძემ მრავალმხრივ საინტერესოდ გააანალიზა კ ყოფიანის შემოქმედება, მისთვის ჩვეული პირდაპირობით შენიშნა ნაკლოვანებანი და შეუქოი რჩებანი. „იმომევა აზ-რისა და სიტყვის შესაბამისი და შესაფერი იყო“. ამასთანავე, ილიას აზრით, კ. ყოფიანი თავისი გმირის (ზამბახოვი) ფი-ზიკური მდგომარეობის გადმოცემის დროს ზოგჯერ ზედმეტად

უსვამდა ხას დაძაბულობას. „ჩვენ გვიდა ბ-ნი ყოფიანი უნაკლოდ დაგვენანებოდეს ხოლმე სცენაზე“.

ილიას მსახიობის არც თვითმოყოფადობის საკითხი გამოჩინე-ნია. დ. აწყურულის ნიჭის შეფასებისას სწორედ ამ მომენტზე აჩრებეს ყურადღებას. „მას იმოდენა ნიჭი აქვს, ჩვენის ფე-ქრით, რომ შეუძლიან თავისებურთა გამოიჩინოს, თვით-მოყოფე არტიზიტობა გასწიოს, სამწუხაროდ ჩვენდა, თავის იმე-სა ბაძევეს ჰხარჯავს. იგი მარტო იმას ცდილობს, რომ სხვას ემეგავსოს და არა თავის თავს... ეს ნით უფრო სამწუხაროა, რომ ბ-ნს აწყურულს სათავისთავო ნიჭი აქვს“. ასე მკაცრად, მაგრამ სამართლიანად, მსახიობის დარსობის დაცვით გააანა-ლიზა აწყურულის ნიჭის ავტორიტეტობა და ამით ქართულ მსახიობის ხელოვნების ერთ-ერთ პრინციპულ საკითხზე გა-ამახვილა თეატრის ყურადღება, სამსახიობო ხელოვნების რთული სამართლის ფარული და საჩინო მოტივები, მის ღრმა შინაგან დინამიკას თავისებურების კრიტიკოსისაგან მოით-ხოვდა ღრმა ანალიზს, თეატრალური ხელოვნების სპეციფი-კის ცოდნას. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ ერთობ დღდი მისიის შესრულება განიზრახა. მათ უნდა ჩამოეკლებინათ: თავისი დროის თეატრალურ-ესთეტიკური შეხედულებები. განესაზღვრათ თეატრის სოციალური ფუნქცია, მისი ეროვნე-ლი მნიშვნელობა, დაეუმუშავებინათ დრამატურების, მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის საკითხები. ეს ის პერიოდაა, რო-ცა ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა ერთად თანა-საზრდობენ, მეტწილად ერთი და იმავე პიროვნების ხელში არიან მოქცეული, სინთეზი ამგვარი კრიტიკული აზროვნები-სა მეტად საცნაურია გასული საუკუნის სამოცანელთა მოდ-ვაწკობაში.

ილია ჭავჭავაძემ სპეციალურად განიხილა თეატრალურ კრიტიკის თავისებურებანი. მისი აზრით, იგი ბევრად უფრო რთული და პასუხისმგებელი საქმეა, ვიდრე კრიტიკის სხვა სფე-რი. „სხვაგვარს რეცენზებს, — წერს ილია, — საქმე ერთ კაცთანა აქვს და ამიტომაც ადვილია გაუთამამდეს იმის წყრომასაც, თუ სიმართლე აიძულვს დაეწუნოს რამ და გა-უძღოს იმის ყბადღებასაც“. მაგრამ სულ სხვა პრობლემაა თეატრალური კრიტიკოსი. „აქ ბევრი კაცია ხელმეხასებელი და სიმართლის სასწორზედ ასაწინი. პიესის ავტორი, რეჟისო-რი, არტიტები“. არც ამით მთავრდება თეატრალური კრიტი-კოსის სირთულე. „დასაფიქრებელი არის ანის, რომ ერთზედ თქმული ბევრს სხვასაც შეუხებდა ხოლმე“. მაშასადამე, საქმე ექება კოლექტივის საერთო შეფასებას. ილიას აზრით, შემო-ქმვედ განსაკუთრებულად გაფაქიზებული აქვს თავმოყვარე-ობის გრწინა, მტკიუნეულად განიცხდის შენიშვნას, მაგრამ კრიტიკოსს უღუვდა არა აქვს თვალის დახუჭოს ნაკლებ, მაგ-რამ როცა კრიტიკოსი „წუნას სდებს რომელსავე დამოქმედარს ხელოვნისათ, მისი სიტყვა და წუნისდება უნდა აიწონ-დაიწო-ნოს სიმართლის სასწორზედა. სწორედ მოგახსენებ, ქების თქმაშიაც ამავე გზით უნდა დაჰმასდეს რეცენზენტის სიტყვა“.

ეს არის კრიტიკოსის მაღალი პროფესიული და მოქალაქე-ობრივი მოვალეობა. ილია ჭავჭავაძე ამავე წიგნით თავად იძლევა სანიშნო თეატრალური კრიტიკოსის ვეალობის. იგი დიდ ტაქტიკურ და გულწრფელობით, საგნის ცოდნითა და სიღრმით განიხილავს მკო საფაროვას ბენეფისს. ილია მკაც-რად აკრიტიკებს დღდი მსახიობის მიერ შეჩერულ პიესას („დავიდარბა“). ილია წერს: „მაგისთანა შესანიშნავს არ-ტიტისტ ქალსა თავის ბენეფისისათვის იმისთანა პიესა უნდა

ამოერჩია, რომელიც მისის ნიჭისათვის ფართოდ ფრთავასაშ-  
ლელი ყოფილიყო. ნაკვლად ამისა, საღამოს უაზრო სიცი-  
ლი და ხარხარი იყო. „ეგ განა დირსება, მაშინ როდესაც  
მაგ სიცილის შემდეგ რაღაც მჭკვარტილი გადებოდა კაცის  
გულს?“. ამას მოსდევს პიესის განისა და მორალის ღრმა  
ანალიზი. ილია ერთმანეთისგან გამიჯნულად იხილავს როსსა  
და შემსრულებელს. პიესის „ფეროსა“ და მსახიობის სამკე-  
ვიდროს, მის შემონაქმედს.

ილია ჭკვაჭავაძე სამსახიობო ხელოვნების მრავალ პრობლე-  
მას შეეხო. სხვადასხვაგა მისი ხედვის წერტილები და ამიტომ  
ფართოა მისი თეატრალურ პირობებშია თვალსაწიერი ილია  
გულისტკივილით შენიშნავს ქართული თეატრის ბევრ უარყო-  
ფით მხარეს, რაც სწორად სოციალ-ეკონომიური პირობებით  
იყო გამოწვეული: სკვდით, გულისტკივილით ლაპარაკობს იგი  
ქართული მსახიობის ბედზე. რეცხიბრძოლა პატარა ერის  
შეიღობა მატ მსხვერპლს მოითხოვს შემოქმედისაგან, —  
ამბობს ილია. ისეთი მსახიობები, როგორც ვ. აბაშიძე, მაკო  
საფარო და ნატო გაბუნია, ყველა ხალხის თეატრებს დაამ-  
შვენებდნენ და კეთილ მოწყობილია მათი ეკონომიური ცხოვ-  
რება, მაგრამ ჯილდოდ და სატანჯველად ბედმა მათ ქართუ-  
ლი თეატრი არგუნა. ქართველმა ხალხმა ისტორიული მისია  
დაკარგა მათ. ისტორიული როლი უნდა შეესრულებინათ ქა-  
რთული კულტურის განვითარებაში. ასეც მოხდა.

ილიას სცენის ოსტატების გახსენება ერთი ინტელიგენტი  
მაყურებლის გულისტკივილით ნათქვამს აგონებს. „ამ არტის-  
ტების უბედურება ის არის, რომ ქართველებად არიან საბადე-  
ბულინი. გეგენ რომ ან რუსეთში იყვნენ, ან სხვაგან სადმე და  
რომელიმე ეპიკურებულნი უნა მსკვდნოდ და ისე ეთამაშ-  
ნათ, აუარებელს სიმდიდრეს და დიდ სახელს შეიძენდნენო.  
მართალიც არის“. რა ჩვენე დასტური სჭირდება ილიას ამ  
სიტყვებს? ამიტომ მის მიერ შენიშნულ სხვა საკითხებს უნდა  
შევიხილო.

ქართული თეატრის სპეციფიური პირობებით აიხსნებოდა  
ისიც, რომ ქართველ მსახიობებს სწორად მოკლე დროში უხ-  
დიოდნათ როლების მომზადება. ილია ჭკვაჭავაძემ კარგად  
იცოცდა თუ როგორ იყო ამ მხრივ ევროპის მსახიობთა მდგო-  
მარობა. ქართველი მსახიობები, „ერთნი და იგივენი კვირაში  
ერთხელ სულ სხვადასხვა პიესებს ამზადებდნენ, ხანდისხან  
კვირაში ორჯერაც და მერე რა რიგად პოთაშობდნენ!..“

ეს რომ უხვბათ ვისმეს ევროპელს, არ დაიჯერებს. იქ რო-  
მელი არტისტი გაჰმდებს სცენაზე გამოვიდეს, რომ ათი და  
ოცი რეპეტიცია არ გამოიაროს, სულ ცოტა ორი და სამი თვე  
არ ემზადოს.

ილია ჭკვაჭავაძემ იცის ყოველივე ეს და მაინც უკომპრომი-  
სოდ იხილავს მსახიობთა ნაღვალსა და ნაამაგარს, მათი შე-  
მოქმედების შუქ-ჩრდილებს. ბრძენ კაცს არც ის ავიწყდება,  
რომ მსახიობმა როლი კარგად უნდა დაისწავლოს, შეისისხლ-  
ხორცოს, რომ დაუმეგებელია სუფლიორის იმედით თამაში.  
„ჩვენნი მსახიობი იმგვარ პირობებშია, რომ ცოცხავს არის შევ-  
ნიშნოთი სიბრძნე როლების უცოდინარობა, მაგრამ მაინც ამ ცო-  
ვდავს კვისრულობით ვეცდებით, რომ ბატონი საფაროვისან  
და ბ-ნ აბაშიძემ როლები საკმაოდ არ იცოდნენ კვირა დღეს“. ილიამ  
მისგან მრავალჯერ განდიდებული, მისი სათავეებზელი  
მსახიობებიც არ დანდო. ქართული თეატრის ქურუმებს არ  
მიუტყუა ნაკლი, სხვა წერალთა არც. გაბუნისა აბატია, როცა

მსახიობი აჭარბებდა სცენაზე, აყვავა მაყურებლის გულისყურს  
და ამოდ გაისარჯა სიცილისათვის. ეს „დიდ ცრდენი“ უნდა  
ჩათვალოს ბ-ნს გაბუნისა, რომლისთვისაც დღმრთის დიდის სი-  
ხებით მიუმადლებია შეუღარბეული ნიჭი არტისტობისა. რო-  
გორ მკაცრად, მაგრამ რა ზომიერად აჭირბიკებს მსახიობს  
წყენისათვის აქ ადგილიც კი აღარ რჩება!

ილია ჭკვაჭავაძე უპირობეს მინიშნებლბას ანიჭებს შესრუ-  
ლების ბუნებრიობას, მის ესთეტიკურ ღირებულებას, სცენა-  
რი სახის ფორმისეული ძიებნის განაღლებული უნდა იყოს აშ-  
რით. მსახიობმა მკაფიოდ, გარკვევით უნდა უხვრას მაყურე-  
ბელს რის თქმა უნდა მაგანი და მაგანი როლით. საით მოუხ-  
მობს მაყურებლის სულსა და გულს, რა გზით წარმატავს  
მის ყურადღებას. როლის ზნობრივი იდეალი კარგად უნდა  
იკითხებოდეს შესრულებაში. ილიას ამ ნაწარში ჩანს, თუ რა  
დიდ იდეურ-ესთეტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს იგი მსახიო-  
ბის შემოქმედებას. სხვაგვარად თეატრს არც შეეძოდა ხალხის  
მოდგარისა და სულიერი წინამძღოლის ფუნქცია შეესრულე-  
ბინა. არავის არ აპატიებდა გზიდან ამ გადახვევას. გამორჩილ  
მსახიობთა ცალკეულ წარუმატებლობაში, იგი მუდამ იმას  
ეძებდა მაშინ ხომ არ იყო რამე ზოგადი და კანონზომიე-  
რი, რაც ქართული აქტიოროული ხელოვნების ნაკლზე მიგვა-  
ნიშნებდა? თუ არა ეს, — ვამ რა საწყისზე ამოვიდნა ნაკ-  
ლი, რამ განაპირობა იგი? ასე შეიძლება გაგრძელდეს კითხ-  
ვათა რიგი, რომელიც ვრთას და იმავეს ავადსატურებს: ილია  
ჭკვაჭავაძე თავისი დროის მოწინავე პროფესიული თეატრალუ-  
რი აზროვნების დიდი წარმომადგენელი იყო და მას ჩინებუ-  
ლად ესმოდა მსახიობის ხელოვნების როლი და მნიშვნელო-  
ბა. „ვერ მოუწონებთ თამაშობას ბ-ნს საფაროვისა... ამ-  
ბობს ერთ-ერთ წერილში. რატომ? იმიტომ, რომ მან ერ-  
გამიქართულებელ პიესაში („ცოლი—მეღლი“), მეუღლის  
როლის განსახიერების დროს დაზატა ცუდი ზნობის ქალი,  
მაგრამ აწივნა სოციალური საფუძველი მორალისა. „იგი  
მსხვერპლია, — ამბობს ილია. ავად გაზრდილობისა და არა  
ცვალსა და რბილი გამყდარ ავ-ზნობისა“. ამიტომ მაყუ-  
რებელში ეს ქალი ზიზღს იწვევს. და არა სიბრალულს.  
როლის ბუნება კი მოთხოვდა მაყურებლის პროტესტს, გუ-  
ლისწყრომას იმ სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ.  
რომელმაც მწვენიერი ქალი გზას აკადინა. არასწორად გააზ-  
რებულმა როლმა ის შედეგი მოიყვანა, რომ „მსხვერპლს ვახ-  
დვიზნებით იმ სასჯელს; რომელიც მემსხვერპლს, მსხვერპ-  
ლის მიზნებს უნდა გადახდომოდ“, არ შეიძლება აქ არ მოგ-  
ვაგონდეს დ. კლამპლის წერილი გურგენის ქალისადმი.  
წერილში გამოთქმულია ზოგიერთი რჩევა „მსხვერპლის“  
ადამასთან დაკავშირებით. „ალაპარაკეთ ფეფენა არა როგორც  
მტარალი არამედ როგორც თვითონ მსხვერპლი, ხნელი, გაწ-  
ვალბული ცხოვრების მსხვერპლი, დატანჯული, გაკაყვეული,  
ერთი სიტყვით, იმის მოთხოვნი ვიქნება, რომ მწავრული  
სიბნელე იქნას გამოსასული და ის, რომ მას მსხვერპლად ეწი-  
რება ადამიანი, იგი გაკაყვეულია, გულჭკვაჭავებულია ცხოვ-  
რებისაგან და არასოდეს ცუდი ადამიანი არაა.“

თეატრისაგან „მსხვერპლი სიბნელის“ წინააღმდეგ ბრძო-  
ლას მოითხოვდნენ ილია ჭკვაჭავაძე და დავით კლდიაშვილი  
— მათი პირთ კი მიყლი კლასიკური მწერლობა. ამიტომ  
თქვა აკაკი წერეთელმა „მძიმე უღლია და მწარე ტვირთია  
არტისტის ხვედრი“, განსაკუთრებით ჩვენშიო. ქართული  
წერლობა გრძობდა ქართული თეატრის სპეციფიკურ სირ-

თულეს, არ აკლებდა მას გულმხურვალე სიტყვასაც და შენიშვნასაც, რადგან ერთიცა და მეორეც ეროვნული თეატრალური კულტურის განაგრებისათვის იყო გამიზნული, დიდი ილია ბრძანებდა: „ჩვენმა თეატრმა, მისმა ზრდამ და გამძლეობამ ცხადი მაგალითი გვიჩვენა იმისა, თუ რა შესძლებია მწიფობას, საქმისათვის თავდადებას, ტყუილად კი არ უთქვამთ ჩვენთა წინაპართა, მხნე იყავ და გაძლიერდი“. ილიამ მისგან მრავალჯერ შექმნულ საფაროვას არ აპატიო როლის სოციალური საფუძვლების უარყოფა, მაგრამ არც ის დაივიწყა, რომ ამავე როლში „ზოგიერთის ადგილას ბ-ნი საფაროვისა მაინც არტისტი იყო და არტისტი“. (გ. ი. ნამდვილი არტისტი!). ამ სტრიქონში ისიც ჩანს, რომ აქ ილია ერთმანეთისაგან გამოყოფს როლს და მისი შესრულების ოსტატობას. აკი ერთხელ ვ აბაშიძესაც შენიშნა, რომ მახინჯი სულის ოსტატურად გამოხატვა ზოგჯერ (როცა ნათლად არ ჩანს აქ სულის მხილება!) უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე არ-შესრულება. მაშასადამე, ილია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მსახიობის პოზიციას. საბოლოოდ ავგარვანობა, მისი საზოგადოებრივი ღირებულება მასში უნდა დაჯამდეს.

მსახიობის ხელოვნებაში არაფერი არ არის უმნიშვნელო, როცა იგი სცენაზეა, ყველაფერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ყველა დეტალისა და ნიუანსის პარმონიულ მთლიანობაში ჭერტეს მხატვრულ სახეს. აქ ფასეულია ხმაყა და თვალბეჭ, სხეულის მოძრაობაც, ჟესტიკი, ინტონაციაც, ფიზიკური აღნაგობაც, ერთი სიტყვით, მთლიანობა მთელი თავისი განუსაზღვრელი მრავალფეროვნებით. ილია ჭავჭავაძისათვის სიცილცა და ტირილიც ერთნაირად მნიშვნელო-

ვანია, თუ იგი ბუნებრივად იბადება, თუ აკმაყოფილებს ეთეტურ ნორმებს. მას არ უყვარს „თეატრალური ტრეშოკი“, „თეატრალური სიცილი“, ამით იგი პირობით თეატრალურ საშუალებებს როდი უარყოფს. მისთვის ყველა ფორმა მისაღება თუ იგი რეალისტურ სამსახიობო ხელოვნების არჩევაშია წარმოქმნილი, აქ კი ილია მართლაც უკომპრომისია. მისთვის რეალიზმი ყველაფერია. ამიტომ აღარ გვიკვირს, როცა მის თვალებს შეუშინეველი არ ზრება არაფერი, რაც რეალიზმის გზიდან გადახვევას მოასწავებს.

სცენაზე მსახიობის გამოსვლა, სიარულის მანერა, თავის დაჭერა ილიასთვის მეტად მნიშვნელოვანი მომენტებია აქტიორული ხელოვნების უკიდვანხო სამყაროში ოდითგანვე ძვირფას თვისებად ითვლებოდა თავის დაჭერა, როგორც სცენური კულტურის მანიშნებელი რამ. ილიას წერილებში არც ვა მომენტია დავიწყებული, „არც ერთმა ჩვენმა არტისტმა ჭალმა არ იცის, როცა საჭიროა დედაკაცურად თავის დაჭერა იმოდენად, რამდენადაც ბ-ნ ავალოვისამ“ — თქვა ილიამ და მას ანგარიში არ გაუწევია მათ ავალიშვილის ქალის ამგვარი შეფასება. ილია, როგორც კრიტიკოსი, მუდამ მაღლა იდგა პირად სიმპათიებზე და ანტიპათიებზე.

მაგრამ არც ავალიშვილის ნაკლი დარჩენია შეუნიშნავი, მსახიობის შესრულებას, როგორც „გამომსახველს გულის მოძრაობისას, რაც შეეხება სიტყვა-პასუხს, ლაპარაკს როგორც გამომტყველს იმავე გულის მღვდელარებისას — ყოველს ამაში გულგრილობა ტყუობოდა“.

აკი სიტყვის ამბობს მთაწმინდის პანთეონში ილიას ძეგლის გახსნაზე 1913 წელს



ილია ჭავჭავაძემ სამსახიობო ხელოვნების პრობლემების კვლევა-ძიებით წინ უძღოდა ქართული თეატრალური აზროვნების განვითარებას, იგი თანდაროული მსოფლიო თეატრალური პრობლემების ცოდნითა და გაგებით, სპეციფიკურ საკითხებში წვდომით იხილავდა თეატრალური ესთეტიკის პრობლემებს. მისი დრამა თეორიული აზროვნება სამსახიობო ისტორიის საკითხების კვლევაში გამოჩნდა. მან დრამატურგიისა და სამსახიობო ხელოვნების პრობლემებთან ორგანულ კავშირში განიხილა რეჟისურის საკითხებიც.

\* \* \*

არსებითად, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის პერიოდში მოხდა რეჟისორული ხელოვნების, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის, ფორმირება მსოფლიო მასშტაბით. პროცესი რეჟისურის წარმოჩენის უფრო ადრე დაიწყო (მაგ. მეინინგლების თეატრი), მაგრამ მე-19 საუკუნის მთელი ნახევრიდან მოყოლებული, მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის რეჟისურამ უკვე მოასწორო რამდენიმე ეტაპის გავლა (დრამატურგთა რეჟისურა, მსახიობთა რეჟისურა), რომელიც საბოლოოდ ერთსადაიმევე წიქვლივ ახსანდა წყალს. სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ რეჟისურა თეატრის დამოუკიდებელი კომპონენტი ხდებოდა. მთავრდებოდა მისი „შეათვისების“ ეპოქა. ამას კი სჭირდებოდა თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შექმნა. ისტორიულად ამ დიდ საქმეში განუსაზღვრელი როლი შეასრულა მწერლობამ, მან ნოეიერი წინადაგი ურუმზადა რეჟისურას, მის დამოუკიდებლობას შეუქმნა ერთგვარი „დეკლარაცია“, აღიარა რეჟისურის როლი, თეორიულად გააფორმა მისი მნიშვნელობა თეატრში. და ეს ყველაფერა იმდენად საფუძვლიანი იყო, იმდენად ძლიერი იქნა მისცა მან, რომ მეოცე საუკუნის თეატრის სათავეში მოექცა რეჟისორი, „XX საუკუნე, — წერს გ. ტოვსტრონოვი — ატომის, თანამკაზრების, კიბერნეტიკისა და რეჟისორის საუკუნეა“. შეიძლება, ჩვენი საუკუნისათვის დამახასიათებელი ყველა დარგი არ იყოს აქ მოხსენიებული, მაგრამ რეჟისურა (სიტყვის ფართო მნიშვნელობით) რომ ამ საუკუნის წაყვანილ ხელოვნებად იქცა, ეს უდავოა. პოდა, მის ასეთ აღწევებაში თავისი წვლილი შეიტანეს მწერლებმაც. დასული ევროპისა და რუსეთის კლასიკური მწერლობა ბევრს ფიქრობდა თეატრზე, მის ყველა კომპონენტზე. გულისყურით არკვევდა თეატრალურ პრობლემებს საერთოდ და რეჟისურისას კერძოდ. ამ საერთო დინებას ორგანულად უერთდება ქართული მწერალთა თეატრალური ნაწარმიც.

ილია ჭავჭავაძემ საფუძვლიანად განიხილა რეჟისურის სხვადასხვა საკითხი. ეს საკითხები უშუალოდ არის დაკავშირებული თეატრალურ პრაქტიკასთან. არავისთვის არ არის საბედლოდ, რომ ძველ თეატრში (როცა ზოგჯერ სპექტაკლი სამი-ოთხი რეპეტაციით იდგმებოდა) ხშირად მსახიობები როლების შესწავლასაც კი ვერ ასწრებდნენ ხოლმე — ეს დიდი და ერთობ გავრცელებული ნაკლი იყო (ილია მან „უხამს ჩვეულებას“ უკრძალეს!). ვინ უნდა შეზღუდებოდა ამ მოვლენას? საჭიროა ამ საგანს „სასტიკი ყურადღება მიაქციოს რეჟისორმა“, — ამბობს ილია. „იმედია, რომ ბევრით რეჟისორი მოსპობს ამას“, — დაასკვნის იგი. მაშასადამე, საქმე ექნება რეჟისორის პასუხისმგებლობას მსახიობის მოქმედებაზე. ხოლო თვისე კონტროლისა და მოთხოვნის უკუდას აქვს, იგია ხელმძღვანელი. ილიასათვის რეჟისორი ის დამიანია,

რომელიც მოვალეა „სასტიკი ყურადღება“ მიაქციოს მსახიობთა პროფესიონალიზმს. ამიტომ ილია როლის გაქვავების როდი მოითხოვს. „მარტო სიტყვების გასწავიარება-აუთუთუებასაც შეუძლიან. საქმე სიტყვის, თქმის კილოს პოვნაა“. ასე მადლ შემოქმედებით მისას აკისრებს მსახიობს და მის ხელმძღვანელ რეჟისორს.

მე-19 საუკუნის თეატრში ერთობ გავრცელებული ფორმა იყო ამპლუა. იგი არსებითად მსახიობის შესაძლებლობის ერთგვარ შეზღუდულ ხასიათს გულისხმობდა, ე. ი. როცა მსახიობი ასრულებს ერთგვაროვან როლებს, ერთი ქანრის ა მონათესავე თვისებების ხასიათების გამოხატვა დროთა მანძილზე წარმოშობს სტილური ხასიათის მსგავსებებსაც. ყოველ მსახიობს თავისი „ხაზი“, თავისი მანერა, ვანრი, თავისი გზა უნდა ჰქონდეს. ყველაფერი ეს შეიძლება ერთ სიტყვაში (ამპლუა) მოექცეს. იგი სრულყოფილი და გულახდილ მსახიობის შესაძლებლობის დაოკებას, მისი მრავალფეროვნების ნივთიერებას. და რაკი ეს ასე იყო, იმამინდელი თეატრის მტიკივდ იცავდა ამპლუსის პრინციპს. კომედიის პრინციპის თანამებოდა მსოფლიო კომედიებში ამ დრამის კომედიურ როლებს და ა. შ. ამ სფეროში უნდა მოქცია მსახიობს ახალი საშუალებები, ახალი ფერები, ნიუანსები, მის წიაღში უნდა დაბადებულყოფილ ახალი სახე. ილია ჭავჭავაძე აკრიტიკებს რეჟისორს, რომელმაც ვერ დაიღვია ეს პრინციპი. „ჩვენ გვეონია, — წერს იგი, — რომ დიდი შეცდომა რეჟისურისაგან, რომ ცოტად თუ ბევრად სადრამო როლს აკისრებენ ხოლმე იმისთანა არტისტებს, რომელსაც საზოგადოებამ თვალთ შეაჩეია როგორც კომედას“. მაგალითისათვის ასახელებს ვ. აბაშიძეს. ილია ერთბაშის აკერებს მსახიობის ორ როლს. ერთს სადრამოს და მეორეს კომედიის, მაყურებლის სიყალბე იწვევდა ორივე შემთხვევაში, მაგრამ ერთი როლის ბუნების დაწინააღმდეგოდ ხდებოდა, ხოლმე მთელი შესაბამისად. აი ეს მეორეა ნამდვილი. ვ. აბაშიძე აქ ქმნის ტიპს. ეს „ტიპი“ ყველასაც ჰკავს ზოგადად და არც ერთსაც ცალკე“. ამ ქანრით არის დაჯალბებული აბაშიძე და რეჟისორის სხვა გზით არ უნდა წარმართოს მსახიობი.

დ. ერისთავის „სამშობლოს“ ერთ-ერთი დადგმის გამომცემი წერდა: „გარეგანი მოკაზმულობა უცნობა ურიგო არ იყო. ჩვენ გვეონია, რომ უნიხილვეს სფერო მეტად მცადინეობა ეტკიობდა, როგორც არტისტების ჩაცმა-დასურვას, ისე სკენის მორთულობას. ჩვენ არ გვასოსებს, რომ ყოველივე ეს უნდა როდისმე უკეთესად მოწყობილი ყოფილიყო“. მეტად საკულისში სიტყვებით მე-19 საუკუნის 90-იან წლებისათვის. რეჟისორის ხელი უკვე თანდათან, უფრო და უფრო საგრძნობია. სპექტაკლის მოსაზრება როგორც მთლიანი მხატვრული მოვლენა, რეჟისორის წარმატებულ შეტყვევებლად.

ილია ჭავჭავაძის მიერ განხილული თეატრალური პრობლემების ფართო წრეს, არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ თანამედროვეც. დრამატურგიის, სამსახიობო ხელოვნებისა და რეჟისურის საკითხები — ეს ხომ თეატრის ძირითადი პრობლემებია. ილიამ ქართული თეატრის მკაცრად ლითით, საერთოდ თეატრალური ხელოვნების, ურთულეს საკითხები განიხილა ისევე, როგორც ყველგან, — თეატრის დამკარაზივი გამოჩნდა ერთგული გმირისა და ბრძენკაცი დეკლამისილი სახე.



140

# ილია ჭავჭავაძის იპონოგრაფიული ფონდი ლიბერატურულ მუზეუმში

დავით შულღიაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის უნიკალური ფოტოსურათები დედნების სახით. ხშირად ამ საინტერესო ფოტოლოკუმენტებს ახლავს განმარტებითი წარწერები, რაც უფრო მეტ ღირებულებას სძენს ამ მნიშვნელოვან ექსპონატებს.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა 1857 წლის 15 ოქტომბრიდან. იქ ოთხი წელი დაჰყო. ამ პერიოდის მუზეუმში დაცულია

ოთხი ფოტოდეიანი. ამასთანავე, დაცულია სტუდენტობის დროინდელი უნიკალური ფოტო, რომელიც გადაღებულია თბილისში (არდადეგების დროს), ილია „მეფე ლირის“ ცოცხალი სურათების დადგმის მონაწილეთა შორის, — 1859 წლის ზაფხულში.

1864 წელს ილია დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ, ხოლო 1868 წლის თებერვალში — დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ. ამ პერიოდს ეკუთვნის მუზეუმში დაცული უნიკალური ფოტოსურათი — „ილია დუშეთის საზო-



„ილიაობა“ საგურამოში 1896 წ.  
26 ივლისს.

გადობაში“. ილიამ დუშეთში იმსახურა 1868—1872 წლებში. შემდეგ ისევ თბილისის დაუბრუნდა და სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ინიშნება. ამავე დროს, ილია აქტიურად მონაწილეობს გაზ. „დროებასა“ და ჟურ. „კრებულში“, სადაც პერიოდულად აბეჭდებდა თავის თხზულებებს.

ილიას ფონდში, რამდენიმე ჯგუფური სურათია დაცული — გადაღებული ბანკის თანამშრომლებთან, — მათ შორის, ყველაზე საყურადღებოა ის ფოტოდენანი, სადაც ილია და იაკობ გოგებაშვილი ერთად სხედან ჯგუფის ცენტრში. (ჯგუფი მთლიანად გამოიფრულია. დ. შ.). ჯგუფში არიან აგრეთვე მწერალ-მოდელჟანი: ანტ. ფურცელაძე, კოტე მაყაშვილი, არტემ ახნაზაროვი, ნიკო ცხევიძე, კოტე ნასიძე, ელ. ანტონოვსკაია, სიმონ კლდიაშვილი, ნიკო ერისთავი (დეკლამატორი) და სხვანი.

ილიას სახელწოდების დღე — „ილიაობა“ მთელი ქართული ხალხის ზეიმი იყო (და საგურამოში იმართებოდა ყოველი წლის 20 ივლისს). ფოტოდენების სახით, რამდენიმე სურათია დაცული მუზეუმში. როგორც ჩანს, ილიას საეკიპლური ალბომი გამოუყვია (შეინდისფერი ყდით) და შიგ მოუთავსებია 1891-1895 წლებში საგურამოში ჩატარებული „ილიაობის“ სხვადასხვა ფოტოები, რომლებზეც ილია გადაღებულია თავის სტუმრებთან ერთად.

ასევე მურადლებას იქცევა „ილიაობის“ ერთი უნიკალური ჯგუფური ფოტო, სადაც ილიას გვერდით დგას ინგლისელი მწუხალი მარჯორი უორდროპი (რომელმაც ილიას „განდგვილი“ გამოსცა ინგლისურად 1895 წელს ლონდონში. დ. შ.), „იგი თავისი ძმითა და მშობლებით ილიას მოწვევით ჩამოსულა საქართველოში მეორედ 1896 წელს, — 20 ივლისს „ილიაობაზე“ დასასწრებლად საგურამოში.

ეს ფოტოდოკუმენტი განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ ილიას ამ დროს დაბადების 60 და სამწერლო მოღვაწეობის 40 წელი უხრულდებოდა და ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებით აღნიშნა ეს „ილიაობა“ 1896 წლის 20 ივლისს.

ამ დროს ილიასთან საგურამოში იმ უცხოელ სტუმრებთან ერთად, რომლებიც ილიას პატივსაცემად ჩამოსულიყვნენ საქართველოში, იყვნენ ქართველი ცნობილი მწერლები, ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწენა.

აი, როგორ აგვიწერს ამ „ილიაობას“ ეკატერინე გაბაშვილი: „...მშვენიერი სურათი წარმოვიდგა ყველას თვალიწინ: ორმოცამდე ცხენოსანი, სულ ყმაწვილი კაცები, ქართულ ტანისამოსში გამოწყობილნი, ხავერდის ქულაჯებით, ძვირფასი იარაღით ასმულნი მშვენიერ დარბაზულ ცხენებზედ წვეილწყვილად, ნელა, ნელა მიდიოდნენ და „მგზავრულს“ მწყობრად მღეროდნენ. მალე მოუახლოვდნენ იმ გორას, რომელზედაც ილიას სახლი იყო აშენებული და თქარათჭურით ამოიჭრენ ზემოთ, წინ მოუძლოდათ (პოეტი) გრიშა აბაშიძე თეთრ ტანისამოსში, თეთრ ცხენზე მჯდომი და ხელში ეჭირა უმველებელი ბაირალი ალისფერი ატლასისა ოქრომკედის ბაბით მოვლებული“...“ ეს ის დროშაა, რომელიც ლიტერატურულმა მუზეუმმა გადასცა ილიას სახლ-მუზეუმს საგურამოში და ამჟამად იქ არის ექსპოზიციაში. დროშაზე ოქრომკედით ამოქარგულია ილიას სიტყვები: „კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელივით თეთი დაიწვას და სხვას კი ზვას უნათებლს“.

\* იხ. „ლიტ. მატანე“ წიგნი 1-2, გვ. 106, 1940 წ. დ. შ.



დროში ილიას გადასცეს, რამაც იგი დიდად აღაფრთოვანა. მის ეს სახელწოდების დღე „ილიაობა“ 1896 წელს გრანდიოზულ სანახაობის წარმოადგინდა. სტუმართა შორის აქ იყვნენ: აკაკი ვაჟა-ფშაველა, პრფ. ილია ოქრომჭედლიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, გიორგი პატივიშვილი, არტურ ლასტი და სხვა. ამ „ილიაობის“ ერთ-ერთ ჯგუფურ ფოტოსურათზე ილია აღბეჭდილია თავის სტუმრებთან: ზემოთ ილიას გვერდით დგას მარჯორი უორდროპი, შემდეგ ილიას მეგობარი ეპისკოპოსი ალ. ოქროპირიძე, მის გვერდით ილიას მეუღლე ოლა, კინზე ზის ნიკო ხიზანიშვილი, მარცხნივ ზემოთ არტემ ახნაზარული, მასობივები: ვალერიან გუნია და კოტე მესხი, ოლივერ უორდროპი, არტურ ლასტი, ნიკო ლომოური, ილია წინამძღვრნიშვილი სამეურნეო სკოლის მოსწავლეებთან ერთად და სხვანი. ამ დროს არის გადაღებული ილია სტუმრებთან ბაკლის ქვეშ გამოღობი მაგიდასთან და თავისი სახლის ეზოში, აუზთან.

ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო პერიოდიდან საყურადღებოა ჯგუფური ფოტოდენანი, რომელიც ასახავს ილიას ყოფნას სოხუმში (1903 წელს), სადაც ბრწყინვალე სიტყვა წამოთქმავს აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიულ მეგობრობაზე (ეს სიტყვა დაბეჭდილია 1903 წლის 4 ივნისის გაზ. „ივერიაში“ № 118, დ. შ.). ილია, როგორც აფხაზეთის საპატიო სტუმარი, ჯგუფის ცენტრში ზის (სურათი გადაღებულია თავად შერვაშიძეების ბაღში ნადიმის შემდეგ. 1903 წლის 24 მაისს).

ერთ-ერთი ჯგუფური სურათი, — 1906 წელსაა გადაღებული პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს წევრებთან ერთად (ილია აქაც ჯგუფის ცენტრში ზის, როგორც საპატიო პირი — დ. შ.), ილიას მარჯვნივ პირველი დგას პროფ. მ. კოვალევსკი, ხოლო ილიას მარცხნივ ზის ცნობილი იურისტი ბ. ტაგანცევი და სხვები, რომლებიც პროგრესულად მოაზროვნეთა ჯგუფს წარმოადგენდნენ.\*

რაც შეეხება ილიას პორტრეტს, რომელიც ბოლო პერიოდს ეკუთვნის, გადაღებულია 1904 წელს მხატ. დ. გურამიშვილის მიერ (ილიას ფარულად — დ. შ.). აქ ილია საჩვენებელი თითით იხმობს მეეტლეს სასახლის ქუჩაზე.

გარდა ამ უნიკალური ფოტოდენებისა (რომლის ბაზაზე შეიქმნა ილიას სახლ-მუზეუმები — ყვარელში, საგურამოსსა და თბილისში), ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ჩვენი სახელოვანი მხატვრების ფერწერული ტილოები, სკულპტურული ნამუშევრები და სხვა მასალები, რომლებიც ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავენ.


ილიას ფონდში დაცულია აგრეთვე ფოტალბომები მსოფლიოს ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების; ილიასამდე მიძღვნილი ძვირფასი იკონოგრაფიული ძეგლები წარწერებით, — ჩასმული მოთქროვილ და მოვერცხლილ ძვირფას ჩარჩოებში. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს უორდროპებისაგან მირთმეული, სპეციალურ ჩარჩოში ჩასმული ფოტომონტაჟი, — მარჯორი უორდროპის სხვადასხვა სურათებით, მათ შორის ქართული ეროვნული ტანსაცმით და თავისი ძმისა და დედის სურათით.

მუზეუმში დაცულია ფერწერული სურათებიდან საინტერესოა მხატვარ გიგო გაბაშვილის მიერ შექმნილი ილიას პორტრეტი, რომელიც მხატვარს შესრულებული აქვს ნატურიდან 90-იან წლებში (№ 9194-ი).

საყურადღებოა მხატვარ მისე თოიძის მიერ შესრულებული კომპოზიციური სურათები: „ილია სიტყვას ამბობს ნ. ბარათაშვილის გამოსცვენაზე“ (№ 7828); „ილია კითხულობს გაზეთს, ივერიას“ (№ 8004-ი). ასევე ლაღო გუდაშვილის აკვარელით შესრულებული „ილია ჭაჭვავაძე პავლესკში ეკატერინე ჭაჭვავაძესთან“ (7836-ი); უჩა ჯაფარიძის მიერ შექმნილი მთელი ციკლი (აკვარელით) — ილია ჭაჭვავაძის პოემის „აკაკი ყაჩაღის“ ილუსტრაციები (№ 9050—9060), სევერიან მასაშვილის — „ვაჟა-ფშაველა ილია ჭაჭვავაძესთან“ „ივერიის“ რედაქციაში (7863-ი); ელენე ახვლედიანის ილუსტრაციები (აკვარელით): „ოთარანთ ქერივი“ (4888-ი), „მუშა“ (4890-ი), „განდევილი“ (4888-ი); „გლახის ნაამბობი“-დან (4893).

მუზეუმში დაცულია აგრეთვე სხვა ცნობილი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრები, რომლებიც ასახავენ ილია ჭაჭვავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ეს ნამუშევრები, გამოფენილი იქნა დიდი ქართული მწერლის ილია ჭაჭვავაძისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც მოამზადა გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა.

ილია ჭაჭვავაძის პოემა „განდევილი“. ინგლისური თარგმანი მარჯორი უორდროპისა.



\* იხ. ე. „განათლება“, 1908 წ. გვ. 110.





# ილია და მოსე თლიკე

## შალვა მარკოზაშვილი

1894 წელს, 14 თებერვალს ახალბედა მხატვარი მოსე თლიკე ჩვენი ერის საამაყო შვილს ილია ჭავჭავაძეს წერდა: „მოწყალეო ხელმწიფე! არ იუცხოვით ჩემი თქვენდამი წერილი. მე, თუმც პირადათ, დაახლოებით არა ვარ გაცნობილი ოქუნთთან, მაგრამ მაინც კარგად გიცნობთ და საკმეისაკ მის გუარად ვიჭერ. მე დაგზავნე ლითოგრაფიის ქვაზე ხუთი სურათი: თამარისა, ირაკლისა, შოთასი, დავით აღმაშენებლისა და ქეთევან დედოფალის. შეხამებული ქართულის მორალებით, წარწერითა და ცხე-კოშკებით.

ოდენობით სიგრძით ერთი არშინია და სიგანით 3/4 არშინი, რომელიც უნდა დაიბეჭდოს ბრისტოლის კარდონზე 3000 ცალი. ამისთვის საჭირო არის ქაღალდი სულ 8 თუმნისა. მე არა მაქვს ეს რვა თუმანი, რომ გამოვიცე...

მე გთხოვთ ესლა, რომ გამომართოთ ხელი. მასესხოთ იმ პირობით, რომ პირველად თქვენ ჩაიბაროთ თქვენი რვა თუმანი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან. ამის ხელწერილს მოგართმევთ, რომ მე კაპიკის გამოტანა არ შემეძლოს, სანამ თქვენ არ მიიღებთ.

სე ჩემო მფარველო, თქვენი ღრმად პატივის-  
მცემელი მოსე. ხვალ გვახლებით პასუხის შესა-  
ცხადებლად ცხრა საათიდან ათამდე. მ. თოიძე“.

ამ წერილის ავტორი, ნიჭიერი მხატვარი მოსე  
თოიძე იმ ხანად ოცდაორი წლისაც არ იყო, აპირებდა სამხატვრო აკადემიაში წასვლას და მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური პირობები ხელს არ უწყობდა, მაინც იმედღიანი თვალით ქვერბა ნათელ მომავალს.

ახლბედა მხატვრის ილიასადმი გაგზავნილი პირველი წერილის შესახებ მოსეც ვაჭი, ცნობილი მხატვარი ირაკლი თოიძე იგონებს: „რაც თავი მახსოვს, მაშაშვილი ილია ჭავჭავაძის ღვაწლის დამფასებელი იყო. ჩვენი ერის ღირსეული შვილების სახელებთან ერთად განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ასხენებდა ილიას და ზოგჯერ თუ ვინმე მასთან შეეცდებოდა დიდი მწერლის შესახებ ურიგო სიტყვა ეთქვა, ბუნებით წყნარი მამა აღელდებოდა და მაშინვე სათანადო არგუმენტების მოძველიებით გაამტყუნებდა მოწინააღმდეგეს.

მე დიდად მაინტერესებდა, გაუმართა თუ არა ი. ჭავჭავაძემ ხელი მამას და ამის შესახებ ვესაუბრე მას. მამამ მაშინვე სიამოვნებით მიპასუხა:

— დიდი ილია ფრიად კმაყოფილი დარჩა ჩემი ნამუშევრებით. შემაქო კიდევ და არა მარტო 1894 წელს, სხვა დროსაც გაუწევია ჩემთვის დახმარება. მამას ოჯახში ახლობლებთან არაერთხელ უთქვამს: „ილია და დავით სარაჯიშვილისთანა მზრუნველები რომ არ გგოლოდა ხელოვნების ახალგაზრდა მოყვარულებს, სასურველ მიზანს ვერ მივაღწევდითო“.

როგორც ბარბარე როსტომაშვილი იგონებს, მისი მამა, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი, დაახლოებული ყოფილა მოსე თოიძესთან. მეგობრები რამდენიმეჯერ ყოფილან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად, რელიგიურ დღესასწაულს „მცხეთობასაც“ ერთად დასწრებიან. იქ ივანეს თავისი ბროშურა-წიგნაკები გაკურცლებია, ქაღალდ-ფანქრით მომარჯვებულ მოსეს კი მისთვის საინტერესო ჩანახატები შეუსრულებია.

ერთ წელს მეგობრები ერთად ყოფილან საგურამოში და დასწრებიან დიდი მწერლის ტრაღიკულ დღესასწაულს — ილიაობას. მოსეს სხვადასხვა კუთხით ოსტატურად შეუსრულებია ჩანახატები და ილიას მოწონებაც დაუმსახურებია. აღუქანდრა და ირაკლი თოიძეების მოგონებები, მათ მამას დიდი ილია იდეალად ჭაგავა წარმოდგენილი, უყვარდა მის შესახებ საუბარი, სათუთად და განსაკუთრებული სიყვარულით გადაქონდა ტილოზე ერის საამაყო შვილის კეთილი სახე.


„ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში — იგონებენ და—მამა აღუქანდრა და ირაკლი თოი-

ძეები, — საგურამოში, ბებერი კაკლის ხესთან და წყაროსთან, სადაც დიდ მწერალს უყვარდა ფიჭვი და დასვენება, მამა შედგომია ნატურადან ილიას ხატვას, მაგრამ იმ ხანებში ილიას ხშირად რუსეთში უზღებოდა ყოფნა, დროდადრო ავადმყოფობდა კიდევ და მხატვარმა ვერ შეძლო მოზრდილი ტილოზე ნახატის დასრულება. (მ. თოიძის დაამთავრებული სურათი „ილია ჭავჭავაძე კაკლის ხესთან“ ჩნახება ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში საგურამოში).

ნიჭიერი მხატვრის ნამუშევრებთან დამთვალიერებლის ინტერესს იწვევს სურათი: „ილია კოთხულობს „ივერიას“.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში





# ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ილუსტრირების ისტორიისათვის

ირინე მერაბიშვილი

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართველმა მხატვრებმა — ალექსანდრე მრევლიშვილმა, ვალერიან სიღამონ-ერისთავმა აცადეს სახვით ენაზე გადაეტანათ „კაკო ყაჩაღის“ სულისკვეთება. (გაზეთ „დროების“ 1909 წლის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა მრევლიშვილისეული დასათაურება ამ ნაწარმოებისა, ხოლო საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ვ. სიღამონ-ერისთავის მიერ 1912 წელს შესრულებული ნახატი).

მაგრამ ილიას თხზულებათა გაფორმებისა და ფართოდ დასურათების ისტორია იწყება მწერლის პირველი რჩეულის მიხეილ გედევანიშვილისეული გამოცემით (1914). ამ გაფორმებისა

და დასურათების ავტორია საქართველოს მკვიდრი, პოლონელი მხატვარი ჰენრიხ ჰრინევაკი, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოსთან, ქართულ კულტურასთან არის დაკავშირებული. შესანიშნავი აკვარელისტი და მონუმენტალისტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი აკადემიის დაარსების დღიდან (1922) აქ ასწავლიდა გარდაცვალებამდე (1937). ილიას პირველი რჩეულისთვის ზან შეასრულა არა მხოლოდ ფერადი და ერთფერი ილუსტრაციები, არამედ თავსართი და ბოლოსართებიც. ამ დასურათებში, გაფორმების ყოველ დეტალში იგრძნობა მხატვრის უდიდესი პასუხისმგებლობა ლიტერატურის პირველყაროს

წინაშე, იგრძნობა ხალხის ეროვნული თავისებურებების, მისი ყოფის, გარემოს, კულტურის ღრმა ცოდნა. გაფორმებაში მხატვარი ხშირად იყენებს ქართული ხუროთმოძღვრების დეკორს, ქართული ბუნების პოეტური მოტივებით ამკობს გვერდებს.

მწერლის ამა თუ იმ ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდის დასურათებისას პირნესკი არ მიმართავს რაიმე ჰიპერბოლიზაციას, ფართო განზოგადებას, მკვეთრად ტიპურ შტრიხებს, როგორც ეს მომდევნო თავების მხატვართა შემოქმედებისთვისაა ნიშანდობლივი. ეროვნული ტიპების ფაქიზი შერჩევით, ფსიქოლოგიური და სოციალური დახასიათებით მხატვარი დამაჯერებლად გადმოგვცემს ნაწარმოებთა ხელისკვეთებას. იგი ცდილობს ზუსტად გააჭვეს ავტორისეულ ჩანაფიქრს, გულდასმით იაზრებო ყოველ ფურცელს, იქნება ეს ლექსი, მოთხრობა თუ წინასიტყვაობა. უტყუარი ალღო მას ემხარება დასასურათებელი ეპიზოდების შერჩევამ, ეპიზოდებისა, რომლებსაც არავთავის მიმართეს შემდგომში სხვა მხატვრებმა. რა თქმა უნდა, ილუსტრაციები ყოველთვის ერთნაირად გამოშასხვეული არ არის, მაგრამ ისევე როგორც ფერად, ერთ ფერში შესრულებულ ნახატებშიც მხატვარი ვველიონება გულწრფელ, რეალისტ ოსტატად, რომელიც ცდილობს დარჩეს მწერლის ერთგულ „თანამოაზრედ“ და შექმნას ასე თუ ისე მიახლოებული შესატყვისი მის დიდებულ სახეობას.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისათვის, 1937 წელს გამოცემული რჩეული თხზულებანი ელენე ახვლედიანის ხუთი ფერადი ილუსტრაციითაა დასურათებული. მხატვარი არ მიდის ილი, ასე ვთქვათ, რამდენადმე ზერულე ილუსტრაციულობის გზით, როცა უპირატესობა ენიჭება სანახაობით მხარეს, თვით ამბის, მომენტის, რომელიმე ცალკეული ფეშქვტური ეპიზოდის გადმოტანას ნახატში. იგი არჩევს მძაფრად ფსიქოლოგიურ, დრამატულ, მეტიც — ტრაგიკულ მომენტებს და ცდილობს კომპოზიციურ კოლორისტული ხერხებით, სახეთა შინაგანი სულიერი დახასიათებით გახსნას ამა თუ იმ ნაწარმოების იდეური შინაარსი. ღრმა სოციალური ფლერადობით ხასიათდება ილუსტრაცია ლექსისთვის „მუშა“. ჩვენს წინაა ძველი თბილისის უბანი, დამახასიათებელი ქუჩაბანდებით, აივნებიანი სახლებითა და მისი მკვიდრი მოქალაქეებით, ძველი თბილისი — დანახული

ახვლედიანის თვლით, ასე მრავალფეროვნად და, ამავე დროს, განსაკუთრებული, გამოჩენილი სურნელებით რომ აღიბეჭდა მხატვრის მრავალრიცხოვან ტილოებზე სხვადასხვა დროს. წინა პლანზე კი ქალაქის ამ პეიზაჟს დიაგონალურად კვეთს ქუჩის კუთხეში მივადებული, ქანცამოცლილი, დაუძლურებული მუშის ფიგურა. ამ ადამიანის მთელი იერი მეტყველებს მის ტრაგიკულ ხვედრზე, ამას ხელს უწყობს ჩამუქებული მომწვანო-მოლურჯო ფერები, რომელიც სილუეტურად გამოყოფს მის ფიგურას უკანა პლანის სივრცეებიდან.

ე. ახვლედიანის ილუსტრაცია „აჩრდილისათვის“ ფერის მრავალფეროვნებით, მაგრამ განწყობილებით წარმოგვსახავს მთავარიან ქართლის პეიზაჟს, აადაც მთების რიტმულ განლაგებას ემხანება ხეების რიტმი. გრაფიკულად შეტად გამოშასხვეული ეს ხეები თავისებურად ავსებენ სასურათო სიბრტყეს და პერსპექტიულად ფართო სივრცეებს ქმნიან. თითქმის ერთ გამაშენ გადაწყვეტილი სურათი დეკორატიული ორნამენტულობით გამოჩენილია. მოხუცია სახის ნაკეთები მთების ნაოჭებად აღიქმება და აზრობრივად ესადაგება აჩრდილის პოეტურ სახეებს.

ორიგინალურად გაიზარა მხატვარმა ილუსტრაცია პოემისათვის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. იგი ირრეეს იმ მომენტს, როცა მომაკვდავ მამასთან მდგომი ზაქრო იღებს შურისძიების გადაწყვეტილებას. ფსიქოლოგიურად დატვირთული ეა ილუსტრაცია ერთ-ერთი საინტერესოა ამ ნაწარმოებისათვის შექმნილ ყველა ილუსტრაციას შორის. მუქი ზურნუხტისფერი ტონალობის ნახატი ფერთაც მიაინშნებს დრამატულ სიტუაციას, მომენტს, როცა შეძრწუნებული და განრისხებული ზაქრო ბოროტებასთან სამკვდრო-საიციცხლოდ შესარკინებლად გამაზადებულია. პლასტიკური და მეტყველი ფიგურების საზობრივი გააზრება, მწვანეში ჩაფლული სოფლის პეიზაჟი თავისებურ დეკორატიულ ფონს ქმნის, სადაც ეულად მდგარი პატარა ქოში ორნამენტულად ერწყმის სურათის ზედა ჰორიზონტალს და შინაარსობრივად ავსებს ნაწარმოებთან ამ მომენტის დედაზრს. ფიგურები მხატვარს აქაც სურათის წინა ლედზე აქვს გადმოტანილი, რაც მონუმენტურობასა და სიმყარეს ანიჭებს მთელ კომპოზიციას. მამის უძლური და უსიციცხლო სხეული ირიბად ჰკვეთს

სურათს და ზაქროს ფიგურის ვერტიკალთან მეტ-  
ყველად იკითხება.


მკაცრი გროტესკის ხეობითაა შესრულებული  
ილუსტრაცია „კაცია-დამიანისათვის“. ლუარსა-  
ბისა და დარეჯანის პორტრეტული დახასიათე-  
ბით ახველიდანი უახლოვდება ილია ჭავჭავა-  
ძის ამ დიდებულ ნაწარმოების სიძლიერეს.  
თათქარძეები განცხრომით დაგროვებულან ტახ-  
ტზე და ბუზების თვლით იქცევენ თავა. მათი  
ზონზროხა ფიგურები, რომლებსაც მხატვარი  
წინა პლანზე ხატავს, თითქმის ავსებს სურათის  
ნარჩოებს და ამგვარი კომპოზიციური გადაწყვე-  
ტით კიდევ უფრო ძლიერდება ილიას ამ პერ-  
სონაჟების სახეობრივი დახასიათება.

„ოთარანთ ქვრივისათვის“ ელ. ახველიდანი  
ნაწარმოების კულმინაციურ მომენტს ირჩევს,  
მომენტს, როცა ოთარანთ ქვრივი ტრაგიკული  
ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. მხატვარი სურათს ორ  
პლანში აგებს. მსხვილი პლანით მოცემული  
ოთარანთ ქვრივის პორტრეტი თითქმის მთელ  
კადრს ავსებს დედის ტანჯვით სავსე ფართოდ  
გახეული თვალები სადაც შორს იყურებიან.  
თაღში თავშალი შემოხაზავს ქვრივის მაღალ  
შუბლს და სახეს მკაფიოდ გამოკვეთავა. მოშო-  
რებით, უკანა პლანზე ვხედავთ ტახტზე მისვე-  
ნებულ გიორგის. მუკი მოყავისფრო-შინდისფერი  
ტონები ძლიერებენ ტრაგიკულ განწყობილე-  
ბას და სცენას მეტ გამომსახველობას ანიჭებენ.

ერთგვარად ზღაპრულ-ფანტასტიკური ელფე-  
რი დაპარვს „განდევილი“ ახველიდანიისეულ  
ილუსტრაციას. განსაკუთრებით „ოთარანთ ქვრი-  
ვის“ დასურათიდან, მთავარი აქტენტი აქ გა-  
დატანილია ბუნების მდგომარეობის ჩვენებაზე.  
მიუწვდომელი. მიუვალი კლდეები, იდუმალებით  
მოცული, ქვაში ნაკვეთი მღვიმე, პირქემი, დაკ-  
ლაკნილი უღვით განათებული ცა, რომლის  
მგვითაღ შუქზე ძლივს შესამჩნევია განდევილი  
და მწყემსი ქალი, მეტად ემოციურს ხდის მთელ  
ამ სურათს.

ე. ახველიდანი კომპოზიციას ვერტიკალურად  
აგებს. ციცაბო კლდის ორნამენტული ტემბილი,  
რომელიც სურათის მთავარ ღერძზე გაივლის,  
მობრბოვით ავსებს და ორ ნაწილად დაყოფს კომ-  
პოზიციას, თითქმის სიმბოლურად ორ სამყაროს  
აპირისპირებს. ზემოთ, ზეცასთან ახლოს მდგო-  
მი განდევილი და ქვემოდან მიძიმე ჯაჭვზე აღმა-  
ვლი ქალწული აწონასწორებენ კომპოზიციას,  
დაწამიკა შევებით სურათის საერთო ეპიურ და  
იდუმალებით მოცულ ატმოსფეროში.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა დასურათება-  
ში ელენე ახველიდანის ილუსტრაციები თვალ-  
საჩინო ეტაპია. მას მოჰყვა არაერთი საინტერე-  
სო გააზრება, სხვადასხვა მხატვართა მიერ  
მწერლის ჭმნილებათა თავისებური სახეითი ინ-  
ტერპრეტაცია.



1952 წელს უჩა ჯაფარიძემ დაასურათა „რამ-  
დენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყჩაღის ცხოვრე-  
ბიდან“. მხატვარმა ღრმად გაიაზრა პოემა და  
შექმნა მისი დრამატურული თუ ფაქტოლოგი-  
ური ქსოვილის შესატყვისი მხატვრული სახე-  
ები.

უჩა ჯაფარიძეს აინტერესებს პოემის მთავარ  
გმირთა ვენებების ჩვენება, მათ სულში დასად-  
გურებული განცდების გამოხატვა. ამიტომაც იგი  
ოთხივე მთავარი პერსონაჟის პორტრეტულ სა-  
ხეს გულდასრულით და დაკვირვებით ხატავს. კა-  
კო და ზაქრო, ზაქროს მამა და თავადი — რამ-  
დენი სხვაობაა მათ შორის! ერთ-ერთ ნახატზე  
კაკოს მხატვარი ჩაფიქრებულს, ნაღვლიანს ხა-  
ტავს, ზაქროს — ენერგიულად მობრუნებული  
თავით, პროფილში. მას თითქმის მტკიცე გადა-  
წყვეტილება მიუღია. დაკვირვებული და პირ-  
დაპირი მწერა ახალგაზრდა ჭავჭავის ცეცხლოვან  
ბუნებას მიანიშნებს. ამ ორი პორტრეტის სრული  
კონტრასტია ზაქროს მოხუცი მამის სახე იგი  
ბრძენი გულგულის განსახიერებაა. ჭკვიანური  
და გამჭოლავი თვალები, ამაყად აწეული თა-  
ვი — სახათის სიმტიცივს და გაუტყმელ ნებას  
გამოსატყვენ. თავადის პორტრეტში კი ექვამლ-  
ლობა და თვითდაჯერებულობა მიუნიშნება ინტი-  
კარს. გამოუკვეთია ჭარმაგი მამაკაცის მხატვ-  
რულური სახე. თავადის ჩაცმულობა, თავის



ე. ახვლედიანი  
ბ. ბრინველი  
დ. კაკაბაძე

„კაკო უჩაღის“ ილუსტრაცია  
„შეფე დიმიტრი თავდადებულს“ ილუსტრაცია  
„აზრდილის“ ილუსტრაცია



მოძრაობა და გამომეტყველება მის უზრუნველ ცხოვრებაზე ლაპარაკობს.

ფანქრით ნახატი ეს ოთხი პორტრეტი შეარულების თავისუფლებით, შტრიხის სიზუსტითა და დახვეწილობით, შუქ-ჩრდილის ჰაეროვანი მოდელირებით გვიბილავს და ავტოორის პორტრეტულ ქმნილებათა ვრცელ გალერეაში სახართლიანად იმკვიდრებს ადგილს.

პორტრეტულ სახეთა გარდა, უ. ჯავარიძემ პოემისათვის შექმნა რამდენიმე დიდი ფერადი ილუსტრაცია, რომლებიც სრულად გამოიკვეთა მიაი, როგორც შესანიშნავი ფერმწერისა და კომპოზიციის ოსტატის, ხელოვნება.

ილუსტრაციაში „ზაქრო აღაზანზე“ მხატვარი პატარა ზაქროს უზრუნველ ბავშვობას წარმოსახავს. შვის სხივებით გაბრწყინებულ ფერადოვან გარემოში ვხვდებით სოფლის პატარა ბიჭუნებს, მდინარის პირას რომ ტყუშპალაობენ.

ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია „ზაქროს შეხვედრა მეურმესთან“. მთვარის შუქით განათებულ მიდამოში, სოფლის შარაგზაზე მძიმედ მოიზღაზნება ურემი. კომპოზიციის ცენტრშია მეურმე და ცხენზე ამხედრებული ზაქრო. ქართული სოფლის ბუნების წარმტაცი სურათი იშლება ჩვენს თვალწინ. სურათის ლამაზი მოლურჯო-მომწვანო გამა, მხედრის ღვინისფერი სი-

ლუქტი და მთვარის ლაპლაპი ხარების ზურგზე, მომხილავ ფერადოვნებას ანიჭებს ილუსტრაციას.

დრამატიზმითაა გამსჭვალული კაკოს და ზაქროს შეხვედრის სცენა. ამ ეპიზოდის დასურათებას მხატვარი ორჯერ უბრუნდება. თუ პირველ ილუსტრაციაში კაკო და ზაქრო განცობის მომენტში წარმოვიდგებოთ, როცა კაკო მთელი გულისყურით ისმენს ზაქროს მონაყოლს, მეორე სურათზე ამ საუბრის ფინალია აღბეჭდილი. მხატვარი ორივე პერსონაჟს ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით გამსჭვალულს წარმოვიდგინს. პირველი ნახატი ფერადი აკვარელითაა შესრულებული, მეორე — შავი აკვარელით, რასაც უდავოდ ჩანაფიქრი განაპირობებს: ამ ორი ადამიანის სულიერ განწყობილებას კარგად შეესაბამება ილუსტრაციის მუქ ტონები გააზრება.

ცნობილმა გრაფიკოსმა იოსებ გაბაშვილმა 1353 წელს შეასრულა ორი ილუსტრაცია მოთხრობისათვის „კაცია-ადამიანი?!“ თავისებურად, ორიგინალურად და ძალზე საინტერესოდ გვიხატავს იგი ამ მოთხრობის მოაჯარ გმირთა სახეებს. განსხვავებით ახვლედიანის მკაფიო გროტესკისაგან, ი. გაბაშვილი მშვიდი თავშეკავებით და, ამავე დროს, ირონიული გაკილვით წარმოვიდგინს თათქარძეებს.

პირველ ილუსტრაციაში აივანზე გადმომდგარი გაბლენილი ლუარსაბი ქვემოთ მორჩილად მდგომი მოურავის „დაწიოკებას“ აპირებს. ხელქვეითის მიმღავრი და წარმოსადგეი სხეული კონტრასტს ქმნის ჩასუქებული ბატონის პატარა ფიგურასთან. თავადს მხოლოდ სახელიდა შერჩენია. გაპარტახებული სახლით, ჩამონგრეული ბათქაშით, მორყეული და ალაგ-ალაგ შეფიცრული აივანით მხატვარი მიანიშნებთ ლუარსაბის მოდგმის გარდაუვალ გადაშენებას. გაბაშვილი სადა, ლაკონური ხერხებით, ზომიერი ირონიით გადმოსცემს ჭაგუბაძის ნაწარმოების დედააზრს. ასევე საინტერესოა მეორე ილუსტრაცია, სადაც გროტესკი უფრო მკაფიოა. თელეთს სალოცავად მიმავალი ლუარსაბი, დარეჯანი და ლამაზისეული ჩარდასიან ურემში სხედან, ლუარაბი კი, ცხენზე ამხდრებული, უკან მოჰყვება. თვითმკაფიოილება აწერია სახეზე დარეჯანს, ჩიხტიკობით და საგარეო კაბით რომ მორთულა. გამხდარი და შემინებული ლამაზისეული ურმის კუთხეში მიყუჟულა და მორჩილებით, სევდიანი თვალებით შესცქერის ქალბატონს. კამეი მიზულაუნება და თითქოს ხაზს უსვამს მათი ცხოვრების მდორე დინებას. ორივე ილუსტრაცია ღია, ნათელ ფერებშია გადაწყვეტილი.

უხვად დაასურათა თეიმურაზ ყუბანეიშვილმა მოთხრობა „ოთარანთ ქვრივი“. ეს მეტად სერიოზული და პასუსსაგები ამოცანა ახალგაზრდა

ასპირანტის დიდი გამარჯვება იყო (1957 წელს, როცა ილუსტრაციები შეასრულა, თ. ყუბანეიშვილი სამხატვრო აკადემიის ასპირანტი იყო) გრაფიკოსმა შექმნა 10 ავტოლითოგრაფია, რომლებიც „ოთარანთ ქვრივის“ საიუბილეო გამოცემაში შევიდა.

წიგნის სუპერყვადზე გამოტანილი ილუსტრაცია ნაწარმოების ერთ-ერთ საკვანძო მომენტს ასახავს. როცა გიორგი ტოვებს დედის, მამაპაპისეულ ოჯახს, „თითქო ძაფიც კი არ იჭერს“. შესანიშნავადა მოძებნილი ტიპაჟი ოთარანთ ქვრივისა და გიორგის სახეებისათვის. ქვრივის გაუტეხელ ბუნებას გამოხატავს მკაცრი და ჯიუტი მხერა, კოჭრიანი ხელები, ჯაფით დაღარული მაღალი შუბლი. კესოსთან და არჩილთან საუბრისას მის სახეს სათნო, მიმზიდველი დედის იერი აქვს, ხოლო გიორგისთან საუბრისას ღრმად ჩაფიქრებული და დასევდიანებულია. ფსიქოლოგიური სიმართლით ახასიათებს მხატვარი გიორგისაც. ახალგაზრდა მშრომელ ქართველ ფაქკაცს აბეჯრამდენიმე ილუსტრაციაში ვხვდავთ.

დასურათებათა ციკლს ასრულებს მცირე ზომის ნახატი, რომელიც ბოლოსათადაც იკითხება: ოთარანთ ქვრივი შვილის დათოვლილ საფლავზე დამხობილა, იქვე გამწარებით შეღმეზის ზეცას ერთგული ძალღი. ლაკონურად, შუქისა და ნათელის დაპირისპირებაზეა აგებული ეს სევდიანი სცენა.



უ. ჯაფარიძე „კაკო-ყაბალის“ ილუსტრაცია

თ. მირზაშვილი „კაცია-ადამიანის“ ილუსტრაცია

„ოთარანთ ქერივია“ ყუბანეიშვილისეული დასურათება ერთ-ერთი თვალსაჩინო ნამუშევარია ილიას თხზულებათა ილუსტრირების სფეროში და სამართლიანადა მიჩნეული ქართული წიგნის გრაფიკის შენაძენად.

ქართველ მხატვართა მრავალ სახელს ვხვდებით ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1957 წლის საინჟინერო გამოცემაში (შემდგენელი და რედაქტორი პავლე ინგოროვა). აქ თავი მოიყარა ბევრმა საინტერესო ნამუშევარმა, რომლებიც კი შეიქმნა ამ პერიოდისათვის და სპეციალურად ამ გამოცემისათვისაც. ერთ-ერთი აეთი ქმნილებაა დავით კაკაბაძის ილუსტრაცია „არდილისათვის“. მხატვრის პეიზაჟური სურათი ვიზუალური ზორცმესხმა პოემის ბოლო სტრიქონებისა...“ და მანინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა“. ქართული ბუნების რომანტიკული სურათი იმლება მაყურებლის თვალწინ — ხალიჩასვით მოჩითული დედაშიწა, ზვიადი მთები და რძიპფერი მდინარე, ძველი ციხე-გალავანი და ღრუბლის პაეროვანი ფთილები, ლაფვარდ ცაზე გადაჭიმული შვიდფერი ცისარტყელა... პეიზაჟის კაკაბაძისეული დეკორატიული გააზრება, ნაზი აკვარელური ფერადვანი გამა ღრმად ემოციურს ხდის ამ სურათს.

გამოცემაში შესულია უ. ჯაფარიძის ორი ნახატი პოემისათვის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ი. გაბაშვილის ალუსტრაციები „კაცია-ადამიანისათვის“, თეიმურაზ

ყუბანეიშვილია — „ოთარანთ ქერივისათვის“, რ. სტურუასი — „განდევლისთვის“, შ. შავჭავჭავაძისათვის — „სახრობილაზე“, რ. ცუციქოშვილისათვის — „გლახის ნაამბობისათვის“, პ. პრინცესისა — „მეფე დიმიტრი თავდადებულისათვის“.

„კაცია-ადამიანი?!“, რომელიც 1975 წელს გამოცემისათვის „ნაკადილა“, სრულიად ახლებურად დასურათა თენგიზ შირვაშილიმა. მან შარკამდე მიაღწია გროტესკს მიმართა. მწერლის სახეთა ამგვარი ინტერპრეტაცია, შესაძლოა, საკამათო იყოს, თუმცა თითოეული ეს ნახატი მხატვრის ოსტატობის თვალსაჩინო ნიმუშია.

თბილისში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, დაცულია 1961 წელს ბუდაპეშტში უნგრულ ენაზე გამოცემული წიგნი, რომელშიც მწერლის სამი ნაწარმოებია შესული: „არდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „განდევლი“. უნგრული ქართველოლოგის მარტონ იმტვანოვიჩის მიერ თარგმნილ ამ ნაწარმოებს ახლავს უნგრული მხატვრის მარტონ კალაცის სამი ილუსტრაცია. ნახატები ზოგადი ფერადი ლაქებითაა გააზრებული და დეკორაციულ შთაბეჭდილებას სტოვებს. მხატვარი ცდილობს დასურათებულ ეპიზოდებში ფერთა საშუალებით შექმნას გარკვეული განწყობილება.

ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე მხატვრული სახეები კვლავაც შთააგონებენ ქართველ მხატვრებს მათ ხორცმესხსმებლად სახვით ხელოვნებაში.

თ. ყუბანეიშვილი „ოთარანთ ქერივის“ ილუსტრაცია

ი. გაბაშვილი „კაცია-ადამიანის“ ილუსტრაცია





# ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი თბილისში

მუხრანლ „საბჭოთა ხელოვნების“ კორესპონდენტი  
 მბაბ პარზიანი ესაუბრება ილია ჭავჭავაძის სახლ-მუ-  
 ზეუმის დირექტორს მზინა ნაღრიძეს.

— როგორც ცნობილია, ილიამ თბილისში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა. რომელ წლებში ცხოვრობდა ილია ამ სახლში?

— გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იკითხვის დის ელისაბედ საგინაშვილის სახლში ცხოვრობდა მამინდელი ნიკოლოზის (ახლანდელი კალინინის) ქუჩაზე, სადაც, როგორც ცნობილია, მოთავსებული იყო მის მიერ დაარსებული გაზეთ „ივერიას“ რედაქცია. ილიამ ამ სახლში თითქმის 16 წელი იცხოვრა. და აი, 1902 წლიდან ილია დასახლდა ყოფილ ანდრეევის (ახლანდელი ორჯონიკიძის) ქუჩაზე მდებარე ერთ-სართულიან სახლში.

ამრიგად, ილია 1902 წლიდან ამ სახლში ცხოვრობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე— 1907 წლის 30 აგვისტომდე...

— როდის გაიხსნა მუზეუმი?

— მუზეუმის გახსნის იდეა წინამურის ტრაგედიის დღეებშივე დაიბადა. როგორც ცნობილია, ილიას მოგვლისთანავე მისი სახლი ქ. შ. წ. გ. საზოგადოებამ ჩაიბარა და გადაწყვიტა აქ მუზეუმის მოწყობა. ამ ფაქტმა დიდად გაახარა სა-

ხელოვანი მწერლის ცხოვრების თანამგავართლად გურამიშვილი — მწერლის მეუღლე. იგი თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო საკუთრებად ნეტარსენებელი ილია ჭავჭავაძის სახლი, მდებარე ქალაქ თბილისში... საზოგადოებას თურმე განუზრახავს გახსნას მგოსანი ილიას სახსოვრათ ამის უწინდელ სასახლეში მუზეუმი, დააბინავოს იქ უძვირფასესი ნაშთი ქართლის ცხოვრებისა და დაცვას ისინი ივერიის ისტორიისათვის... ამისთანა კეთილგანზრახვას საზოგადოებისას ყველა მოსიყვარულე საქართველოს შვილი დიდის აღტაცებით და მადლობით მიეგებება... დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქართველი, ვისაც თავმოყვარეობა დაკარგული არ აქვს და უღვივის კიდევ გულში სამშობლოს სიყვარული, მიეშველება თავისი ცოდნით, შრომითა და ქონებით გასაძლიერებლად მუზეუმისა... იგი იქნება მთელი საქართველოს შვილების საისტორიო სასახლედ, სადაც სუველეთინ პოეტი ილიას სახელი მოიხსენიება და იღიდება“.

მაგრამ, სამწუხაროდ, მუზეუმის გახსნის იდეა საკმაოდ გვიან განხორციელდა. მიუხედავად ანდრეძისა, ქ. შ. წ. გ. საზოგადოებას ილიას სახლი მხოლოდ 1915 წელს გადაეცა. ამ საზოგადოების გაუქმების შემდეგ უმეტადალყუროდ დარჩნულ



— როგორ წარმართება მუზეუმის საქმიანობა, კერძოდ, როგორ აღინიშნება მწერლის დაბადების 140 წლის იუბილემ?



— მუზეუმის გახსნიდან დღემდე 20 წელზე მეტი გავიდა და შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ყველა სიძნელე არსებითად, გადალახულია. წინა წლებში ჩატარებულმა საქმიანობამ განასწავრა მუზეუმის დღევანდელი დღე და დასახა მომავლის პერსპექტივები. ჩვენი კოლექტივი გრძნობს იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რასაც ილიას მუზეუმში მუშაობა გვაკისრებს.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი მემორიალური მუზეუმი-ძეგლია. შინაარსით იგი სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა.

ვგრებთ დიდი მწერლის სახელთან დაკავშირებულ მასალებს, ვადგენთ სათანადო დოკუმენტაციას, ვაწარმოებთ ფონდში შემოსული მასალის მეცნიერულ აღწერას, თითქმის იმავე რიგით და წესით, როგორც თვით დიდი ილია მიუთითებდა: „კარგი იქნებოდა და დიდ ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველს ლიტერატურის ისტორიას ცალკე და ცხოვრებისას საერთოდ, რომ ამ ძვირფასის განძის სიები, კატალოგები შესდგეს, თვითეულად აღნუსხულ იქნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედწარწერანი აქვს... რასაკვირველია, ეს შეუძლიანთ ღირსეულად შეასრუონ მარტო მათ, ვისაც ხელი მიუწვდებათ, ვინც ახლო უდგანან ამისთანა განსსა... ეგ დიდი საქმეა და დიდი სამსახურია ჩვენი ქვეყნის წინაშე“.

უკმაკვლად, ეს მართლაც დიდი საქმეა და მუზეუმი ამ საქმეს დიდი სიფრთხილითა და სიყვარულით აკეთებს. დღეისათვის ფონდი 5 ათასამდე ერთეულს ითვლის. მათ შორის აღსანიშნავია ლინინგრადის საოლქო-სამხარეო არქივიდან და სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო ბიბლიოთეკიდან მიღებული მასალები სახელმწიფო საბჭოში ილიას მოღვაწეობის, პეტერბურგში ატუდენტობის შესახებ, მ. ბროსეს მიერ თარგმნილი „კაცია-ადამიანის?!“ ავტოგრაფის ფოტოპირი და ა. შ. ფონდში ინახება, აგრეთვე „ივერის“ ასოთაშეკობების ა. ვადაჭკორიასა და ე. ტორტაძის, ილიას მკურნალი ექიმის ნ. ჯანდიერის, მწერლის თანამედროვეთა მოკუნებები, ილიას უძველესი გამოცემების ვგზემალარები და სხვ.

საიუბილუო დღეებში შერგოვდა და ფონდს ჩაბარდა 232 ექსპონატი.

მუზეუმი ადგენს თემატურ-საექსპოზიციო გვემებს, გზამკვლეებს, ბუკლეტებს.

მწერლის საიუბილუოდ მუზეუმის მუშაობა დამამუშავეს სამეცნიერო ხსენათის ოთხი შრომა: სახლ-მუზეუმში, დეპუტატების მიხედვით, სრულად უნდა იყოს დაცული მემორიალობა, ხოლო, რომელიმე დამხმარე (ან სპეციალურად აგებულ

ბინაში კერძო მობინადრეები შეასახლეს. რაც შეეხება ილიას პირად თუ საოჯახო ნივთებს, ქ. შ. წ. გ. საზოგადოების გაუქმების შემდეგ მათი ნაწილი გაიზნა, ნაწილი კი სხვადასხვა დაწესებულებაში ან კერძო პირებთან აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, ილიას ბიბლიოთეკიდან 426 წიგნი ამგვამად დაცულია კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო ბიბლიოთეკის სპეციალურ ფონდში, ხელნაწერები კი, ძირითადად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია, ხოლო პირადი თუ საოჯახო ნივთების მეტი ნაწილი, — თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გარდა, — გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სსრ ლიტერატურულ მუზეუმში, ილიას ყვარლისა და საგურამოს სახლ-მუზეუმებში.

ახლა თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებთ კონკრეტულად: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი დაარსდა რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე 1957 წელს, ხოლო იმავე წლის 22 ოქტომბერს გაიხსნა ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტაციონარული გამოფენა.

შენობაში) ფართობზე შეიძლება მოეწყოს მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტაციონარული გამოფენა.

ჯერ კიდევ გასულ, 1977 წელს, დავიწყეთ რა იუბილესათვის შზადება, პირველი და მინიშნულოვანი, რაც გავანახორციელეთ, ის იყო, რომ აღვადგინეთ მემორიალობა. ამჟამად მუზეუმი ორი ნაწილისაგან შედგება. ესენია: მემორიალური გამოფენა და ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტაციონარული ექსპოზიცია. მწერლის თანამედროვისა და ოჯახის მეგობრის ოღლა აგლაძის მოგონებების მიხედვით აღვადგინეთ სასტუმრო, სასადილო და საძინებელი ოთახები. სამუშაო ოთახი კი თავიდანვე სრულად იყო და არის დაცული. ამრიგად, ილიას სახლს დაახლოებით დაუბრუნდა ის საბჭორომელიც მას ილიას დროს ჰქონდა.

ახლა კი, მოკლედ, სტაციონარული ექსპოზიციის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ახლახან იგი ილიას საიუბილეოდ მოეწყო (ამჟამად მიმდინარეობს მისი მხატვრული სრულყოფა) და მოიცავს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა ძირითად მომენტს. ექსპოზიციის ორგანუ-

ლი გაგრძელებაა ცალკე ოთახში წარმოდგენილი თემატური კომპლექტი — ილია და თანამედროვეობა. ამ ექსპოზიციას ახლახან ბევრი მასალა დაემატა და მისი არქიტექტონიკა ასეთი გახდა: — ნაჩვენებია როგორც მწერლის შემოქმედების აქტუალური მრავალფეროვნება, ასევე, თანამედროვეობის უდიდესი ყურადღება, ზრუნვა, პატივი და დიდება ერის ბურჯის ხსოვნისადმი.

— რა საკითხები გაქვთ მოსაგვარებელი?

— ჯერ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. მათგან ნაწილი ჩვენი შესასრულებელია, ბევრ რამეში ფართო საზოგადოებრიობის დახმარება გეჭირდება. უპირველეს ყოვლისა, საკითხი ეხება სახლ-მუზეუმის მემორიალური ნივთებით შევსებას. დაბეჭუთებით ვთხოვთ ყველას, ვისაც ოჯახებში ილიასეული ნივთები აქვს, მოაწოდონ ისინი ჩვენს მუზეუმს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც დიდი ილიას სახელთანაა დაკავშირებული, ჩვენთვის და მომავალი თაობებისთვის წმიდა და ძვირფასია. ამ რწმენით, ამ სულსკვეთებით იღვწის ჩვენი მუზეუმის კოლექტივიც.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი თბილისში  
სამუშაო ოთახის ერთი კუთხე





# კულტურის დანახებულზეანი—

## ხუთწლედის სამსახურში

ელუარდ სიხარულიძე

საბჭოთა ადამიანებისათვის ღრმა იდეური მრწამსისა და მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებების ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა, რომელიც ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად იქცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე, გულსიმბოზს არა მარტო პოლიტიკურად განათლებული, არამედ ყოველმხრივ განვითარებული, შეგნებული, თავისი ქვეყნის პატრიოტი და თანამედევრული ინტერნაციონალისტური იდეებით გამსჭვალული ადამიანის აღზრდას. ეს თვისებები მკაფიოდ უნდა ვლინდებოდეს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული დიადი აღმშენებლობითი გეგმების შესრულებისათვის თავდადებულ ბრძოლაში, უნდა იქცეს თითოეულის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ. „მ ა ს კ ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ი ს წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს ს ა ზ ო მ ი, — თქვა სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რა თქმა უნდა, კონკრეტული ისაა ქვეყნები. კომუნისტური იდეურობა — ეს არის ცოდნის, მრწამსისა და პრაქტიკული მოქმედების შენაღ�ოზი.“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საეტაპო დადგენილება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-50 წლისთავის შესახებ“, თანამედროვეობის უფალსაინათესი დოკუმენტი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია, ერთხელ კიდევ უაღრესად დამაჯერებლად ადასტურებს, რომ ფართო მასების კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით აღზრდა წარმოადგენდა და წარმოადგენს ჩვენი პარტიის პირველხარისხოვან საზრუნავს.

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილება, რომელშიც მაღალი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ უკანასკნელ წლებში გაწეულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობას, ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომლის მიზანი იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის მკვეთრი აღმავლობა, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება.

იმისათვის, რომ საბოლოოდ დაგამკვიდროთ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეურ-ზნეობრივა პრინციპები, საბოლოოდ დაეძლიოთ ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ არსებული წვრილბურჟუაზიულ-მემწანური ტრადიციები, გადაჭრით გავაუმჯობესოთ მდგომარეობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ ამოცანად მიანიჭა იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმისა და საშუალების მაქსიმალურად გამოყენება, მშრომელთა შეგნებულობის ამაღლების მეცნიერული გზებისა და საშუალებების დაუცხრომელი ძიება.

ფართო მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში პარტია განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. იდეოლოგიური საქმიანობის ამ დიდმნიშვნელოვანი უბნისადმი ზრუნვის ახალ დადასტურებას წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ახლახან მიღებული დადგენილებანი — „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და „თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების შემდგომი ღონისძიება-

თა განვითარების შესახებ<sup>14</sup>. ამ დოკუმენტებში საზგასამთავრო ადრინდელი, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, სახლის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება, მეტი თავისუფალი დრო, ხელშემწყობ პირობებს უქმნის პიროვნების განვითარებას, ხალხური ტალანტების აყვავებას.

საბჭოთა ადამიანების ყოველმხრივ პარამონული აღზრდის საკითხებს ჩვენში კანონმდებლობით არის განმტკიცებული. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ „საბელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რათა დიდგვამ, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“.

რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი მოწოდებული არიან პრაქტიკულად განახორციელონ ჩვენი სოციალისტური წყობის მიერ მინიჭებული ეს დიდი სოციალური სიკეთე, მხარში ამოუდგინენ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, აქტიურად შეუწყონ ხელი მშრომელთა მოსახლეობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძობის აღზრდას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლენების, ჩვენთვის უცხო შეხედულებებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ჩანერგვას. კულტურის დაწესებულებებმა ფართო პროპაგანდა უნდა გაუწიონ ლენინურ იდეურ მემკვიდრეობას, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ეკონომიკურ ცოდნას, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო ტრადიციებს.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე ეტაპზე კულტურის დაწესებულებათა როლი საბჭოთა ადამიანების, პირველ ყოვლისა ახალგაზრდობის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ახალგაზრდობის იდეური სიმტკიცის, მალაი შეგნებულობის, კომუნისტური მშენებლის მორალური კოდექსის განუხრეულად დაცვის გრძობის განვითარება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანაა.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაიზარდა რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თვისებრივად გაუმჯობესდა კულტურის მუშაკთა კადრების შემადგენლობა, იზრდება კლდებისა და კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების, სახალხო თეატრებისა და კულტურის უნივერსიტეტების, კულტურისა და დასვენების პარკების, კინოსკლის იდეურ-აღმზრდელიობითი საქმიანობის შესაძლებლობა. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 2.500-ზე მეტი საკლუბო დაწესებულება, 4 ათასამდე მასობრივი ბიბლიოთეკა, 85-ზე მეტი მუზეუმი, ორი ათასზე მეტი კინოთეატრი და კინოდაგაგარი, 50 კულტურისა და დასვენების პარკი, 29 სახალხო თეატრი, 60 კულტურის სახალხო უნივერსიტეტი.

რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა 80 პროცენტზე მეტი სოფლად არის განლაგებული. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნის მათი მოზაობის ხარისხი, შესაბამისობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნებთან, როდესაც ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები დღის წესრიგში აყენებენ გონებრივ და ფიზიკურ შრომას, ქალაქში და სოფელში შრომის განსხვავების დაძლევის დამჭარბებულ ტემპს.

თავალისწინებდა რა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კულტურისადმი წაყენებულ ახალ დიდ მოთხოვნებს, რომლებიც მათ თანამედროვე ეტაპზე ეკისრებათ ახალი ადამიანის აღზრდის, მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური სულისკეთებით აღზრდაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც უკანასკნელ წლებში კომპლექსურად, მეთოდურად, კანონმდებრივად სწავლობს ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე პროცესებს, მიზანშეწინილად ჩაივალა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განეხილა საკითხი: „სკკპ XXV ყროლობის მოთხოვნებისა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად მშრომელთა კომუნისტური აღზრდაში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ამოცანების შესახებ“ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიდინის ამხ. ვ. მ. სირაძის მოხსენება, გაიმართა პრინციპული სჯა-ბაასი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის კომუნისტური მშენებლობის პრაქ-

ტიკასთან, შრომითი კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებთან კავშირის განმტკიცების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებაში მათი როლის ამაღლების, ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სხვა აქტუალური საკითხებზე.


პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ რეკომენდაცია მისცა კულტურის ორგანიზება და დაწესებულებებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, შეიმუშაონ სკკპ X XV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირისა და საქართველოს ახალი კონსტიტუციების, პარტიის ყრილობის შემდგომი გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ანხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებიდან და გამოსვლებიდან გამომდინარე დასკვნებისა და დებულებების შესაბამისად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის სრულყოფის პერსპექტიული გეგმები, იზრუნონ იმისათვის, რომ მთელი მუშაობა გამსჭვალული იყოს კლასობრივი შინაარსით, ეხმარებიდეს თითოეულ ადამიანს სწორად, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან ურკვევლად მსოფლიოს ამბებში. კულტურის დაწესებულებებმა ამ მიზნით ფართოდ უნდა გა-

მოიყონ სახალხო უნივერსიტეტები, სასოკადო-ებრივ-პოლიტიკური კითხვები, ლექტორიუმები და კინოლექტორიუმები, მოხსენებები მიმდინარე მომენტის შესახებ, ზეპირი ჟურნალები, თემატური საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, წიგნის განხილვა, ახალგაზრდული კლუბები ინტერესების მიხედვით.

იმ ამოცანათა შორის, რომელიც დღეს დგას კულტურის დაწესებულებათა წინაშე, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდა. თანამედროვე ეტაპზე ინტერესი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული პრობლემებისადმი სულ უფრო იზრდება. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ მთელი იდეურ-აღმზრდლობითი საქმიანობა, რომელსაც კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ეწევიან, გამსჭვალული იყოს კლასობრივი შინაარსით, მაქსიმალურად იყოს დახლოებული შრომითი კოლექტივების ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

ამ მხრივ, რესპუბლიკის კულტურის სხვა დაწესებულებებთან ერთად, ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან თბილისის მუდ-კამეოლის კომბინატის ბიბლიოთეკა, ფოთის რკინიგზელთა და სოსუნის განათლების მუშაკთა კლუბები. აქ განსაკუთრებული ყურადღებით ვკვიდებიან იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების — პროპაგანდისტების, პო-

მხატვრული თვითოქმედების კოლექტივის გამოსვლა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში



ლიტინფორმატორების, ლექტორების, ავტაგოგების საქმიანობას. აწყოებენ მათთვის ჯგუფურ და ინდივიდუალურ საუბრებს, სისტემატურად ხდება ლიტერატურის სარეკომენდაციო სიების შედგენა, სკოლებისა და სემინარების პროგრამების გამოფენა-განხილვა.

სკანსკენელ ხანს საკლებო დაწესებულებები უფრო აქტიურად ეხმარებიან ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს სკკპ და საქართველოს კპ XXV ყრილობების, მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მშრომელთა მიზილიზებაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ზეიმ-მა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებაში მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ეს მუშაობა, იგი უფრო მიზანსწრაფული, შინაარსიანი გახდა. მასობრივი ხასიათი მიიღო ისეთმა საინტერესო ღონისძიებებმა, როგორც არის შესვენებები რევოლუციის, შრომის, სამამულთ ომის ვეტერანებთან, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, ლაშქრობები მამათა სახელოვან ნაჯაღვეზე. ამ ღონისძიებათა დანიშნულებაა ახალგაზრდობის აღზრდა მარქსისტულ-ლენინური სულიკვეთებით, მათთვის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავება. კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი წლის აპრილში ქ. გორის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის ინიციატივით „ლენინიანას“ მოწყობა, „ლენინური საღამოები“ გვიგეტკორის რაიონში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკლებო დაწესებულებები სისტემატურად აწყოებენ დისპუტებს „ჩვენი ცხოვრების წესი“, „საბჭოთა ადამიანის უფლება-მოვალეობა“, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 7.000-მდე ლექცია, საუბარი და სხვა მასობრივი ღონისძიება გაიმართა, რომლებსაც 300 ათასამდე კაცი დაესწრო. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მნიშვნელოვნად გადიდა ლექციების რაოდენობა, რომლებიც პოლიტიკურ თემებზე იკითხება. სასოგადოება „კოდნის“ თბილისის განყოფილების სახით მოწყობილ ლექციებში ამ თემატიკამ 1975 წლის 39 პროცენტის ნაცვლად 1977 წელს 60 პროცენტი შეადგინა. როგორც წესი, მშრომელთა დიდი ინტერესით სარგებლობს და მრავალრიცხოვანი აუდიტორია იკრება სასოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვებზე, თეორიულ კონფერენციებზე — „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“, „საბჭოთა ხალხი — ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა“, „საბჭოური ცხოვრების წესი“. მასობრივი, პროპაგანდისტული ღონისძიებანი სისტემატურად იმართება ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, წინანდლის მეფენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, გორის ბამბეულის კომბინატი, კულტურის ამ დაწესებულებებში ყოველთვის აქვთ ლამაზად გაფორმებული სტენდები, მხატვრული და



ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის მხატვრული კოლექტივი



სკენა ჰიათურის მეტალურგთა კულტურის სახლის დრამატული წრის სპექტაკლიდან „ბაჩუნე“

სკენა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დრამატული წრის სპექტაკლიდან „ნუ გუშინა, დედა“





პოლიტიკური ლიტერატურის გამოყენები, დი-  
გრამები, რომლებიც თვალათვის მოგვიხსრო-  
ბენ ქვეყნის, რესპუბლიკის, რაიონის, შრომითი  
კოლმეურნეების წარმატებებს.

საკვ. XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა,  
თუ რაოდენ საჭიროა შრომითი აღზრდის განუ-  
ხრელი ერთიანობა იდეურ-პოლიტიკურ და ზეწ-  
ობრივ აღზრდასთან. ახალი ადამიანის ჩამოყა-  
ლიბებისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა ჩვენი  
დღევანდელით არის ნაკარანახვი. პოლიტიკურ  
და შრომითი აღზრდის ორგანული შერწყმის  
თვალსაზრისით შედეგია რესპუბლიკის შრომელთა  
მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული წარმა-  
ტებანი. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში  
გამარჯვებისათვის საქართველოს ზედოხედ მუხუ-  
ბერ იმეინება აკვ. ცენტრალური კომიტეტის, სსრ  
კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფ-  
საბჭოსა და საკავშირო ალკვ ცენტრალური კო-  
მიტეტის გარდაამავალი წითელი დროშა. უკანას-  
კნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რეს-  
პუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა  
მხარე, ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების  
წილი, ეკონომიკური და სოციალური ხელმძღვა-  
რელობის ფორმები და მეთოდები. გადამტყვეფი  
ბრძოლა მიმდინარეობს პარტიული, სახელმწი-  
ფო, შრომითი და საგვემო დისციპლინის გან-  
მტკიცებისათვის, უმაგალითოდ გაიზარდა შრო-  
მელთა პოლიტიკური და სოციალური აქტივობა.  
ხანგრძლივი პერსპექტივისათვის შემუშავებულია  
იდეურ-პოლიტიკური და შრომითი აღზრდის,  
რესპუბლიკის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამო-  
ცხადებთან იდეოლოგიური კავშირის განმტკიცე-  
ბის კომპლექსური პროგრამა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულე-  
ბების მუშაობის პრაქტიკაში შრომითი აღზრდის  
ბევრი საინტერესო ფორმა და სახალღე დაინერ-  
გა, უკვე ყალიბდება ამ მხრივ გაწეული  
საქმიანობის გარკვეული სისტემა — ეს არის  
მუშათა და კოლმეურნეთა შრომითი ინიციის  
საზემოდ აღნიშვნა, კადრის მუშების შეფოხა  
ასალგაზრდებზე, დამრიგებლობის მოძრაობის  
ფართოდ განვითარება, ვეტრანებთან შეხვედ-  
რა. ერთი შეხედვით ეს თითქოს ჩვეულებრივი ამ-  
ბებია, მაგრამ რა სერიოზული მნიშვნელობა  
აქვთ ამ ღონისძიებებს საწარმის შრომითი ტრა-  
დიციების შესაქმნელად, განწყობილების ასამა-  
ღლებლად... მით უმეტეს, თუ ისინი ეწყობა საზე-  
იმოდ მორთულ კლუბში, ბიბლიოთეკაში, მუხუშე-  
ში, კულტურის სასახლეში. ამასთან დაკავშირე-  
ბით აუცილებლად უნდა გავიხსნოთ ჭიათურის  
სამთამადრო კომბინატის კულტურის სახლში  
გამართული საღამო — „წუთის ფასი“. ლიტე-  
რატურულ კომპოზიციას, რომლის მოქმედი პი-  
რები იყვნენ მთელს რესპუბლიკაში ცნობილი,  
პირველი ჭარბივლი სტახანოვილი, ლენინის ორი  
ორდენის კავალერი ვასლ სამხარაძე და მისი

მეგობრები, კომბინატის მთელი კოლექტივი ეს-  
წრებოდა. ქუთაისის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში  
გამართულ საღამოზე — „ლავრა, სკოლა, პიო-  
ფესია“, მრავალრიცხოვანი მკითხველების წინა-  
შე გამოვიდნენ საკვ. XXV ყრილობის დელეგა-  
ტი, სოციალისტური შრომის გმირი, ავტორპრ-  
ისი შოფერი-გამომდელი ბორის ვაშაკიძე, ჭარ-  
ხნის სხვა სახელოვანი ადამიანები. აქ ზმირად  
ეწყობა კონკურსები დევეზით — „საუკეთესო  
მუშა-მკითხველი“, „წიგნის მოყვარული მუშის  
ოჯახი“. თბილისის სტალინის სახელობის ელექ-  
ტროგავონმშეკეთებელი ქარხნის კულტურის სა-  
სახლეში, ტრივოტაჟის კომბინატში, ე. კაკივი-  
ძის სახელობის პარკში სისტემატურად ტარდებ-  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები —  
„საკვ. XXV ყრილობის დელეგატის ტრიბუნა“. შრომელთა წინაშე გამოვიდნენ დელეგატების  
ცნობილი ადამიანები ზ. სალარიძე, გ. ვაჩეი-  
ლაძე, ე. გონჩაროვი. საზოგადოებრივ-პოლიტი-  
კურ კითხვებს თან ახლავს თემატური საღამოე-  
ბი, რომლებიც გემოვნებით, ფაქიზად, მხატვრუ-  
ლად წარმოვიდგინენ ჩვენი სახელოვანი მუ-  
შათა კლასის სულებური სამყაროს სიღამაზეს.

ასეთი ღონისძიებების მნიშვნელობა უთუოდ  
დღია, რადგან საქმე ეხება ჩვენი სახელოვანი  
მუშათა კლასის სახელოვანი ტრადიციების პრო-  
პაგანდას. თბილისის ავტომშეკეთებელი ქარ-  
ხნის წითელ კუთხეში ყოველთვის საინტერესოდ  
იმართება პროფესიათა შორის გამოცდილების  
გაზიარების საღამოები, ყოველგვარი მხარდაჭე-  
რისა და გავრცელების ღრისა თემატური საღ-  
ამოები — „შრომითი დინასტია“, „დიდება შრო-  
მის“, „მუშური სინდისი ყოველგვარ კონტროლ-  
ზე მაღლა დგას“, „სამაყოდ ფერს — საბ-  
ჭოთა მუშა“, რომლებიც ეწყობა საწარმოო გაე-  
რთიანება „ელმავალმშენებლის“, ფესსაცილის  
ფაბრიკა „ინისი“, ვარკეთილის მეცხენახობის  
საბჭოთა მეურნეობის, რუსთაველ ქიმიკოსთა  
კლუბებსა და კულტურის სახლებში.

თბილისის № 41 საქალაქო ბიბლიოთეკას  
მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყა-  
რებელი „ცენტროლიტის“ კომუნისტური შრომის  
ბრიგადის წევრებთან, რომლებიც ხელმძოვანე-  
ლობს სოციალისტური შრომის გმირი, საქარ-  
თველოას სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გი-  
ორგი კურტანიძე. ბრიგადის წევრები აქტიური  
მკითხველები არიან. თავის მხრივ, ბიბლიოთეკის  
მუშაკები სისტემატურად აწვდიან მათ ინფორ-  
მაციას ახალ ლიტერატურაზე, მოაწვეს მუდ-  
მივმოქმედი გამოფენა, თამამად შეიძლება თე-  
ქვას, რომ ბრიგადის შრომის წარმატებებში  
ბიბლიოთეკის მუშაკებსაც მიუძღვით გარკვეული  
წვლილი.

მხარაძის ცენტრალური სარაიონო ბიბლიო-  
თეკის მკითხველები მუხედნენ ცნობილ მწიგაიეს,  
ა. ტორობაძეს, გურჯაანის ბიბლიოთეკის მკით-



ხველები — სოციალისტური შრომის გმირს, ველისციხელ მევენახეს ა. მექვერთაძეს საინტერესო ღონისძიებებს მართავენ ქობულეთის, საჩხერის, თელავის ბიბლიოთეკები. ქ. სოსხუის № 3 საბავშვო ბიბლიოთეკა სისტემატურად აწყობს კონკურსს ასალგაზრდა მკითხველებისათვის თემაზე — „ვინ იცნობს უკეთეს ლიტერატურას ხუთწლედან“<sup>1</sup>, „თავისუფალ შრომას ბუნებრივად მოაქვს“<sup>2</sup>. შრომითი დინამიკის პატივისცემის კარგი ტრადიცია დამკვიდრეს ტყიბულის მემსახტავ კულტურის სასახლეში. აქ შექმნილია სპეციალური აბჭო და შრომითი დიდების ოთახი, რომელიც მუშაობს შრომით დინამიკის გამოსავლენად. მათი დახმარებით საქვეყნოდ გახდა ცნობილი, რომ სტალინის სახელობის მაღაროში შრომობს მემსახტვეტერანის, სასმონ სოფრომაძის 14 შვილი და შვილიშვილი.

შრომისადმი პატივისცემის საბჭოთა ადამიანების მთავარი სასოგადოებრივი მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დღიწინაშეა დადგინდა.

უკანასკნელ წლებში უფროაა სერიოზული ყურადღება ეთმობა მშრომელთა პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის 53 სახალხო უნივერსიტეტი ჩამოყალიბებული. საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“ სასოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ხალხთა მეგობრობის მუშაობები ბევრ საინტერესო და მიმოხილვად ღონისძიებას აწყობს, მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის მონათესავე საწარმოებთან. ხალხთა ლენინური მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად იქცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის წინა დღეებში თბილისში მოწყობილი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის დღეები.

საინტერესო ღონისძიება განახორციელა საქართველოს კვ ქუთაისის ქალაქში. ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები მონაწილეობდნენ ყველა იმ მოძმე რესპუბლიკების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებთანაც ქუთაისელი მშრომელები სოციალისტურ მეგობრებაში არიან ჩაბმული. ახლანან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა სტაეროპოლის მხარის გეორგიევსკისა და ახმეტის რაიონის მშრომელებს შორის. ეს მით უფრო საგულისხმია, რომ სწორედ გეორგიევსკში დაიღო ისტორიული ტრატატი რუსეთსა და საქართველოს შორის.

მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკის კულტურის დაწესებულებებში საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგე-

ნილების — „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. აფხაზეთის სსრ კულტურის სამინისტრომ მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი — საბჭოური წესჩვეულებების დანერგვის აქტიური პროპაგანდისტები“. ქ. სოსხუის მასწავლებლის სახლის აგიტმსახტურმა ბრიგადამ შეიმუშავა სპეციალური საბჭოური რეპერტუარი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს, მიმართულია ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონათობის წინააღმდეგ. ახალი კომუნისტური რიტუალების შემუშავებას კულტურის დაწესებულებები სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ისეთ პროფესიულ დღესასწაულებს, როგორცაა მეტალურგის დღე, მემსახტის დღე, ჭეშმარიტად ხალხური, პრიგრესული ტრადიციების შერჩევითი აქტიურად არიან ჩაბმული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკები, წარმოების მოწინავენი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყაროს გამდიდრება მსოფლიო კულტურის მონაპოვრებით რესპუბლიკის კულტურის დაწესებულებათა ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია. ყოველწლიურად კლუბებსა და კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, კულტურისა და დაწესებულების პარკებში იმართება ათასობით ლექცია-საუბარი, რომლებიც ეხება ესთეტიკის, მუსიკალური, თეატრალური და სახვითი ხელოვნების საკითხებს. ნაყოფიერად მუშაობენ ლექტორიუმები, კულტურის სახალხო უნივერსიტეტები, რომელთა საშუალებით წყობა შრომითი კოლექტივების შესვენდრა მსახიობებთან, მუსიკოსებთან, მწერლებთან, ხელოვნების ყველა დარგის გამოჩენილ წარმომადგენლებთან. რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირები აქტიურად მონაწილეობენ მშრომელთა ესთეტიკურ აღზრდაში, მათი გემოვნების დახვეწვაში. საქართველოს მხატვრთა კავშირმა საქალაქური კომისია შექმნა, რომელიც მხატვრული თვითმოქმედების პირველი სულიადა საკავშირო ფესტივალის დროს დიდ დახმარებას უწევდა თვისთვის წავლ მხატვრებს. კომისიას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უზა ჯაფარიძე. თვისთანაწავალი მხატვრები გამოფენა მოეწყო ქუთაისში, სოსხუში, გორში, ცხინვალში, ამბროლაურში, კასპში, რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში. პროფკავშირული კლუბებსა და კულტურის სახლებში მუშაობს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების 35 სტუდია და 85 წრე.


საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი აქტიურ დახმარებას უწევს კინოოწყვარულთა 40-მდე სტუდიას, რომლებიც გაერთიანებული

არიან მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები და სხვა პროფესიის ადამიანები.

მშრომელთა ესთეტიკური აღზრდისათვის ნაყოფიერად მუშაობენ თერჯოლის რაიონში. აქ ჩამოყალიბებულია პიონერთა თეატრი, საბავშვო აპერა, ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი სტუდია. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა. ამ აკჰმიანობას დიდი მზრუნველობითა და მონდომებით წარმართავს საქართველოს კპ თერჯოლი: რაიკომი, ხალხური შემოქმედების დიდი ენთუზიასტის და მოყვარულის, რაიკომის პირველი მდივნის ანზორ ბურჯანაძის ხელმძღვანელობით. შემთხვევითი როდია, რომ უკანასკნელ წლებში რაიონის მშრომელებმა სასახელო შრომითი გამარჯვებები მოიპოვეს და ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვეთ რაიონის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც ბევრი საინტერესო ფორმა და მეთოდი აქვთ მონახული მშრომელთა მიერ აღებული გეგმებისა და ვალდებულებების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის. თერჯოლელმა მშრომელებმა შრომაზე კარგად იციან და კულტურული დასვენებაც.

რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-50 წლისთავისადმი მიძღვნილი მხა-

ტერული თვითმოქმედებას პირველი საკავშირის ფესტივალის მოწყობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თერჯოლის, ზუგდიდის, კასპის, ვანის, ლენტეხის, მასარაძის, სამტრედიის, თელავის, ოზის, წულუკიძის, ზესტაფონის და სხვა რაიონებმა. ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამხედრო ნაწილებში ჩამოყალიბდა 500-მდე ახალი შემოქმედებითი კოლექტივი. საკმარისია ითქვას, რომ ფესტივალის მხოლოდ პირველ ტურში გამართა 42 ათასზე მეტი კონცერტი, რომელსაც ნ მილიონამდე მაყურებელი დაესწრო. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კლუბებთან არსებულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა და აგიტმხატვრულმა ბრიგადებმა მეცხოველეებისათვის მაღალმთიან რაიონებში 700-მდე კონცერტი და მასობრივი ღონისძიება გამართეს. აქვე გულახდილად უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი რაიონის მხატვრულ თვითშემოქმედებით კოლექტივებს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა ფესტივალის მე-3 ტურში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხალხურ შემოქმედებას ყველგან ერთნაირი ყურადღებითა და ზრუნვით როდი ეციდიან. საქართველოს კპ ბოლნისის, ქარელის რაიკომებში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საკჰმიანობას, იშვიათად ინტერესდებიან მატერიალური ბაზის განმტკიცების საკით-



ტუთაისის მხატვრულ-სააგიტაციო ბრიგადა სტუმრად სეანეთის მშრომელებთან



ხებით. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ არ ზრუნავენ სალხური თვითმმართველების განვითარება-აღორძინებისათვის.

მშრომელთა ფართო მასებში იდეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სახალხო უნივერსიტეტები, რომელთა მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს 800 პედაგოგი. მათ შორის 200-ზე მეტს სამეცნიერო ხარისხი და წოდებები აქვს. თელავის რაიონის შ. რუსთაველის სახელობის სოფელ იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობა კარგად არის ცნობილი რესპუბლიკაში. უნივერსიტეტის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები. დავით გარეჯის სახალხო უნივერსიტეტს კი თავისი ფაილალები აქვს რაიონის თითქმის ყველა სოფელში.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეგობრობის მეზუემის გახსნა, რომელიც არსებობის მცირე ხნის მიუხედავად ხალხთა ლენინური მეგობრობის იდეათა პროპაგანდის მძლავრ კერად იქცა. რესპუბლიკის მუშეუმები მნიშვნელოვან და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან წარსულისა და აწყოს თვალსაჩინოდ შედარებისათვის, ნათლად წარმოადგენენ მშრომელი ხალხის მიერ ბრძოლითა და შრომით მოპოვებული ცხოვრების სიღამაზეს. საკამოფინო დარბაზებსა და ექსპოზიციებში ასახავს პოულობს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. ტრადიციად იქცა პიონერა და კომკავშირულად მიღების სახეიმი ცერემონიალები. მშრომელთა პატრიოტულ აღზრდაში დიდი წვლილი შეაქვთ ქუთაისისა და გორის საბრძოლო დიდების მუზეუმებს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ააზმედრო და სასაზღვრო ოლქის ისტორიის მუზეუმს, სადაც სისტემატურად ეწყობა შეხვედრები დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრადოსნებათ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საქმიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, ლენინური თეორიული მუშეუმების პროპაგანდისა და მშრომელი მასების ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოვლენების მაგალითზე აღზრდისათვის. ფილიალი ეკაპოზიციები, რომლებიც მუდმივად ახლდება, ფართო პროპაგანდას უწყვენ საქართველოს მშრომელებისა და საბჭოთა ხალხის მიღწევებს კომუნისტური მშენებლობის ლენინური ანდერძის განხორციელებაში. აქ სისტემატურად იმართება პოლიტიკური განათლების სისტემის

სკოლებისა და სემინარების მეცადინეობანი, მუდმივი კონსულტაციები პროპაგანდისტებისთვის, ლექციები და მოხსენებები. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყველთაო-სახალხო განხილვის პერიოდში მუშეუმის მოძრაება გამოფენამ „ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი“ იმოგაზურა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში, საქართველოს მრავალ რაიონში.

მშრომელთა მუსიკური სამყაროს ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახალხო თეატრები, რესპუბლიკის საკლდე დაწესებულებებთან ჩამოყალიბებულია 45 სახალხო თეატრი, რომელიც 1000-მდე სცენისმოყვარულს აერთიანებს. სახალხო თეატრის ცენაზე დადგმული პიესების უმრავლესობა თანამედროვე თეატრისასახავს, წინა პლანზე გამაოთქმს მორალის, სამშობლოს სიყვარულისა და პატრიოტიზმის იდეები. ონის სახალხო თეატრი, რომელსაც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობს, მშრომელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. დიდად პოპულარულია ბორჯომის, სამტრედიის, სიღნაღის, ცაგერის სახალხო თეატრები, რომელთა დადგმებს მაყურებელი ყოველთვის დიდი მოწონებით ხვდება.

ჩვენი ქვეყანა სამართლიანად ითვლება მსოფლიოს ყველაზე მოწინავე სახელმწიფოდ წიგნის მოყვარულთა რაოდენობით. საბჭოთა კავშირში საბიბლიოთეკო საქმისადმი ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, რომელიც ქებითა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში ბიბლიოთეკების როლის გაძლიერების საკითხებს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფართო მასების წიგნით მომზახურების გაუმჯობესების, ბიბლიოთეკათა ცენტრალიზაციის, საბიბლიოთეკო კადრების მომზადების, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებისა და სხვა აქტუალურ საკითხებს. რესპუბლიკა დღეს სამართლიანად ამყობს იმით, რომ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობით ყოველ ათას კაცზე მისი მსოფლიოში პირველ ადგილზეა. 11 გამოცემლობაში ყოველწლიურად იბეჭდება 2300 დაახლოებით წიგნი 16 მილიონი სერთო ტრიატით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საბიბლიოთეკო საქმე დიდად განვითარდა. თუ 1921 წელს საქართველოში 121 ბიბლიოთეკა იყო, ამჟამად მათი რაოდენობა 8 ათას აღწევს 700 მილიონი წიგნად ფონდით. ბიბლიოთეკები ახლა უფრო აქტიურ პროპაგანდას უწყვენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას, ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდაში, კულტურული და მეცნიერულ-

ტექნიკური დონის ამაღლებაში. გაართობდა სა-  
მეცნიერო, ტექნიკური, სპეციალური და მასობ-  
რივი ბიბლიოთეკების საქმიანობა, მოწინავე გა-  
მოცდილების მიღწევების პროპაგანდის, წარმო-  
ების მუშაკთა საინფორმაციო მომსახურებაში.  
წარმატებით ჩაიარა საზოგადოებრივ-პოლიტიკუ-  
რი ლიტერატურის პროპაგანდის ერთიანი მუშა-  
ობა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზები სულ უფრო  
მეტად ინტეგრირდებიან ბიბლიოთეკების საქმიან-  
ობით, წარმატებით იყენებენ მათ მშრომელთა  
კომუნისტური აღზრდისათვის.

იდეოლოგიური აღზრდის მძლავრ საშუალებას  
წარმოადგენს კინო. საკმარისია ითქვას, რომ  
რესპუბლიკის კინოთეატრებში ყოველწლიურად ი-  
მ ნილონიანი აუდიტორიას ემსახურებიან. გან-  
ვითარდა მოძრავ კინოდანადგართა ქსელი. მიწ-  
დებრზე, საძოვრებზე, საკომუნურეო ფერმებ-  
ში, მვეჯანხეთა ბრიგადებში სულ უფრო ხშირად  
იმართება სევანსები. საქმის ინტერესი მოითხოვს  
აქვე აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგ-  
ზე როდია. რესპუბლიკის 242 დასახლებული  
პუნქტი ჯერ კიდევ მოკლებულია სტაციონარულ  
კინოთეატრს, ჩამოვრჩებიან საერთო-საკავშირო  
მარჯვენებს მშრომელთა კინომომსახურებაში.  
მწვავედ დგას კინოთეატრისთა კადრების ნაკ-  
ლებობის საკითხი, სარეპერტუარო პოლიტიკა  
ჯერ პასუხობს დღევანდელი მოთხოვნების,  
ხშირია გვემის შესრულებით გატაცების ხარჯზე  
უიდეო, არაფრისმთქმელი ფილმების დემონს-  
ტრირების შემთხვევები. ადგილობრივი პარ-  
ტიული, საბჭოთა ორგანიზები ნაკლებად  
ინტერესდებიან ამ საკითხებით, დაბალ  
დონეზეა პროგრესული, ღრმად იდეური საბ-  
ჭოთა და უცხოური კინოლენტების რეკლამირე-  
ბა.

ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება რეს-  
პუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო და-  
წესებულებების — იდეოლოგიური საქმიანობის  
ამ დიდნიშნულთან უნახის როლი და მნიშე-  
ნელობა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში,  
ისინი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნამ-  
დვილი ცენტრები ხდებიან, სწორედ ამიტომ არის  
საჭირო, რომ მათი საქმიანობა უფრო მეტიდროდ  
დაეუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის ყო-  
ველდღიურ საქმიანობას, იმ ამოცანათა წარმა-  
ტებით გადაწყვეტას, რომელიც სკკპ XXV ყრი-  
ლობამ დასაბა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალ-  
პოლიტიკური და კულტურული განვითარების  
დარგში.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, მათი  
განათლებისა და კულტურული დონის ამაღლება  
ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტი-  
ის ყურადღების ცენტრში. სოციალისტური კულ-  
ტურის განვითარების ვრცელი პროგრამა, რო-  
მელიც სკკპ XXV ყრილობამ დასაბა, ახალი ძა-  
ლით გამოსატავს პარტიის ზრუნვას საბჭოთა  
დადამინების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და  
და ზნეობრივი აღზრდისათვის.

კომუნიზმის მშენებელთა სულიერ ჩამოყალი-  
ბებაში ერთ-ერთ ეფექტურ როლს თამაშობს  
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებე-  
ბი. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის  
გამარჯვების პირველსავე წლებში ლენინმა პირ-  
ველმა განიხილა კულტურულ-საგანმანათლებ-  
ლო მუშაობა, როგორც საზოგადოებრივ სოცია-  
ლურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების  
მნიშვნელოვან ნაწილი, რომელიც ვითარდება  
საზოგადოებრივი განვითარების საერთო კანონზო-  
მიერებისა და კონკრეტული სოციალური პირო-  
ბების შესაბამისად. სოციალისტური მშენებლო-  
ბის სხვადასხვა ეტაპზე კომუნისტური პარტია  
ასახავდა გზებს და საშუალებებს კულტურულ-  
საგანმანათლებლო მუშაობის სრულყოფისა და  
განვითარებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში გიგანტურად გაიზარდა კულ-  
ტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ქსელი და საგრძობლად ამაღლდა მათი მუშაო-  
ბის დონე. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში 134 ათასი  
კულტურის სახლი და კლუბია, რომელთა დო-  
ნისძიებებს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი  
მშრომელი ესწრება. 360 ათასი ბიბლიოთეკის  
წიგნადი ფონდი 3.6 მილიარდ ეგზემპლარს შე-  
ადგენს. ბიბლიოთეკები ყოველწლიურად ემყარე-  
ბა 180 მილიონამდე მკითხველს, 1400-მდე მუ-  
ზეუმს მილიონები ათვალთებენ.

საქართველოში დიდი წარმატებითა მოპოვე-  
ბული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაო-  
ბის დარგში. ამჟამად რესპუბლიკაში 2300-მდე  
კულტურის სახლი და კლუბია, 4 ათასამდე მა-  
სობრივი ბიბლიოთეკა, 96 — მუზეუმი.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის  
მნიშვნელობა განვითარებული სოციალისტის პი-  
რობებში კიდევ უფრო იზრდება. სკკპ ცენტრალ-  
ური კომიტეტის გენერალურმა მდიანმა ლ.  
ი. ბრეჯნევა სკკპ XXV ყრილობაზე საანგარიშო  
მოსყენებაში აღნიშნა, რომ „ჩვენ ბევრს მივალ-  
წევთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილ-  
დღეობის გაუმჯობესებაში. ჩვენ კვლავაც თანმი-  
მდევრულად გადაწყვეტთ ამ ამოცანას. მაგრამ  
საჭიროა, რომ მატერიალურ შესაძლებლობათა

# კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა

## თანამედროვე მოთხოვნათა ღონისძიება

აბესალომ კალანდარიშვილი

ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ მაღლდებოდეს ხალხის იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონე“. ამ ამოცანის გადაწყვეტაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ. ისინი მიჩნეულია პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენად მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კულტურისა და დასვენების პარკები აქტიურ პროპაგანდას უწყვენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. ატარებენ ფართო მუშაობას მშრომელთა კომუნისტურად აღზრდასთვის, მათი დასვენებისათვის, თავიანთი ღონისძიებებით ხელს უწყობენ ხელნაწილიანი გეგმების წარმატებით შესრულებას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განხორციელებას.

უკანასკნელ წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის დიაპაზონი და ფეხქურობა საგრძობლად გაიზარდა საქართველოში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონის ამაღლებასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას დიდად შეუწყობ ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან უკანასკნელ წლებში მიღებულმა დადგენილებებმა „მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ“ (1974), „სოფლის მოსახლეობის კულ-

ტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (1977).

ეს დადგენილებები გვაგალებს უფრო ფართოდ გამოვიყენოთ კულტურის სახლების, კლუბების და ბიბლიოთეკების დიდი შესაძლებლობანი მშრომელთა დასარზმავად ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების ამოცანების შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის ნოემბრის დადგენილება „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“ მნიშვნელოვან პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე. ის ახება კონკრეტული ღონისძიებები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის რესპუბლიკის ტერიტორიაზე თანაბარი განლაგების, მათი მუშაობის დონის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და კვალიფიციური კადრებით მათი უზრუნველყოფისათვის.

ამ დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1978-1980 წლებში მარტო კულტურის სამინისტროს სისტემის ხაზით სოფლად გაიხსნება 154 კულტურის სახლი და კლუბი, 480 ბიბლიოთეკა, 9 მუზეუმი, 8 კულტურისა და დასვენების პარკი. აშენდება და ექსპლოატაციაში შევა 7 სარაიონო კულტურის სახლი — ახალქალაქში, საგარეჯოში, საჩხერეში, ხობში, ხელვაჩაურში, მცხეთაში და ლენინგორში. ისინი აღჭურვილი იქნებიან თანამედროვე ტექნიკითა და ავეჯით. ბევრი სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკა გადავა ეკოთმომწყობილ ნაგებობაში.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს

სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივმა კომისიამ და საქართველოს სსრ კულტურის საინისტრომ მრავალი მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის დონის ასანაღლებლად და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. ამაზე ზრუნავენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. შედეგად კი უფრო მიზანდასახული და კონკრეტული გახდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა განსაკუთრებით მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისათვის მზადებისა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო სახალხო განხილვისა და მიღების პერიოდში. მუშაობაში დაინერგა ახალი ფორმები და მეთოდები. უფრო ფართოდ იყენებენ სასოციალდობრივ-პოლიტიკურ კითხვას, აწყობენ მკითხველთა კონფერენციებს, თემატურ საღამოებს, კითხვა-პასუხის, ლიტერატურულ საღამოებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინააღმდეგეთა, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაზრისით მოღვაწეებთან შეხვედრებს,

ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი მასობრივ-თეატრალიზებულ დღესასწაულებს, გამოფენებს და სხვა.


ჩვენი რესპუბლიკის კულტურის სახლებმა და კლუბებმა, მუზეუმებმა და ბიბლიოთეკებმა, კულტურის და დასვენების პარკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო დათვალეობებში, მხატვრული თვითმოქმედების პირველ საკავშირო ფესტივალში და დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ჩატარდა კონცერტები, სახალხო თეატრებმა და დრამატულმა კოლექტივებმა გამართეს საიბილუო სპექტაკლები, მოეწყო კინომოყვარულთა ფილმების ჩვენება...

იუბილესთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში ჩატარდა მკითხველთა კონფერენციები თემაზე: „მამათა გზით“, „მშობლიური მიწა“, „იმათ, ვინც ასახელა დედა სამშობლო“ და სხვ.

საიბილუოდ თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში განახლდა და მოეწყო სტაციონარული ექსპოზიცია მოძრავი გამოფენები თემაზე: „დაიდა ოქტომბრის 60 წელი“, „როგორ ვეგვიბით თქ-

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თემატურმა ანსამბლმა





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ქართული ხალხური ეპოსის ენციკლური ანსამბლი „ფაზისი“

ტომობრის 60 წლისათვის“ და სხვ. ყველა მუშე-  
უმში ჩატარდა დიადი თარიღისადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო სესიები. კულტურის სახლებში, კლუ-  
ბებში, ბიბლიოთეკებში, კულტურისა და დასვენე-  
ნების პარკებში გადახალისდა თვალსაჩინო  
აგიტაცია, მიუწყო სტენდები „ოქტომბრის სა-  
მოცი წელი“, „რანი ვიყავით და რანი გავხდით“,  
„ოქტომბერს ჩვენი შემართება“ და სხვ.

რესპუბლიკაში ბევრი კულტურის სახლი,  
კლუბი და ბიბლიოთეკა კარგად მუშაობს და  
მშრომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგე-  
ბლობს. მაგალითად, მოსაწონია ლაგოდეხის სა-  
რაიონო კულტურის სახლის მუშაობა, რომელსაც  
20 წელზე მეტია ხელმძღვანელობს საქართვე-  
ლოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ვ.  
თანდუშვილი. აქ შექმნილია საზოგადოებრივი  
საბჭო, რომელშიც 15 კაცია გაერთიანებული.  
საბჭო წარმართავს კულტურის სახლის მუშაო-  
ბას, წლიური და კვარტალური სამუშაო გეგმე-  
ბით მისი შედეგის დროს გათვალისწინებულია  
რაიონში მცხოვრები სხვადასხვა ერთეულების წარ-  
მომადგენელთა წინადადებები და სურვილები.  
დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობაში დიდ-  
რეზიციული მუშაობას და ყოველი ღონისძიე-  
ბის ხარისხიანად, ნაყოფიერად ჩატარებას. დი-  
დი მოწონება ხვდა ოქტომბრის რევოლუციის 60  
წლისთავთან დაკავშირებით მოწეობილ საზოგა-

დოებრივ-პოლიტიკურ კითხვას და სსრ კავშირის  
ახალი კონსტიტუციის შესახებ ჩატარებულ კით-  
ხვა-პასუხის საღამოს, რომელშიც აქტიური მონა-  
წილეობა მიიღეს რაიონის ხელმძღვანელმა  
პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულ  
ორგანოების მუშაკებმა.

კულტურის სახლთან 15 ხვდადასხვა საზოგა-  
დოებრივ-პოლიტიკური წრე და მხატვრული  
თეიმოქედების კოლექტივი მუშაობს, სადაც  
400-ზე მეტი კაცია გაერთიანებული. დიდი პო-  
პულარობით სარგებლობს კულტურის სახლის  
სახალხო თეატრი. იგი მრავალი დათვალიერე-  
ბისა და ფესტივალის მონაწილეა. მან ჯერ კი-  
დეც 1967 წელს მონაწილეობა მიიღო მოსკოვში  
გამართულ სახალხო თეატრების სრულიად სა-  
კავშირო დათვალიერებაში და ლაურეატი გახდა.  
ხოლო შარშან ოქტომბრის რევოლუციის 60  
წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო თეატრების  
დათვალიერებაში პირველი ხარისხის ჯილდო  
დაიმსახურა. ნაყოფიერად მუშაობს ამავე კულ-  
ტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრი-  
გადა. მისი პროგრამა ყოველთვის მრავალფერო-  
ვანია. წინასწარ სწავლობენ კოლმუერნეობის,  
საბჭოთა მეურნეობის საქმიანობას და საფუძე-  
ლად უდებენ პროგრამის შინაარსს. ეს კი მსმე-  
ნელთა და მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს.



კულტურის სახლს შემოქმედებითი მეგობრობა აქვს აზერბაიჯანის სსრ ბელაქანის სარაიონო კულტურის სახლთან. ისინი ხშირად ერთად ატარებენ მეგობრობის საღამოებს და მხატვრულ ღონისძიებებს, რაც ყოველთვის საზეიმო ელფერს იძენს.

ნაყოფიერად მუშაობს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების სასოფლო კულტურის სახლი. აქ შექმნილია 9 ზოგადსაგანმანათლებლო და მხატვრული თვითმოქმედების წრე, რომელშიაც 350 მონაწილეა გაერთიანებული. კულტურის სახლთან მოქმედებს კულტურის უნივერსიტეტი, რომლის რექტორია კოლმურენიანის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. წითლიძე. კულტურის უნივერსიტეტს ორი ფაკულტეტი აქვს. ერთი სწავლობს ხელოვნებისა და კულტურის, ხოლო მეორე — ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს. გასულ წელს უნივერსიტეტში მრავალ მათშენელოვან თემსზე ჩატარდა მეცადინეობა. მათ შორის აღსანიშნავია — „საბჭოთა ძმურ ოჯახში“, „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“, „მეგობრობა გზად და ხიდად“, „ერთმანეთს ვეჯიბრებით“ და სხვ.

ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის სასოფლო კლუბში მუდამ ხალხმრავლობაა. აქ ყოველი ღონისძიება, ლექცია იჭნება თუ მოხსენება, თემატური საღამო თუ სოფლის მეურნეობის მოწოდებებიან შეხვედრა, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების კონცერტები თუ წარმოდგენები, ყოველთვის მომზადებულია და ხარისხიანად ტარდება. გასულ წელს აქ ჩატარდა ლექციების ციკლი ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა „სოციალისტური პარტიოტოზში და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“. „კეთილსინდისიერი შრომა საბჭოთა დამიანების წმინდათაწმინდა მოვალეობაა“. „კომუნისმის მშენებლობის მორალური კოდექსი“ და სხვ.

საინტერესო გამოფენებია მოწყობილი ორჯონიკიძის რაიონის ბორთის სასოფლო კლუბში. გაბართულია სტენდები ისეთ თემებზე, როგორცაა „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში“, „დიდება დიდ ოქტომბერს“, „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მოქმედებაში“, „ჩვენი სოფელი ძველად და ახლაც“.

მრავალმხრივ და საინტერესო მუშაობას ეწევიან მახარაძის, ზუგდიდის, ბოგდანოვკის, წყელუკის, გეგეჭკორის, ონის, ჩოხატაურის, ქობულეთის, საჩხერის, ცხაკაიას, ხობის, თელავის სარაიონო კულტურის სახლები. სამტრედიის რაიონის ჯიბაშის, ცხაკაიას რაიონის თვლათის, გარდაბნის რაიონის მარტყოფის, თელავის რაიონის ვანთისა და თერჯოლის რაიონის ჩხარის სასოფლო კულტურის სახლები, სავარჯის რაიონის კაკაბეთის, ქ. ჭიათურის ჩოლდის, გალის

რაიონის ტუბურნიკის, მესტიის რაიონის მულახის სასოფლო კლუბები და სხვ.

ბვერი კულტურის სახლი და კლუბი ყოველივე ახლის, პროგრესულისა და ღირსშესანიშნავი თანობის მხარდამჭერია. მაგალითად, რუსთაველთა მოწოდებას — „არც ერთი ჩამორჩენილი და უღისციპლინი ჩვენს გვერდში“ ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად გამოეხმაურა, რამაც კულტურის სახლები, კლუბები და ბიბლიოთეკები კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირა კოლმურენეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ბრძადაებსა და ფერმებს, მათ კონკრეტულ ამოცანებს.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწეეს საკართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „მანვე ტრადიციებისა და წეს-ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ — განხორციელებისათვის. მისიმინეს ლექცია-მოსხენებში, გამართა თემატური საღამოები, მთელ რიგ რაიონებში დამკვირდა ახალი დღესასწაულები. „შოთაობა“ და „შინოსუცველთა დღე“ — თელავის რაიონში, „მოსავლის ზეიმი“ — გურჯაანის რაიონში, „მეცხვარის დღე“ — თიანეთის რაიონში, მეჩაიის ზეიმი“ — მახარაძის რაიონში და სხვ.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონში ფართოდ გავრცელდა პოეზიისა და ლიტერატურის სახალხო დღესასწაულები. ასეთი ზეიმები ყოველწლიურად ტარდება ყვარლის, დუშეთის, მცხეთის, საჩხერის, გეგეჭკორის, სიღნაღის, ვანის, სავარჯისა და სხვა რაიონებში.

რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან მშრომელთა თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებისათვის. ამ მიზნით შექმნილია ლიტერატურული წრეები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, რომელშიაც ათასობით მშრომელია გაერთიანებული. მხატვრული თვითმოქმედების პირველ საკავშირო ფესტივალში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს, აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

ფესტივალი მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და მხატვრულ დონეზე ჩატარდა, 10 ათასზე მეტ კოლექტივში 185-ათასამდე მონაწილე იყო გაერთიანებული. მხატვრული თვითმოქმედების პირველ საკავშირო ფესტივალში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

ფესტივალი მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და მხატვრულ დონეზე ჩატარდა, 10 ათასზე მეტ კოლექტივში 185 ათასამდე მონაწილე იყო გა-

ერთიანებული. ფესტივალისათვის მზადების პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან 500 ახალი კოლექტივი შეიქმნა. მრავალი ჯანი იყო წარმოდგენილი: მუსიკალური, ჭოროგრაფიული, თეატრალური, საიტიმო, კინო და ფოტო, სახეიანი ხელოვნება. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა ნმ მხატვრული კოლექტივი და ორი ათასზე მეტი შემტრუბელი. ფესტივალის პერიოდში კიდევ უფრო ამაღლდა ხალხური მხატვრული შემოქმედების დონე, შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახდა რეპერტუარი, გაიზარდა მსობრიობა, განმტკიცდა კავშირი ცხოვრებასთან.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა კულტურის სახლისა და კლუბის მუშაობა სათანადოდ არის დაყენებული, რომ ისინი სრულად იყენებენ ყველა ფორმას და საშუალებას მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდისათვის, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებისა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარებისათვის. მაგალითად, სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ზესტაფონის, ბოლინის, ქარელის სარაიონო კულტურის სახლები, გვეჯჭორის რაიონის თამაკონის, ჩხოროწყის რაიონის ქვედა ჩხოროწყის, სიღნაღის რაიონის ნუკრიანის და ახალციხის რაიონის ურაველის სასოფლო კულტურის სახლები, გარდაბნის რაიონის სოფელ კალინინის, ქარელის რაიონის აბისის, გალის რაიონის სასოფლო კლუბები და სხვა.

მთელი რიგი სარაიონო კულტურის სახლების ნორმალურ მუშაობას იხივ უშლის ხელს, რომ ნორმად მათი შენობები არადანიშნულეთათა გამოყენებული. მაგალითად, ლენტეხის, ხულოს, გალისა და ლაგოდეხის სარაიონო კულტურის სახლის შენობების გარკვეული ნაწილი დაკავებული აქვთ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ ამ დაწესებულებებთან.

რაც რაიონებში ყურადღებით არ ეკიდებიან მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეს. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა მხატვრული თვითმოქმედების პირველმა საკავშირო ფესტივალმა. დასკვნით, რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობა არ მიუღია 16 რაიონს, მათ შორის ყვარლის, გორის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, გარდაბნის, ყაზბეგისა და მარნეულის რაიონებს. აღსანიშნავია, რომ წინა დათვალიერებებსა და ოლიმპიადებში ამ რაიონებს ყო-

ველთვის კარგად მომზადებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები გამოჰყავდათ.

სკკპ XXV ყრილობამ გახსნაღვან ჩვენი ქვეყნის კულტურული აღმავლობის ახალი პერსპექტივები განვითარებული სოციალისმის პირობებში, რამაც კონკრეტულად გამოხატულება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დადგენილებაში „შრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ“.

შემაღლინებული დადგენილების შესაძლებლად საჭიროებდნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საჭიროებდნენ სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილებების მთელი კომპლექსი, რომელიც სადავ ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების გზებს.

უკასახებლად წლებში ბიბლიოთეკების მუშაობაში ბევრი სიახლე დაინერგა. ჩამოყალიბდა მკითხველთა მომსახურების ახალი ფორმები და შეთოდები. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფორმათაგანია ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია. აირეგლდა იგი, როგორც ექსპერიმენტები, თელავის რაიონში 1972 წელს დაიწყო მას სათავეში ჩაუდგა საბიბლიოთეკო საქმის დიდი ენთუზიატი ელენე მირიანაშვილი, რომელსაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ამ საქმის წარმატებას დადდა შეუწყო ხელი თელავის პარტიის რაიონისა და რაისაბჭოს აღმასკომის სისტემატურმა ურადლებამ და დახმარებამ.

თელავში სარაიონო ბიბლიოთეკა გარდაქმნა ცენტრალურ ბიბლიოთეკად. რაიონის ტერიტორიაზე არსებული ყველა ბიბლიოთეკა მის ყალიბად იქცა. თავდაპირველად შესწავლილი იქნა ყველა ბიბლიოთეკის წიგნები ფონდში, გაიწმინდა იგი შინაარსობრივად მოძველებული, შედმტტი და არაპროფილური ლიტერატურისა და მხარებისათვის გამოყენებული წიგნებისაგან. ფონდებიდან გამოიყო სადავო ლიტერატურა, შეიქმნა ვაკცლითი ფონდი. 450 კვ. მეტრიანი ფართობის შენობა გადაეცა ცენტრალურ სარაიონო ბიბლიოთეკას, კაპიტალურად შეკეთდა და დამატებითი ფართობი შევიდა მთელ რიგ სასოფლო ბიბლიოთეკებს. საჭიროებდნენ სსრ კულტურის სამინისტრომ თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკა უზრუნველყო ტრასპორტი, სპეციალური ინვენტარი... ამრიგად, შეიქმნა მსხვილი საბიბლიოთეკო დაწესებულება, ერთიანი წიგნადი ფონდითა და სამტატო ერთეულებით, ერთიანი მანერიალური საშუალებებით, დაკომპლექტების თანხებითა და სხვა ხარჯებით. ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა დაკომპ-

ლექტება-დამუშავების განყოფილება, რომელიც ბიბლიოტეკრიდან ყველა წიგნს თვითონ დებულობს, ამუშავებს და აგზავნის ფილიალებში. ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა აგრეთვე მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული, საცავისა და გაცვლითი ფონდის განყოფილებები, რომელთა საშუალებითაც ცენტრალური ბიბლიოთეკა ახორციელებს თავის ფუნქციებს ფილიალების მიმართ. წიგნის ინფორმაციის მიზნით ცენტრალური ბიბლიოთეკა სტამბური წესით სცემს ახალი ლიტერატურის საინფორმაციო სიგებს. ცოდნის ცალკეული დარგებისა და სახალხო მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტებისათვის აწყობს ინფორმაციის დღეებს, ერთობლივ მასობრივ ღონისძიებებს და სხვა.

დაკონპლექტება-დამუშავების, სამეურნეო, სამხატვრო და მთელი რიგი სხვა სამუშაოების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში თავმოყრის შედეგად გაუმჯობესდა მუშაობის ხარისხი. თითოეულ ფილიალში მიღებული ახალი წიგნების სახელწოდებათა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. თითქმის ოთხჯერ შემცირდა ფილიალებში ახალი ლიტერატურის შესვლის ვადები. გაუმჯობესდა ბიბლიოთეკათა შორისო აღონმეზღვრით მკითხველთა მომსახურების ხარისხი. ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციამ თულავის რაიონში კარგი შედეგი გამოიღო. საგრძნობლად გაიზარდა როგორც მკითხველთა, ისე მათზე გაცემული ლიტერატურის რაოდენობა.

1973 წელს ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია ჩატარდა ქ. ფთიში და ქ. გორში.

საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციამ გვიჩვენა, რომ იგი წარმოადგენს საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესების ყველაზე ეფექტურ და პროგრესულ ფორმას. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკა 1974 წლიდან მასიურად გადავიდა ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციაზე, იგი უკვე 38 ქალაქსა და რაიონში განხორციელდა, მათ შორის ბათუმსა და ქუთაისში, ქობულეთის, ახალციხის, მასარაძის, მაიაკოვსკის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში.

ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციას მხარი დაუჭირეს ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მაიაკოვსკისა და ქობულეთის

რაიონებში ცენტრალური ბიბლიოთეკებისათვის საპრთველის სსრ კულტურის სამინისტრომ, ადგილობრივი პარტიის რაიონომბისა და სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ინიციატივითა და დანხარებით, ააგო ორ-ორსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა. ქუთაისში საჯარო ბიბლიოთეკისათვის დამატებით აშენდა შეიღასართულიანი წიგნსაცავი. ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკას გადაეცა ფართო და ნათელი შენობა და სხვა.

სასოფლო ბიბლიოთეკების მტიცივე მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად დიდ მუშაობას ეწყვიან მასარაძის, თულავის, ახალციხის, ქობულეთის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

1980 წელს ჩვენს რესპუბლიკაში მთლიანად უნდა დამთავრდეს ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია. ეს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ახალი პროგრესული ფორმაა და მას ფართო გზა უნდა მიეცეს.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად განმტკიცდა ბიბლიოთეკების კავშირი სამრეწველო ობიექტებთან და სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან.

თავის მხრივ წარმოება-დაწესებულებები შეფობას უწყვეტ საქალაქო ბიბლიოთეკებს. მაგალითად, ქ. ქუთაისში 40-მდე სამრეწველო წარმოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალი ბიბლიოთეკების მშენებლობაში, ინვენტარისა და მოწყობილობების შექმნაში. ამ მხრივ აღსანიშნავია საავტომობილო რკინაბეტონის და ლითონის ქარხნებისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის შეფობა. მათ გააგრძელეს ბიბლიოთეკები, შეუძინეს საბიბლიოთეკო ინვენტარი და ავეჯი. ასევე მისაბამია ინიციატივა ჭიათურის საწარმოებისა, რომლებმაც დაზოგილი მასალით 7 სოფელში ააშენეს ბიბლიოთეკა. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებაში ყველაფერი რიგშია. თანამედროვე მოთხოვნებს ჯერ კიდევ ჩამორჩება წიგნის პროპაგანდის საქმე. მთელი რიგი ბიბლიოთეკები ნაკლებად იზიდავენ მკითხველებს. სათანადოდ არ წარმოებს სოფლის მეურნეობის მშენებლობის სპეციალისტების, მომსახურების სფეროს მუშაკების წიგნით მომსახურების აუცი-

ლებლი დიფერენცირება და ოპერატიულობა. საკმაო რაოდენობით არ იყენებენ სარქულამაციო ბიბლიოგრაფიას.

წელი ტემპით მიმდინარეობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრა დაკომპლექტებაში, ახალი ლიტერატურის განაწილებასა და ნაკლებად გამოყენებულ წიგნების გადანაწილებაში. მკითხველთა ბევრი მოთხოვნები, განსაკუთრებით სოფლად, მთლიანად არ კმაყოფილდება. იშვიათი როდია, როცა ბიბლიოთეკები „საქვიწინის“ ბიბლიოექტორისაგან ვერ იღებენ მათთვის საჭირო ახალ ლიტერატურას. ბევრ სასოფლო ბიბლიოთეკაში ცუდად ხდება წიგნადი ფონდის შევსება. ამ მიზნით ბიბლიოთეკაში მასობრივი ღონისძიება დაბალ დონეზე და უინტერესოდ ტარდება, არ ითვალისწინებენ მისასრულებს ინტერესებს.

ნაკლებად გამოდის პრაქტიკული სახელმძღვანელოები სასოფლო, სარაიონო, საქალაქო, პროფკავშირული და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაკათვის. თანამედროვე მოთხოვნებს ჩამორჩება მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და დანერგვა.

საერთოდ, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია გადაუტრეული პრობლემა და ნაკლოვანება, მიუხედავად იმისა, რომ მეტწილად ხუთწლეულში საგრძნობლად განმტკიცდა კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 121 კულტურის სახლი და კლუბი აშენდა სოფლად, 250-მდე ბიბლიოთეკა გადგინდა კეთილმოწყობილ შენობაში. მაგრამ ბევრი კულტურის სახლი, კლუბი და ბიბლიოთეკა ავარიულ, გადაკეთებულ, ზოგჯერ კი დაქირავებულ ბინებში მოთავსებული, ბევრ მათგანს კაპიტალური და მიმდინარე რემონტი ესაჭიროება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კაპიტალური მშენებლობის ღონისძი არ ეძლევა. ხოლო ზოგიერთი რაიონის სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ ზრუნავენ ამ დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად.

სრულიად მოუვარებელია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე

ავეჯით, სპეციალური ინვენტარი და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის საქმე. დღემდე რესპუბლიკაში შექმნილი არ არის სპეციალიზებული ფაბრიკა, რომელიც კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისათვის დაამზადებდა სპეციალურ ავეჯსა და ინვენტარს.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს აკლია სპეციალური განათლების კადრები. რესპუბლიკაში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებს კადრებს საკლუბო დარგისათვის, ხოლო თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ გამოშვებული ბიბლიოთეკართა კადრები ისე მცირერიცხოვანია, რომ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მათზე მოთხოვნილებას. უკვე მომწიფდა საკითხი, სხვა რესპუბლიკათა მსგავსად, ჩვენს რესპუბლიკაშიც გაიხსნას კულტურის ინსტიტუტი, რომელიც მოამზადებს კადრებს როგორც საკლუბო, ისე საბიბლიოთეკო დაწესებულებებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიდია კადრების დენადობა, განსაკუთრებით სოფლად, რაც იმითა გამოიწვეული, რომ ადგილებზე სახალხო დეპუტატების საბჭოები საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაკებისადმი, არ უზრუნველყოფენ მათ ბიზნითა და სხვა კომუნალური მომსახურებით. სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები მეტი მზრუნველობით უნდა მოეციონ ამ დარგის სპეციალისტებს და შეუქმნან ნაყოფიერი შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობები.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის კონკრეტული გზები და საშუალებები მოვეულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის ნოემბრის დადგენილებაში „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მისი ცხოვრებაში განხორციელება ნიშნავს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა რესპუბლიკაში.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული რეწვა უძველესი და მარალ საჭირო დარგებია. ტექნიკის განვითარების თანამედროვე მაღალ დონეზე კი ცხადი გახდა, რომ ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია ვერ შეცვლის ხალხის შემოქმედებას. ხალხურ ოსტატთა ნახელავი ორიგინალობითა და განუმეორებელი კოლორიტით გამოირჩევა, ამიტომ ასეთ ნივთებზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. მიუხედავად ამისა, მათი წარმოების ტრადიციული კერები ჩვენს თვალწინ ქრებიან. სამწუხაროდ, ისინი ნაკლებ შესწავლილია და პრაქტიკული დანართები თითქმის არ ეწევათ. დღეს, როცა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია ხალხის შემოქმედების აღორძინებას ითვალისწინებენ, ამ მდგომარეობის გაგრძელება დაუშვებლად მიგვაჩნია.

აქედან გამომდინარე, რედაქციას განზრახული აქვს სისტემატურად გამოაქვეყნოს წერილები, სადაც ასახული იქნება ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და შინახელოსნობის კერების თანამედროვე მდგომარეობა. დასაფიქრებელი და გასათვალისწინებელია თითოეული ხალხური ოსტატის ბედიც.

# რეცხა პრეზენტი პრეზენტი რეცხა

## ლეონ ფრუიტი

გაზმით „თბილისში“ გამოქვეყნებულ საქართველოს კვ თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომის ანგარიშში „უკონტროლობისა და უპრინციპობის ვითარებაში“ (ნ დეკემბერი, 1977, გვ. 1), სხვა საწარმოებთან ერთად, მკაცრად იყო გაკრიტიკებული საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხალხური მხატვრული რეწვისა და სამახსოვრო საწარმოების გაერთიანება „სოლანი“. იგი „მადამხატვრული ნაწარმის ნაცვლად, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევდა ხალხური შემოქმედების მიღწევებს, გვიჩვენებდა ხალხური რეწვის წარმატებებს, მასობრივი რაოდენობით უშვებდა აგრეთვე დაბალი ნიმუშების პროდუქციას, რასაც, ამასთან, საერთო არაფერი ჰქონდა ამ ორგანიზაციის სპეციფიკასთან“.

„სოლანი“ — ხელოსნობისა და ხელოვნების სვანური ლეგაების სახელი, გაერთიანებას თავის დროზე მეცნიერებმა უწოდეს, თვითონ ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაშიც ისევე მეცნიერებმა შეიტანეს თვალაზარი წვლილი, რათა ხალხურ გამოყენებით ხელოვნებასა და შინახელოსნობას, ბოლოსდაბოლოს, გამოსწმინდა პატარნი და ეს უაღრესად საჭირო და-

რგი კვლავ სიცოცხლისუნარიანი, მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებული ყოფილიყო. სამწუხაროდ, მოჯადოებული წრის გარღვევა ამჯერადაც ვერ მოხერხდა, „სოლანი“ თავისი საპატიო მისია ვერა და ვერ შეასრულა. მიზეზი სხვა დროსაც (როდესაც მსგავსი დაწესებულებანი იქმნებოდნენ და უქმდებოდნენ) და ახლაც ერთი და იგივეა — საქმისნობისადმი, მომხმეჭველობისადმი მიდრეკილება. ასეთი სენი კი ყოველგვარ მამულიშვილურ საქმეს კლავს. მამასადამე, პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება. თუ რა ძინიშენლობა აქვს ხალხის ნიჭიერების გამომხატველ ამ უძველეს და უჭკნობ დარგებს, ამაზე სიტყვას ადარ გაავრცელებით, მის წასახალისებლად და ასაღორძინებლად არსებობს საკავშირო და რესპუბლიკური დადგენილებანი, თვით ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია“ აღნიშნავს:

„სსრ კავშირში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“ (თავი 3, მუხლი 27), ხოლო მეორე თავის მე-17 მუხლი ითვალისწინებს:

„სსრ კავშირში კანონის შესაბამისად ნებადართულია ინ-  
დივიდუალური შრომითი საქმიანობა შინაარსწველურ-ხელოს-  
ნური სარეწვის, სოფლის მეურნეობის, მისხალეობის საყოფა-  
ყოფრებო მიმსახურების სფეროში, აგრეთვე საქმიანობის  
სხვა სახეობანი, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხო-  
ლოდ მიქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომასზე“.

ახალი კონსტიტუციის გამოსვლამდე, ამ თვალთახედვით,  
ვევლიან რიგზე ვერ იყო. ჩვენ უამარგო ფაქტი გვაქვს იმი-  
სა (სხვათა შორის, გამოქვეყნებულიც), რომ ტრადიციული  
ხელოვნებისა და ხელოსნობის მიმდევარ პირებს მუშაობის სა-  
შუალებას არ აძლევდნენ და ზოგჯერ დევნიდნენ კიდევ. ამან,  
ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა ხალხური შემოქმედების  
განვითარებაზე და რომ ახალი კონსტიტუციის ბრძნული დე-  
პულტანია არა, შედეგს უარესს მივიღებთ. ახლა, როცა კონ-  
სტიტუცია ხალხის შემოქმედების აბრძნინების ყოველგვარ  
პირობებს ქმნის და, რაც მთავარია, კანონის ძალასაც ანიჭებს,  
აუცილებელია, შექმნილი ვითარება კრიტიკულად შეგაფასოთ  
და სახელმწიფო კანონის დროულად შესრულების გზებზე და-  
სახებთ.

„სოლანის“ მაგალითი უკვე ნათელიყოფს, რომ საქმე მიანი-  
დამაინც სახარბილოდ ვერ არის. რაც მართალია მართალია,  
არ გამართლა ხალხური ხელოვნებისა და შინახელოსნობის  
ტრადიციული კერების ნაცვალა არტელურ პრინციპზე მოწყ-  
ობილება საწარმოებში. მთავარი მიზეზი ის არის, რომ კატა-  
სტროფულად დაეცა პროდუქციის სახისი. პრესაში არცთუ  
რეზიათად წყვილობთ მწყემსობის საყვედურს, რომ არტელუ-  
რი წესით დამსახურებული ნაბადი წყალს ატარებს და მალე  
იშლება. ხშირად სერიულად გამოშვებული სვანური და თუშუ-  
რი ქუდებიც ცუდი მასალისგანაა დამზადებული. ფორმადა-  
არაფერი და ფერნაკლულია. უარესი მდგომარეობაა ხალხურ  
კერამიკულ სამაქროებში. ზესტაფონის ბაზარზეც და სხვაგა-  
ნაც უხვად ნახათ მათ ნაშუად. მაგრამ განთქმული ზემოიმი-  
რული ჭურჭლის დახვეწილობა და საოცრად სრულქმნილი  
პროპორციები დაკარგულია. მიედევლოს სთავაზობენ აშკარა  
წუნს და ვინც არ იცის იქაურ მემკრბულთა საბაზყო ტრადი-  
ციები, ეჭვი შეეპარება ხალხურ კერამიკოსთა ნიჭიერებაში.  
თუ ასე გაგრძობდებოდა, მართლაც საფორტე შეექმნებოდა  
საუკუნების ძნელბედობაში გამოტარებულ ხალხის ცოდნა-  
გამორღობება, მაგრამ მას მსხმედობა მოვლენა ახალი კონ-  
სტიტუციის მე-17 მუხლი, რომელიც გზას უხსნის ინდივი-  
დუალურ ოსტატთა შემოქმედების სრულყოფილად განვითარ-  
ებას.

მეთხოვნივამ არ იფიქროს, რომ საერთოდ არტელურ პრინ-  
ციპზე მოწყობილი სამაქროების წინააღმდეგე ვიყოთ, თუკი  
ისინი ხარისხის სრულყოფას მიაღწევენ და ხალხურ პროდუქ-  
ციას გაუმჯობესებენ. მაშინ ვის რა ეთქმის, მაგრამ ჯერჯე-  
რობით რასაც ვევლავსოზებენ, ძალიან დაბალი ღირსებისაა.

მავალითად, გვევლიან კარგად მოხსენება თუ რამდენად სა-  
ჭიროა ჭილის ჭილოფები და სამზუერი ქუდები, მეტადრე  
ზევისპირა კურორტებზე. ისინი საუკეთესო, მეტად კოლორი-  
ტული სუვენირებიცაა და პრაქტიკულადაც ძალზე მოსახერ-

ხებლად გამოსაყენებელი. იმის გარდა, რომ ჭილოფი პლაჟზე  
დღასაფენად შესანიშნავია, მისი ფართოდ გამოყენება შეიძ-  
ლებს ლიბის ქვეშ მოსათავსებლად, ის ეფექტურად იცავს  
ქსოვილს, თან პაერის მოძრაობის კარგ შესაძლებლობას ქმნის.

ადრე ჭილოფებსა და ქუდებს უხვად ამაზადდნენ ლანჩუ-  
თის რაიონის სოფლებში, სახელდობრ, ლესა-ჯუთუყუვი-ნი-  
ბიში და სხვაგან. ამჟამად ეს ხელობა გადავიდა. ჯერ ერთი,  
ჭილი სოფლის ახლომახლო ავიღებთ იღარ ლანჩუვება,  
მეორეც — ამ შრომატევადი საქმისათვის თავს არავინ იწუ-  
ხებს, თუმცა, ჭილოფებზე და სამზუერ ქუდებზე მოთხოვნი-  
ლება ძალიან დიდია, სოფლის ჯანბირობას დამსვენებლობა  
სურვილებიც დაემატა. ასეთ ვითარებაში სწორი იყო ლანჩუ-  
თში ჭილოფებისა და ქუდების სერიული წარმოება, მაგრამ  
ხალხური ტექნოლოგიის შეუფასებლობაში გამოდნობით და-  
ტაცებამ პროდუქციის ხარისხს დავეცივება რაიმოწვიცა.  
აი, არტელურად ნაშუადი ჭილოფები და ქუდები ოდნავადაც  
ვერ შეედრება შოამომავლობით ოსტატთა ნახელავს. თან მათი  
თვითაღიერებულბა და, აქედან გამომდინარე, ფასი დიდია.  
მართალია, ეს საქონელი პირველ ხანებში გაიყიდა, რადგან  
დიდი რყო მოთხოვნილება, მაგრამ ამ საქმეს, გასაგები მიზე-  
ზების გამო, წარმატება არ უწერია. რაც მთავარია, დათურ  
სამსახურს ვუწევს ხალხის მრავალსაკუთრებავ ცოდნა-გამოც-  
დილებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ,  
რომ ხალხური სტანდარტი, რომელიც უხსოვარი დროიდან  
მრავალჯნის ცდილია და რედუნებიათა შექმნილი, კვლავ ხა-  
ლხური სტანდარტად უნდა დარჩეს. მისი გამოყენება სერიულ  
წარმოებაში დამსახურა მხოლოდ იმ პირობით, თუ ამის მო-  
მსმარებელს ვაუწყებთ და ხალხურის მიბაძვით დამზადებულ  
პროდუქციას სათანადო ეტკივებით მივაწოდებთ. სხვა მხრივ  
ფალოსფიციაციასთან გვაქვს საქმე.

საქართველოში ყველა ძველ, ტრადიციულ დაბა-ქალაქსა და  
სოფელს თავისი სპეციფიკა, განსაკუთრებული სახე და კო-  
ლორიტი ჰქონდა. ამას ძირითადად პირობებდა ბუნებრივი  
გარემო და მუერნება. სოფელი, რომელსაც სავარგულები  
არ უყვნიდა და მსწარმოებდებოდა თავს ვერ ირჩნდა, არ-  
სებობისათვის დამატებით წყაროს უსათუოდ გამოიხსავდა.  
ასეთი აუცილებლობით იყო გამოწვეული ქვემო გურჯის სო-  
ფლებში ჭილის დამზადება, ამჯერად ციტრუსების და ჩაის  
კულტურამ ეს მანამაპური საქმიანობა საქართველოს პირადად მი-  
იყვანა, თუმცა, როგორც ვნახეთ, მოთხოვნილება ხალხურ ნა-  
წარმზე გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ძველად იყო.

იმ სოფლის მცხოვრებნი, სადაც კერამიკისათვის გარვისი  
თიხა მოიპოვებოდა, მუერნობაში ოსტატდებოდნენ. ასე გა-  
ჩნდა ხალხურ კერამიკოსთა ადგილობრივი კერები, რომელ-  
თაც ჭურჭლის გამოყვანის საკუთარი ხელოვნება, შეუცვლელი  
ხელწერა და თაბიდან თაბაზე გარდამავალი, ტრადიციუ-  
ლად დახვეწილი ოსტატობა ჰქონდათ. დღეს ეს კერები არ-  
სებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის, ლეჩხუმში უკვე ჩაქრა  
სოფელ საირმის ორიგინალური მეთუნეობის განთქმული კე-  
რა, ასეთივე ბედ ეწვიც აკეთს (გურია), ძლივსდა სუნთქავს  
ცხავატი, ახალქალაქი (შიდა ქართლი), არც ზემოიმიერისა

და კახეთშია საქმე კარგად. დასუფარებულად უქრონი მკერულ კერანოვსებსაც. დღემდე შენიჭებებს ისიც ვერ მოგვიხსენებია, დედაქალაქში ხალხური წესით ჭურჭლის მუდმივი გამოფენა მოვაწყით, რათა არ დაგვეკარგოს მისი უნიკალური ფორმები. კვლავ აღურიცხავი არიან აგრეთვე, ამ სახეობის მშვილო საქმის მცოდნე და მიმდებარე პირები.

საქართველოში კარგა ხანია ქართულ წესზე კრამიტს აღარ ამზადებენ და ეს არც გვაწვავთებს. სამაგიეროდ, ხალხები ალუენინით, თუნუქითა და თუთიყთა გვაქვს „გადატკეცილი“. იქნებ ვერძობობთ, მაგრამ ვითომინთ, რომ ჩვენს ბინებში ზაფხულობით სიცხემ, ხოლო ზამთრობით სიცხემ იმატა. ქართული კრამიტი თავისა შეუდარებელი კონსტრუქციის მქონებით ერთ წამით წყალს არ ატარებდა (რა თქმა უნდა, თუ არტელური წესით არ არის დამზადებული), თან საცხოვრებელი ნორმალურ მიკროკლიმატს უზრუნველყოფდა. მისი ჩამოქნილი ფორმა — მრგოლანება და ჭდეები საოცარი ლირიზმით ერწყმობა ადგილობრივ ლანდშაფტს, სრულყოფდა განუყოფრებული ქართული კოლორიტის პარნიონის. აბა, დაუკვირდით, კ. იგნატოვის ცნობილ ფრესკაზე „იფროსმანის მონატრება“ კრამიტი რა როლს თამაშობს!

ქართული კრამიტი — მოქაქული და მოუქიჭივი, მწვანული, მწვანე, ფირუზი... მკითხეთ ფასადის“ მშენებმა, აღარ გავგანჩინა. აღბათ ათიოდ კაციდა თუ მოიპოვება საქართველოში, რომელთაც ხალხურ წესზე კრამიტის დამზადება იცინა...

ასევე იშვიათი გახდა ქვის დამუშავებაში დაოსტატებული სოფლები და ოჯახები. კრამიტის მცავასად ახლა ადარავსა სტორილება საფლავის ქვები, ბუხრის საყრდენები და კარავა. ჭიშკრის სვეტები, ჩამურები, სახეხულები... შენაღდა მითხოვნილება ჭის გვიმზებზე, წისქვილის დოლაბებზე, აბა, ახლა კის უნდა წებრ-საქანავთა ტაპაკები, ასაკიდი ქვები და მისთანანი. თუმცა, დადგება დრო, როცა ისევ მივხვდებით, რომ ქართული კრამიტი თურმე საუვეეთესო სახურავი ყოფილა, რომ ჩვენებური უპრეტენზიო, მეორასტებული საფლავის ქვა, ისეთი, როგორიც თვით დავით აღმაშენებელს ადგეს გელათში, ჯობის მარმარილოთი გადატკეცილულ საფლავს; რომ წყლის წისქვილზე დაფეკილი, კეცედი, ბუხრის ცეცხლზე გამომცხვარი მჭაიდი ძალიან ვერძობილია, მაშინ, თუ ახლა ხელი არ ვაშოვიდეთ, ყოველივე ამის გამკეთებელი აღარავინ გვეყვლება.

დაბა, მოვლა უნდა სოფლებს და ოჯახებს, რომლებიც კიდევ სცხათი მამა-პაპური ცოდნა-გამოცდილების მადლი.

გასათვალისწინებელი და საგულსწამოა, რომ რომელ სოფელსაც არც ხეაგრიელი ხობაბუნები და ზერები მოგვიყვებოდა, არც კოვები, ღრის კოლტი, ცხვრის ფარები დაუდიოდა, არც დასამუშავებელი თიხა, ქვა და ხე ჭქონდა, ცხოვრების დამატებით სახარად სულ სხვა რამ გამოუნახავს. ქუთაისის ზემოთ, რიონის ხეობაში არის სოფელი ონჭვიში, იჭურება მეტეოგრაფია იყენენ „გამოუთქვილი“. ონჭვიშელი მეტეოგეომი თავიანთი მშობითარებ და სახეითა ცხოვრებით, თავისებური რომანტიკით ლიტერატურის ხელსულებელი თემაა ისევ.

რაჭაში არის სოფელი ფარსეთი — ხალხური პოეზიის პარნასი. იჭაურები უსსოვარი დროიდან დაოსტატებულან მესტვი-

რიობაში. ფარსელი მესტვირე მუდმივი სტუმარი იყო პრულაიდ საქართველოს სახალხო დღესასწაულებისა და ხატობებისა, ლხინისა და ჭირისა. ეს დაუღალავი, მოხეტიალე მესტვირე მოღუდულე ხალხებით, მახვილონირი იუმორში შეზავებულ სიბრძნით სავსის, იფროსმანის ჭირთათმენას აზიარებდა და ყველგან სიკეთეს, სახარულს სთესდა. ასეთი იყო მისი ხელობა.

ცხოვრების ახალმა წესმა, ბუნებრივია, არსებითი ცვლილებები შეიტანა შრომის ტრადიციულ განაწილებაში. დღეს, მაგალითად, მეტეოგემა წარსულს ჩაბარდა და ისტორიის კუთვნილებად იქცა. რიონზე ტიეს ვეგოტიკით გატაცებული მოგზაურები თუ დატყუებენ. სხვა სპეციალობებს კი, ჩვენი აზრით, არ გამოსცლია საფუძველი. იგივე მესტვირე — არათეატრალისზებული, ბუნებრივი და უშუალო, ძალიან სტორილება ჩვენს დასახლებებს. აღბათ, ასევე დაგვირდება მეზუბრები, მეკრამიტები, წისქვილის გამართვის ოსტატები, მეგარათები, მეტეოგეომები, მეთუნეები და სხვანი და სხვანი. ბევარი მათგანი ხომ უკვე სანიღით საქმებარია.

საქართველოში იკარგება სახანო ქსოვილების დამზადების ხალხური ტრადიცია, ქალთა ხელსაქმე, ქარგვა, ქარგვა. ამრეშუმის გამოყენება და დარაიების დამზადება ხომ კარგა ხანია მოისპო. მიუხედავად იმისა, რომ ხალხურ გამოყენების ხელოვნებაზე და შინახელოსნობაზე ზრუნვა სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა, ამ თვალთახედვით ძალიან ცოტა არს კეთდება. უპირველეს ყოვლისა, არ წარმოებს საგანგებო, მისწორბრივი კვლევა-ძიება, მეცნიერული საფუძველების გარემოკარ, რა თქმა უნდა, ყოველი წამოწყება განწირულია. სწორედ ამიტომ მოვეცა გავრთიანება „სოლიანი“ ჩინში, იქ შემოქმედებითად ვერ განთრციელდა წარმოებისა და მეცნიერების კავშირი და აი, მწარე შედეგიც ერთადღით.

ახალი კონსტრუქციის მიზნური უდიდესი ღირსებაა ის, რომ ამომწურავად ითვისისწინებს მოქალაქეთა ყოფის ყველა დეტალს, საზოგადოებრივი და საოჯახო საქმიანობიდან მოკიდებული, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების ჩათვლით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხალხის შემოქმედების ყოველმხრივ განვითარებას. ამ რიგის პრობლემათა შორის, ერთერთი გადაუდებელი, სწრაფად გადასაწყვეტი და მოსალოდლოა ხალხური გამოყენებითი ხელოვნება და შინახელოსნობა. ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონის მიუხედავად, შინაწრევისა და მხატვრული ხელოსნობის ბევრი დარგი ისევ და ისევ ინარჩუნებს პრაქტიკულ დანიშნულებას. ახლა უკვე სადავო აღარ არის, რომ მის ნაწარმს ფაბრიკა-ქარხნების პროდუქტია საერთოდ ვერ შეცვლის. საერთაშორისო ტურნიზმის განვითარების ტექნიკური უკიდურესი ხდის სახურული სუვენირების რაც შეიძლება მეტ წარმოებას. არცთუ სასიამოვნო გამოცდილებით ნათელი გახდა, რომ „არტელური პირიციპით“ ამ საქმეს ვერ მოუვლით, ერთადერთი გამოსავალი, ახალი კონსტრუქციის საფუძველზე, ხელოვნებისა და ხელოსნობის ტრადიციული კერების გამოცოცხლება-აღორძინებაა. ჩვენი ღრმადრწმენით, მოლოდ ამ გზით ვაგვემთ პასუხს სადღესიო მითხოვნებს, შევიინარჩუნებთ წარსულის რაციონალურ მემკვიდ-

რობას და მიზნობრივად გამოვიყენებთ მოსახლეობის თავი-  
სუფალ დროს; წყაზნალობით, მივანიჭებთ გარკვეულ პრი-  
ვილეგიებს, გავუჩინებთ რა დამატებით შემოსავალს, გავზრდით  
თითოეული ოსტატის მატერიალურ და მორალურ დაინტერე-  
სებას, რითაც განვახლებთ ხალხურ შემოქმედებას.

აბრეგად, რჩება ერთი რამ — შრომის შესაბამისი ორგა-  
ნიზაცია. უკვე ცხადი გახდა, რომ ვერც საგანგებო გაერთი-  
ანებამ და ვერც სახელდახელო სამჭრობებმა სასურველი ნაყო-  
ფი ვერ გამოიღო. უკეთეს შემთხვევაში, ასეთი ტიპის სარე-  
წებს შეუძლიათ არა ხალხური ნივთები აწარმოონ, არამედ  
ხალხურობის მიბაძვით დამზადებული სერიული საქონელი  
გამოუშვან, ოღონდ შესაბამისი აღნიშვნით და ფასით. არაეი-  
თარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ხალხურის დამახინჯება,  
ყოველ წუთზე პასუხი უნდა აგოს იმ სამჭრომ, რომლის დამ-  
ლითაც გამოვა პროდუქცია და ხალხის თავანკარა შემოქმედე-  
ბა აქ არაფერ შუაში იქნება.

ხალხური რეწვის კერებს ისევ და ისევ მეცნიერებამ უნდა  
მიხედოს. სამისოდ მოწოდებულია ხალხური გამოყენებითი  
ხელოვნების მუზეუმი და ხალხური ხელოვნების მუზეუმისა და  
ყოფის თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი. პირველს ჯერჯე-  
რობით ძალიან შეზღუდული ბაზა, მცირე დაფინანსება და  
შესაძლებლობანი აქვს, ხოლო ღია ცის ქვეშ მუზეუმი რატომ-  
ღაც თავს ვერ ართმევს ამ გადაუდებელ საქმეს. ჯერ კიდევ  
მაშინ (ამ 15-20 წლის წინათ), როცა ღია ცის ქვეშ მუზეუ-  
მის მოწყობის ძირითადი პრინციპები დაიწერა და გამოქვეყ-  
ნდა, გათვალისწინებული იყო მის ტერიტორიაზე მოწყობი-  
ლი საჩვენებელი ხალხური სარეწები, როგორც ცოცხალი ექ-  
სპოზიცია. მაგრამ პრაქტიკულად ეს ვერა და ვერ განხორცი-  
ელდა. ამის მოგვარება ადვილი როდია, თუმცა მხარდაჭე-  
რის, დაფინანსების, მატერიალური ბაზის იმ პირობებში, რაც  
ღია ცის ქვეშ მუზეუმს მოეპოვება. სრულებითაც არ უნდა  
ქვეულოყო გადაუწყვეტელ პრობლემად.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფართო საველე-საექსპე-  
დიციო მუშაობა, სათანადო კერებისა და პირების გამოვ-  
ლენა, აღრიცხვა, უკვე გამოვლენილის გათვალისწინება და  
ა. შ.

ღია ცის ქვეშ მუზეუმი 60-იანი წლებიდან უკვე არსე-  
ბობს და, სამწუხაროდ, ამ თვალთახედვით მუშაობა ვერ გაი-  
შალა, მაშინ როდესაც თითოეულ დღესაც მნიშვნელობა აქვს.  
ვისაც ველზე ეთნოგრაფიული მასალა შეუკრებია, იმან კარ-  
გად იცის თუ რა სისწრაფით გვეცლება ხელიდან ძველი რე-  
ალიები.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ერთი მუზეუმი  
დასმულ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუ მას მხარში არ  
ამოუდგნენ შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებანი. ჩვენი  
აზრით, ამ მიმართულებით, ახალი კონსტიტუციის მიერ და-  
სახულ გეზს რომ გავყვით, აუცილებელია რესპუბლიკური  
მასშტაბის საგანგებო ღონისძიებების გატარება.

# ქართული მხატვრული სარეწვის შესახებ

ირინე ძუცოვა

საპარტიზმო ძეგლთაგანვე განთქმული იყო ჭედურობის  
ოსტატებით, ქვისმთლელებით...

ბუნების მრავალფეროვნება განაპირობებდა არქიტექტურა-  
სა და ტანსაცმელში, სიმღერებსა და ცეკვებში, საყოფაცხოე-  
რებო ნივთებსა და სხვა მხატვრულ ნაკეთობებში ოსტატთა  
უმრეტ ფანტაზიას და მრავალსახეობას. სოფლის მხატვრულ  
სარეწვებთან ერთად, განვითარების მაღალ დონეს მიაღწია



ამკრულმა ხელისნობამ. თუ ქალაქის ხელისნებისათვის ეს დარგი წარმოადგენდა მათი არსებობის ძირითად საშუალებას, სოფლის ოსტატებისათვის იგი, საოჯახო მოთხოვნილების დადამკვეთიდაც ერთად, შემოსავლის დამატებითი წყარო იყო. საკერაო ბაზრობაზე გულგნულად გამოქმნდათ მათ ნივრ დამზადებული მხატვრული ნაკეთობანი. ქართული ხალხური ხარჭები აღმოცენდა ძველი ყოფის ბაზაზე და მის შეცვლასთან ერთად გაქრა მხატვრული წარმოების ბევრი დარგი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კვლავ შეიქმნა პირობები ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის. ფართო მასშტაბის სამუშაოები გაიშალა ხალხური სარეწობის სხვადასხვა დარგის აღორძინებისათვის. როცა თანამედროვე ქართულ ხალხურ სარეწობებზე გლახარაგობით, მხედველობაში გვაქვს დღემდე შემოსული დარგები (კერამიკა, კალათების წვნა, თიქები, ხალონიები და სხვ., მისი ტრადიციული წარმოების (ცენტრები), მხედველობაში გვაქვს სარეწობა, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ ღონისძიებებს. მათი განვითარებისათვის. მაგალითად, ნაყინული ფუნსაქმლის ქსოვა — თუშეთსა და ხევსურეთში, ვერცხლის აა-ოუველრო ნაწარმის დამზადება, ვერცხლის დამუშავება, რომელიც რძის ტექნიკით (ცენტრი — თბილისში); სარეწობები, რომლებიც მოიშალა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ და რომელთა აღდგენა შესაძლებლად მიგაჩნია (რქისა და ძვლის დამუშავება, გიშნის წარმოება, დათიფა, ხელით ქსოვა ჯიჯი-მეხის ააჩო); სარეწობები, რომლებიც აღარ არსებობს, მაგრამ შეიძლება აღდგეს და დაინერგოს თანამედროვე ყოფაში: სპალენძის დამუშავება, ვერცხლის ჭურჭლის წარმოება, ბუზ-მენტებისა და სირნის დამზადება, მხატვრული ჩამოსხმა, მინაშენების საიუველორო ნაწარმი, ხისგან გამოზარებული ქართული მხატვრული ჭურჭელი, ტრადიციული სახალხლო ჩირილაკის დამზადება.

საქართველოში შინ მომუშავე ოსტატების რიცხვი 70% შეადგენს. თუ მთა გავაერთიანებთ ერთ მხარეში, ეს გამოიწვევს ფართო მოთხოვნების შეტანას, სურვილს უსაკურობას. როგორც ცნობილია, თიანეთის რაიონში მისდევენ ფარდაგების წარმოებას. თუ სხვადასხვა სოფლებში მომუშავე ოსტატებს ერთ საწარმოში მოაყრიბთ თავს, ეს გამოიწვევდა მათ მოწყვეტას კოლმეურნეობის მიმდრებიდან, საკარმიდამო ნაკვეთებიდან, მეორეს მხრით, წარმოებაში გაერთიანებულ ოსტატებს პროფესიონალი მხატვარი უფრო ადვილად გაუწევდა დახმარებას, ხშირად კი ასეთი დახმარება აუცილებელია. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთ მაგალითს: ერთხელ, თიანეთში, ხალიჩის მქსოველთა ოჯახში, სადაც ამ დარგს შთამომავლობით მისდევდნენ, ერთ-ერთი ექსპედიციის წევრებიც შეამჩნიეს ტრადიციული ქართული ფარდაგებისათვის სრულიად უცხო ილუმენტი — ვარდი ორნამენტში. მქსოველმა ქალმა აღნიშნა, რომ ეს ორნამენტი მას ასწავლა ბებია. ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმ დროს საქართველოში შემოქმნდათ უკრაინული საპონი და მის შესახვევ ქალაღზე გამოსახული იყო ასეთი ვარდი და ორნამენტი. უცხო ელემენტის ასე შექმნიკუარად გადმოტანა კინაღამ ტრადიციად არ იქცა.

სახლებში მომუშავე ოსტატებთან მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მათი შრომის პირობების გაუმჯობესება.

სხვა, სამრეწველო დამხმარე პროცესების გამარტივება როგორც ცნობილია, თქვის, ან განთქმული მოქსოვლო ფუნსაქმლის — „ჩითების“ დამზადებას წინ უძებნენ მხედველობაში რიგი მოსამზადებელი სამუშაოები, როგორცაა: ცხვრის გარეგა, მატყლის გარეგება, გაპენტვა, შეღებვა და ძაფის დახვევა. ჩვენის აზრით, მთლიან ეს პროცესი შეიძლება გადატანილი იქნას მოსამზადებელ საწარმოში, როგორც ეს ხდება ოსტატებში. თუმცა, აქ უნდა გათვალისწინოთ ერთი გარემოება — ნახევარფაბრიკატი ძირითადად არ უნდა განსხვავდებოდეს ხელით შესრულებული ტრადიციული ნაწარმიდან.

საჭიროა დაინერგოს თვითშესყიდვის უფლება, როგორც ფორმა, რათა დადგინდეს ამა თუ იმ ნაწარმის მყიდველობითი უზარალობა. საკითხავია, რატომ უნდა გამოდგოდეს მხოლოდ მოწვევართა და მხატვართა მიერ დამზადებული თორხინები, მაშინ როდესაც უცვლებელიყოფის ტრადიციული ქართული სათამაშოები. ოსტატებს რომ შევთავაზოთ სათამაშოების წარმოება, ეს დაეკუმრებულა გარკვეულ რისკთან — ხომ შეიძლება ეს ნაწარმი არ გაყიდოს. აი, რატომ არის საჭირო თვითშესყიდვა და მაშინ, ჩვენის ღრმა რწმენით, შესაძლებელი გახდებოდა ადგვედინა თუნდაც დიდი ხნის წინათ დავიწყებული და გამჭარალი სახალხლო ჩირილაკის დამზადება.

ამჟამად, მართალია, „სოლანა“ და სამხატვრო ფონდი ძებნენ მოიღობებისაგან ტრადიციულ, მოქსოვლო ფუნსაქმლის — თუშურ „ჩითებსა“ და ხევსურულ „თათებს“, მაგრამ ისინი საკმაოდ ძვირი ჯდება, დაახლოებით 25-30 მან. წყვილი. იგი ძვირი უჯდება თვითონ ოსტატს, რომელიც მისი დამზადებისათვის საჭირო გეოლოგია ოპერაციის საკუთრივ აწარმოებს. ამასთან შრომის 60-70% მიდის დამხმარებელ, მოსამზადებელ სამუშაოებზე, რაც შეიძლება განხორციელებულიყო საფაბრიკო წესით. არც „სოლანას“ და არც სამხატვრო ფონდს არ გაჩანია თავისი საწარმო ბაზა, თუნდაც ადგილი, სადაც მოეწყობოდა სამღებრო ლაბორატორია და სახელოსნო. ადვენად, მისწავწვინილად მიგვჩანია დაწებროთ და განავითაროთ მხატვრულ ნაკეთობათა წარმოება ოჯახებში, ხოლო თბილისში დაინერგოს ნახევარფაბრიკატების წარმოება. შემდგომში, ამ ნახევარფაბრიკატებს ოსტატები გამოიყენებენ და ხელით დამუშავენ ადგილებზე, ტრადიციულ ცენტრებში.

აუცილებლად მიგვჩანია, რომ ხალხური ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრებისათვის გამოიყოს სპეციალიზებული მაღალხეობის ქსელი, ან, უკიდრეს შემთხვევაში, ერთი დიდი მაღალხეობა — სალონი.

„სოლანას“ აქვს სპეციალიზებული მაღალხეობა — პაქარა, ვიწრო სათავისი, სადაც უთავილოდა დახვავებული საქონელი, რომელთა შორის გარკვეული პროცენტი შემოტანალია სხვა რესპუბლიკებიდან. ამავე დროს, „სოლანის“ ნაწარმის მნიშვნელოვანი რაოდენობა იყიდება უნივერსალებსა და სხვა მაღალხეობში.

სპეციალიზებულ მაღალხეობა შეიძლება ეწოდოს საქართველოს ხალხური შემოქმედების სალონი. არ არის აუცილებელი ინტერიერი გაფორმდეს ფსევდოსალხურ სტილში, პირიქით. იგი შეიძლება იყოს სრულიად თანამედროვე, რათა ხალხურ ნაწარმს შეექმნას კონტრასტული ფონი. სალონი ძველდეს ეროვნული ძაგები, შეიძლება გაიყიდოს ფორგეტები ქართული ხალხური სიმღერების. პერიოდულად უნდა მოეწყოს ერ-



თი, ან რამდენიმე ავტორის ნაშრომებთან გამოფენა-გაყიდვებში, ამავე დროს გამყიდველი უნდა ერეკვოდ მხატვრული ნაწარმის არსში, მან უნდა გააჩვიოს შეიდეგი ნაწარმის რაობას და ავტორის ვინაობაში. ასეთ გამყიდველ-კონსულტანტს კარგი რეკლამის გაწევა შეუძლია ხალხური შემოქმედების ნაწარმისათვის.

1973 წელს გაერთიანება „სოლანთან“ შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. იდეალურ შემთხვევაში ეს ლაბორატორია ჩვენ გვესახება ისეთ ორგანიზაციად, რომელიც კორდინაციას უწევს კომპლექსურ მუშაობას ხალხური ოსტატების გამოვლენასა და მათი შემოქმედების რეკლამირების დარგში. მასში სამი განყოფილებაა: ინფორმაციის, მხატვრული პროპაგანდისა და რეკლამისა. პირველი, შოთარის განყოფილების ფუნქციებში შედის ხალხური სარწმუნოების შესახებ ბიბლიოგრაფიული მასალის მოძიება საქართველოს რაიონებში, ოსტატებისა და სარწმუნოების გამოვლენა, ნაწარმის კონსოლიდირება რენტაბელობის დადგენა და სხვ. ხალხური ოსტატების დახმარების საქმეში ვადაწყვეტილი როლი უნდა შეასრულოს მხატვრულმა განყოფილებამ პროფესიული მხატვრებისა და ოსტატების მეშვეობით. მაგრამ ეს დახმარება ჩვენ არ უნდა გავიგვი, როგორც ჩარევა შემოქმედებით პროცესში და უცხო იდეების თავისმოხვევა. დახმარება უნდა იყოს გამიზნული ოსტატის შემოქმედებითი დიპაზონის გასაფართოებლად, მისი შესაძლებლობების, პოტენციური ნიჭისა და უნარის უფრო სრულყოფილად გამოისვლინებლად. ხალხური ოსტატების ნაშრომებთან სასაქონლო სახე შესაბამე განყოფილების — რეკლამის განყოფილების მზრუნველობის საქმეა.

ხალხურ ოსტატებთან შემოქმედებითი მუშაობისათვის შედინება უნდა ვეძებდეთ სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს. თბილისის ქართული ხალხური სერობისმოძრაობისა და ყოველი მუზეუმის შესაქმნელად დიდი შრომა გასწიის მიყინობა: ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა, არქიტექტორებმა, მხატვრებმა, რესტავრატორებმა... ახლა, როდესაც მუზეუმის ფუნქციონირების, საჭიროა მას სასიცოცხლო სული მოვაბეროთ: მუზეუმის ტერიტორიაზე უნდა ეწყობიდა ქართული ხალხური ხელოვნების დეკადები, დღეები შეიძლება მიიღონ მას გარკვეულ დარგებს, რითაც ხალხურ ოსტატებს შესაძლებლობა მიეცემათ აწვიონ თავიანთი ხელოვნება. აქვე შეიძლება გაიყიდოს მათი ნაწარმი.

საკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ხალხური მხატვრული სარწმუნოების შესახებ მნიშვნელოვან ამოცანებს აყენებს პროფესიული მხატვრების წინაშე, საჭიროა მჭიდრო კონტაქტის დამყარება ხალხური შემოქმედების ოსტატებთან. საშუალებად, საქართველოში იმიტიათ გვგებება ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა თანამედროვე ინტერვიებში გამოყენების ქდეები. ნაკლებია საქმიანი კონტაქტები, ერთობლივი შემოქმედების მაგალითები, გარდა მცირედი გამოწავლისა. ამ მხრივ მისასაღებელია ჩვენი არქიტექტორების ინიატივები, რომლებიც აღვანათ თქვის ხალხურს იყენებენ მონუმენტურ-დეკორატიული პანთონის სახით, საზოგადოებრივი შენობების ინტერიერთა გასაფორმებლად.

ჩვენი რესპუბლიკის ზემდომი ორგანოების დადგენილებაში — „სუვენირებისა და ხალხური სარწმუნოების ნაკეთობათა წარმოების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ მითითებული იყო, რომ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკ-

ლოვებები ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგებში: აღმდგენ-განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ დარგს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საქ. სსრ მხატვართა კავშირი, სამხატვრო აკადემია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მუზეუმები, ხალხური შემოქმედების სახლები, პრესა, რადიო, ტელევიზია და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი.

გათვალისწინებულ იქნა რა გავრდილი მოთხოვნილება ხალხური შემოქმედების ნაწარმზე, სათანადო სამინისტროები, შემოქმედებითი კავშირებისა და სასოფლოებებს დაგვალა მიიღონ გამდამრეული ღონისძიებანი ხალხური მხატვრული სარწმუნოების აღდგენა-განვითარებისათვის, შეიმუშაონ ღონისძიებანი ექსპერიმენტული ლაბორატორიის შესაქმნელად. მინიმუმადეა ნახევარფაბრიკებისა და ნედლეულის მოსამარავებლად და მიიწვევებოდ დარგების აღდგენაზე მომუშავე ოსტატების წაახლისებლად.

დიდი და საინტერესო მუშაობის ჩატარება შეუძლია საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს. საშუალოდ, იგი დღემდე მოთავსებულია მკვლად შეუფერებელ, ვიწრო შენობაში და, ამდენად, მისი შესაძლებლობებიც შეზღუდულია. მუზეუმს არც საკმარისი შტაბი და თანები გააჩნია აქტიური საქმიანობის გასაშეულებლად, ხალხური შემოქმედების ოსტატებთან რეკლამარული, ცოცხალი კონტაქტის დასაყარებლად. მუზეუმის ფონდები მდიდარი და მკვლად მნიშვნელოვანია. ამიტომაც აქტუალურ პრობლემად მიგვაჩნია მისთვის შესაფერისი შენობის გამოყოფა.

ჩვენი აზრით, საჭიროა რესპუბლიკაში შეიქმნას ისეთი ორგანიზაცია, რომელიც კომპლექსურად უხელმძღვანელებს ხალხური შემოქმედების თვლდ საქმიანობას, ჩვენ აჯულისხმობთ მიცნიერულ გამოკვლევებს, ნედლეულისა და მასალიების შესწავლას, ახალი — გაუმზობესებელი ტექნოლოგიის დაწერვას, საინტერესო ნაშრომის შერგობას, მომარაგებისა და მზა საჭიროების გასაშეულებლად, მისი ექსპორტის ორგანიზაციას. საუწყებო დაქმონდებარების სიმრავლი დამატებით სიძნელეებს ქმნის მუშაობაში და დღისისათვის მომწოდებერთან საკოორდინაციო ცენტრის შექმნის აუცილებლობა, რომელმაც, თავისთავად, მჭიდრო კონტაქტი უნდა დამყაროს საქმიანი ინსტიტუტებსა და მუზეუმებთან.

ხალხურ ოსტატებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად (ტრადიციულ ცენტრებში ხალხური სარწმუნოების სკოლების შექმნა, უნივერსალური ნაწარმის გამოშვების გავრცელება, ოსტატების ნოდლეულისა და ხელნაწილობითი მომარაგება და სხვ.), იქნებ ცალმხედ შეიქმნას რესპუბლიკაში ხალხური სარწმუნოების სპეციალური გავრითიანება, ან სამარველო — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან.

საჭიროა გაეთვალისწინოთ წინა თაობების მუშაობის გამოცდილება, კერძოდ, კავკასიის კუსტარული კომიტეტის საქმიანობა, ისე არც გამოაზიაროთ და არც დაგაინოთ მისი როლი. ასევე, კარგი იქნება შევისწავლოთ სახელისონ-საწარმოო გაერთიანებების მუშაობა საბჭოთა ხელი მოსწავლების პირველ წლებში; უნდა მივიხვილით აგრეთვე მუცამირე რესპუბლიკებისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება და გამოვიყენოთ ყველა დადებითი, რომელიც შეიძლება გამოვიყვადგეს დღევანდელ პრაქტიკაში. დღისისათვის საქართველოს მხატვართა კავშირის სამხატ-

ვრო ფონდში მუშაობს ერთი ინსპექტორი, ხელოვნებათმცოდნე ხალხური ხელოვნების დარგში. 1975 წელს ხალხური ისტატების გამოსავლენად ჩატარდა ღონისძიებები ტრადიციულ ცენტრებში (დუშეთი, ჟინვალი, ბარისასო, ვაისუბანი, ბოდბე, ახალციხე, ზარზმა, ადიგენი, ასპინძა და სხვ.). სამწუხაროდ, ხალხურ ისტატებთან მუშაობას ართულებს სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორები: ინსპექტორ-ხელოვნებათმცოდნეს არ გააჩნია ტრანსპორტი შორეულ რაიონებში მცხოვრებ ისტატებთან რეგულარული კავშირისათვის. ნაკლებობაა შესაძენად წვლელადში გამოყოფილია ორიათასი მანეთი, რაც არ არის საკმარისი.

კიდევ ერთი საკითხი: მთელი რიგი ორგანიზაციები აწარმოებენ სუვენიერების გამოშვებას. მაგ. მცხეთის კერამიკული კომბინატი უშვებს შავ და სხვა სახის კერამიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს ძველი ქართული ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგია. ასეთსავე კერამიკას ამზადებს სამხატვრო ფონდის საწარმოო კომბინატი, საბურთალოს სამეწარმე მასალათა ქარხანა, ავტალის კერამიკული ქარხანა და სხვა საწარმოები. ვერცხლის და მელქიორის სამკაულებს ამზადებენ: თბილისის სამხატვრო აკადემიის სახელოსნოები, ფინბა „სოლიანი“, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, საქართველოს სამხატვრო ფონდი და სხვ. როგორც წესი, ამ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია, თავისი არაერთ დეკორატიული უნდა იყოს ხალხური შემოქმედების ტრადიციებთან. სამწუხაროდ, ძალზე ხშირად, ეს კავშირი ფორმალურ ხასიათს ატარებს და ცალკეული ქართული ორნამენტის ელემენტებისა და სიუჟეტების უაზრო, მექანიკურ გადმოტანას მოწოდებს. მხატვრულ ნაწარმთან ერთად, ხშირად გვხვდება ნაკეთობანი, ეგრეთწოდებულ „ქართულ სტილში“, რომელთა შესრულების მხატვრულ-ტექნიკური დონე აშკარად დაბალია.

რესპუბლიკაში ხალხური შემოქმედების შემდგომი განვითარების პრობლემების გადაწყვეტისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ აუცილებელია ამაღლდეს გამოშვებული პროდუქციის მხატვრული დონე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტექნიკური ხერხების აღდგენა-განვითარებას. ამდენად, ხალხური ტრადიციული სუვენიერების დამზადება-გამომშვება უნდა იყოს სამხატვრო საბჭოების, ეთნოგრაფებისა და საწარმოთა ხელმძღვანელი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

უნდა აღორძინდეს ხალხური მხატვრული ხელოვნების ყველა დარგი, რომელიც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, თავისი ფორმითა და დანიშნულებით შეესაბამება თანამედროვე ყოფას, ამავე დროს საფუძვლად ეროვნული ისტორიული ტრადიციები უდევს. ნივთის პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნოგრაფიულ მხარეს, მის მხატვრულ-ღირებულებას, როგორც ერის ხულიერ საგანმანათლებლო.



თბილისში გაიხსნა საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმი.

ურჩაღ „საბჭოთა ხელოვნების“ კორესპონდენტი ბატა პრეზინი შეხვდა ამ მუზეუმის დირექტორს შალვა შანიძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— რამ განაპირობა საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის შექმნა?

დღემდ რესპუბლიკაში არ არსებობდა დაწესებულება, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა კომკავშირის ისტორიის ანსახველი მასალების გენმაზომიერ შეგროვებას. მენიერულ დაწესებულებას და პოპულარიზაციას, როცა მუზეუმის თანამშრომლები ექსპოზიციისათვის მასალებს სახეცმეგრო-ტექნიკური თვალსაზრისით ვამუშავებდით, ჩვენს თვალწინ გადაიწალა საქართველოს კომკავშირის მიერ განვლილი გზის ყველა ეტაპი, ამ გზის ყველა უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი. რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდება წარმოადგენს საქართველოს კომკავშირის ისტორიას, მისი გამოცდილების სანიმუშო სკოლას. ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე თავისთავად ისტორიული მოვლენაა, ამიტომაც მთავარნი ვართ მომავალ თაობებს სათუთად შეგვნახოთ დღევანდელი ახალგაზრდობის — კომუნისზის სიტკბუკის შრომითი გმირობისა და მამაცობის მაგალითები.

კომკავშირის მუზეუმი უნდა იქცეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ ცენტრად. აქ, ამ შუნობაში, ახალგაზრდობა გაეცნობა კომკავშირის სახელოვან ისტორიას, გაეცნობა იმ დიდ გზას, რომელიც ჩვენმა მამებმა განვლეს დიად გარდაქმნათა ეპოქიდან დღემდ.


# საქართველოს კომპანიაში ისტორიის ეზუზუმი

გამთავლებით გაყვითლებული და გაცრეცილი დოკუმენტებიდან ამოიკითხავს და შესწავლის, თუ როგორ აშენებდნენ მაგნიტკასა და რიონ-ქესს, როგორ გაქჷონდათ პირველი ხნული შირაქა და ყაზახეთის ყამირ მიწებზე. ამ დოკუმენტებზე ტომები იწერებოდა და იწერება, მათზე აღიზრდება ჩვენი გმირული ტრადიციების ერთგული თაობები, ვინაიდან შეუძლებელია ააშენო მომავალი, თუ არ იცი წარსული — ამას გვასწავლიდა ლენინი, ამას გვასწავლის ცხოვრება.

— რა მასალებია დღეს დაცული ოქვენს მუზეუმში?

— დღეს ჩვენს ფონდებში დაცულია ათათასზე მეტი ნივთიერი, დოკუმენტური თუ ფოტო მასალა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპოზიციაში ვერ მოხვდა მხოლოდ და მხოლოდ საექსპოზიციო ფართობის სიმცირის გამო, მაგრამ თვითველი მათგანი წარმოადგენს კომკავშირის ისტორიის ძვირფას რელიქვიას. მუზეუმის ეს მნიშვნელოვანი შენაძენი გამოიფინება პერიოდული რექსპოზიციის დროს. ჩვენ მადლიერების გრძნობით მივმართავთ ყველა ვეტერან კომკავშირელს, კომკავშირული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებს დიდი დახმარებისათვის.

ის ფაქტი, რომ სამუშეუო ექსპონატები მზავლზე დიდ შობებულებას ახდენენ, მეტყველებს იმაზე, თუ რა გულისყურით, სიფაქიზით და საკმისი ცოდნით მოვეიდნენ ექსპოზიციის ვაფორმებას სამხატვრო ჯგუფის ხელმძღვანელი ვ. ქურთიშვილი, არქიტექტორები ვ. ბახტაძე, ლ. ბოკერია, მხატვარი შ. შანიძე, მოქანდაკე თ. ჯვარშიევილი, მხატვარი-გამორჩეული ვ. ანდრიანოვი და სამხატვრო ჯგუფის ყველა წევრი.



თანამედროვე ქართულ თეატრში შესამჩნევად გაიზარდა მხატვრის როლი, ზედმიწევნით გამოიკვეთა მისი მრავლისმეტყველი სახეითი ენა. მიმდინარე წლის დადგმებთან ერთად, ამას ნათელაქოფს 1977 წლის სეზონის შემეჯამებელი გამოფენაც, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს თეატრების მოწინავე მხატვრები: ვა. მოფენამ, რომელიც მოეწყო აკ. ხორავას სახ. მსახიობის სახლში, თბილისის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი დაიმსახურა.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დაიბადა გამოფენის დათვალიერების შემდეგ, ეს არის თანამედროვე მხატვრის სითამამე. მხატვარი თავისი შემოქმედებით მოითხოვს მაყურებლის თანამონაწილეობას, რადგან, გარდა გარეგნული სანახაობითი მხარისა, იგი ქმნის სპექტაკლის შინაგან სამყაროს პირობითი თეატრის პრინციპებით, არსის სიღრმეს გვაწვდის სიმბოლური ხერხებით, რომელსაც სჭირდება განათლებული, მოაზროვნე მაყურებელი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემორჩენილია ე. წ. „ილუზორულ-აღწერიითი“ ხასიათის ერთეული შემთხვევებიც, რაც დღეისათვის აღარ ითვლება რეალიზმის ერთადერთ გამობატულებად. დღევანდელ ქართულ თეატრში იშვიათად შეხვდებით დეკორაციის ილუზორულ გადაწყვეტას. მხატვრები თამამად არღვევენ ნაწარმოებში მოცემული გარემოს ილუზორულ სახეს სხვადასხვა მხატვრულ-პირობითი ხერხებით ერთ-ერთი ხერხისა საენის საპირისპირო, მისთვის უჩვეულო ფაქტურის გადმოცემა; თუ შეიძლება ვიხმაროთ ასეთი ტერმინი, ალტიკური დამაჯერებლობა.

ასეთია „სამეულის“ „ბერიკონი“, სადაც თვის ბუღულები გადმოცემულია ნეილონის ფერადი ძაფის ფაქტურით, ხოლო ტაძრის გუმბათის ფრაგმენტი კიდევუმომწვარი ნაცრისფერი მატერიათ. გეგუშიძის „დღი და მონადირე“, სადაც თხელი, ნაზი მატერიის ფაქტურით შექმნილი უფსკრულში ჩაკიდული ყინულის ლოლუნების ასოციაცია. მხატვარი ნაზგასმით ავლენს ცისფერი მატერიის სინაზსა და გამჭვირვალეობას, აგრეთვე ნახატის ფაქტურას, რომელიც გადმოცემულია ფუნჯის ფართო მონასმებით. სვანური პირაფები და შიგ ჩახატული ქართული ნაქტიქტურის დეტალები თავისი მასშტაბურობითა და ფერწერულობით ქართული ლეგენდის ზღაპრულ სამყაროში გვაქცევს, მ. მურვანიძის „ბარონ მიუნაპუზუნის ცხოვრებასა და გარდაცვალებამი“ წვიმის წვეთები ქოლგაზე ვერცხლისფერი პრილა ლენტებით არის გადმოცემული. შ. ხუციშვილის „ახალგაზრდა გვარდაში“ ნაგებობა, რომელიც ხან სკოლაა და ხან საცხოვ-

# ქართული თეატრალური მხატვრობა

ესაიზიანი და ლაღაგანი

ცისანა კუხანიძე

რებელი სახლი, ხან კლუბი, შახტის კოშკი, გესტაპო და ძირითადად კი ახალგაზრდა გვარდიელთა სადიდებელი სიმბოლური ძეგლი, წითლად შეღებული ფანჯრითაა გადმოცემული სპექტაკლში წითელ ფერს გასდევს შავი საღებავის ფართო შეეული მონასმები, რითაც მხატვარი, ერთის მხრივ, თეატრალურ პირობითობას ქმნის, ხოლო, მეორეს მხრივ, ფერს სიმბოლურ დანიშნულებას ანიჭებს. მ. მურვანიძის „დღეინაში“ მაქმანით გარშემოვლებული შავი ხაერდის ნაგები მხატვრის თავისუფალი დამოკიდებულება მასალასთან, შეიძლება ითქვას, თამამიც. ვერისა და ფაქტურის ამგვარი პირობითობით მ. მურვანიძეს მხატვრული დამაჯერებლობით მიეყვარა ნაწარმოების არსთან, მის კომიკურსა და ლირიკულ საფუძვლთან, ამავე დროს, ესოდენ მცირე

დეტალით, როგორცაა მაქმანი, გვაგრძნობინებს მეოფრამეტე საუკუნის ესპანეთს.

თანამედროვე მხატვრები ილუზორულ გადაწყვეტას გაურბიან იმ მიზნითაც, რომ მაყურებელს მისცენ აზროვნების, ფაბრისის ფართო საშუალება, რათა სპექტაკლისა თუ ესკიზის ყუბების დროს იგა არ იყოს ესთეტიკურად სმვენიერი სცენური გარემოს ბასიური აღქმული. მხატვრის მიზანია მაყურებელმა სპექტაკლის სახვით გადაწყვეტაში დიანახოს ნაწარმოების კიდევ ერთი დამოუკიდებელი, შემოქმედი-ინტერპრეტატორი და არა ილუსტრატორი. სიტყვა „დამოუკიდებელი“ არ გეულისმობთ დანარჩენ კომპონენტთან შეუთავსებლობას. მხატვრის დამოუკიდებლობა ვლინდება სახვითი სპეციფიკის თავისებურების გამოვლენაში და ხელფენება ამ სახეობისათვის დამახასიათებელ ენაზე აზრის მოწოდებაში. ყველასათვის ცნობილია, რომ თეატრში სხვადასხვა კომპონენტის თანარსებობა ურთიერთზეავლენას ახდენს.

სშირად მხატვარი კარნახობს რეჟისორსა და მსახიობს მიზანსაყენის გარკვეული სახით აგებას. ამის თვალსაჩინო მაგალითებია: ფ. ლაპიაშვილის „ლილიო“, მ. მურვანიძის „დუნია“, შ. ხუციშვილის „ახალგაზრდა გვარდია“, ა. ჭეილიძის „რევიზორი“ და ბერის სხვ. ლაპიაშვილის „ლილიოში“, რომელიც არ განზორციელდა მისკვივის მცირე თეატრის სცენაზე იმის გამო, რომ თეატრის კოლექტივი მოითხოვდა სვანეთის ეთნოგრაფიის ხაზგასმას, ხოლო ავტორმა სამართლიანად არ დასთმო თავისი მხატვრული პოზიცია, დრამატურგიული ნაწარმოების განვითარების ქარგა თავიდანვე მოცემული. თანამედროვე ფორმის შენობა ფარულად მოიცავს სვანური კომედიის არქიტექტურულ ელემენტებსა და ნიშნებს, როგორცაა ფართო ფუნდამენტი, ვიწრო ზედა ნაწილი; წახანკოვან ფორმებში შემპარავადა ჩაქსოვილი სვანური კომედიის არქიტექტონიკა. გარდა ამისა, შიგნართული მოძრაიე კედლები, რომლებიც ხან გადმოშლილია და ხან აკეცილი, შეგობის შიგნით მიმდინარე მოქმედებას გვიჩვენებს და უწყვეტი დინების საშუალებას უქმნის მას. მხატვარი რეჟისორსა და მსახიობს სთავაზობს მოქმედების არა მხოლოდ უწყვეტ დინებას, არამედ სხვადასხვა სცენურ მოქმედებათა სინქრონულ ჩვენებასაც.

პირობითობას თანამედროვე მხატვრები აღწევენ არა მხოლოდ ფერისა და ფაქტურის შეუთავსებლობით, არამედ ინტერიერის და ექსტერი-

ერის შერწყმითაც, როგორცაა გ. მესხიშვილის „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“, თუმცა გამოფენაზე იგი არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ მიმდინარე სპექტაკლია. ს. ცხოვრებელი ბინისა და ეუოს ატრიბუტები, როგორცაა ტოტემგაშლილი ხე, კედლებზე ჭრული-ჭრული ჩითები და სხვა ნივთები მხატვრული ლოგიკით არიან ერთმანეთთან დაკავირებული და ნაწარმოების კომიკური ხასიათის სახვით გამოსატყულებათან ერთად წარმოადგენენ სოფლის ცხოვრების მხატვრულად დამაჯერებელ სურათს.

გამოფენაზე წარმოდგენილ მასალაში საყურადღებოა თანამედროვე ქართველი მხატვრების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება: მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზედმიწევნით ლაკონურად აგებენ სცენურ გარემოს, არსად არ გრძნობთ სიმშრალესა და სიმწირს, რასაც ზოგჯერ აღნიშნავენ სხვა ქვეყნის თანამედროვე მხატვრების შემოქმედებანი<sup>1</sup>.

ქართველი მხატვრების ნამუშევრებში თითქმის ყველგან გვევხებით ფერისა და ხაზის ზეიმი, რაც მხატვრულად სრულყოფს ლაკონიურ დეკორაციას. ამის თვალსაჩინო მაგალითია თვით გამოფენა.

ერთი შეხედვით, გადაციერთული გვიჩვენებთ ე. თაყაიის „ლევინა სიყვარულზე“, მაგრამ დაკვირვებისთანავე იგრძნობთ მხატვრული გადაწყვეტის ლაკონიურობას. ავტორი აღმოსავლურ ელფერსა და ზღაბურულ იდუმულებას ფერისა და ხაზის პარმონიით აღწევს.

გ. მესხიშვილისა და მ. შველიძის „ჩვენი თანამედროვე“ შავ-თეთრი ფერებითაა შესრულებული. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ფსიქოლოგიური ჭიდილი, თანამედროვე ცხოვრების დაძაბული რიტმი, ტექნიკის ეპოქა ელექტრომავთულთა ქსელით არის გადმოცემული. სცენაზე რამდენიმე თეთრი ეკრანია მხოლოდ. მიუხედავად ასეთი ლაკონიურობისა, მასში არ იგრძნობა სიმშრალე და სიმწირე, რადგან ეკრანთა კომპოზიციური განლაგება, მავთულთა ქსელი და კინოპროექციის დანამიკა ემოციურ დაძაბულობას ანიჭებს სრულიად სადა დეკორაციას.

ფერისა და ხაზის ურთიერთშეხამების მიმხიბვლელი სანახაობაა მ. მურვანიძის „დუნია“. შავი მაქმანი, მისი კეთილშობილი ფაქტურა სველიის სანაპიროს ღამის სიღურჯეში მტაა

<sup>1</sup> Художник, сцена, экран. Сборник статей. М., Мордвинов, «Слышимое и зримое», стр. 66.

ეფექტურია. შავი ხავერდით შემოსილი მონასტრისა და სასახლის მოთუთო ნაწარსფერი კედლები თავისი დამრეცი ფორმებით მუსიკალური ნაწარმოების ლირიკული საფუძვლის თაბახშირია. გემებზე, კედლებზე და კოსტუმებზე გაფანტული სხვადასხვა ზომის ცვითელი წინწკლები თითქმის მთვარის ანარეგლია. მათვე დროს, ეს მოციმციმე დეკორატიული ელემენტი თავისებურ კომპიურ ელფერს კმის. ამ ელემენტისა და კედლების დეფორაციის გარეშე სპექტაკლის კომპიურ-ლირიკული გააზრება ტრაგიკულ იერს მიიღება, რადგან თეთრი კონტურით შავი ხავერდისა და მ.წ.ნ.ა.ფ.ის კონტრასტული დაპირისპირება ლურჯი სივრცის ფონზე, ფართო მონასტრითა და მკვეთრი გადასვლებით, განწყობას ამნიშებს, მიუსდევად წარმტაცი კოლორიტის ეფექტურა ზეკაულენისა. უნდა ითქვას, რომ „დუნია“ ესკიზებში ფერის შემოქმედებით მუსიკალური ნაწარმოების ლირიკული საწყისი უფრო ხაზგასმულია, ვიდრე კომპიური. ლაკონური დეკორაცია სავსეა ფერთა მუსიკით.


ლაკონიურობით გამორჩევა ი. გეგეშიძის „დალი და მონადირე“.

საცეკვაო მოედანი შემოფარგლულია ნახატი ფარდების სისტემით, რომელთა ერთობლიობაში იკითხება სვანეთის ჭარაფები და ტაძრის ინტერიერი, დალის გრძნეული, ცისფერი სამყარო, მასშტაბური, ფერწერული გარემო, ფერთა მღელვარებითა და ფართო მონასტრის მშფოთვარე ხასიათით მაყურებელს განაწყობს ავის მომსაწავებელი მიმღე დასასრულისათვის. ი. გეგეშიძე ყველა მოქმედებასა და სურათში ცდილობს და აღწევს კიდევ დეკორაციის ფერთა წყობა და ფორმათა ხასიათი გადაიტანოს კოსტუმშიც. ეს ქართული მხატვრებისათვის საკ-

მაოდ დამახასიათებელი თვისებაა ჯერ კიდევ ოცინი წლებიდან (პ. ოცხელის „ოტელო“, „ურიელ აკოსტა“ და სხვ.), თუმცა შედეგები სხვადასხვაგვარია.

რაც შეეხება ი. გეგეშიძის მიერ შესრულებულ კოსტუმებს, ზოგიერთ სცენაში დარღვეულია მხატვრული სრულყოფილება. დეკორაციის ფერწერული სიჭრელე გამოვრებულია კოსტუმებზე, ფრაგმენტად ფართობთა მასშტაბური შემცირებით, რის გამოც იკარგება მისი ზემოქმედება. სუსტია კოსტუმთა დინამიკური, ფრაგმენტი კავშირი დეკორაციასთან, რომელიც სკაზნის კოსტუმს ფერის ინტენსივობითა და მასშტაბურ ხაზთა ენერგიული პლასტიკით. სულ სხვა მხატვრული პარონია იქმნება „დალის საბრძანებელსა“ და ზოგიერთ სხვა სურათში, სადაც იგივე მხატვრული პრინციპით ი. გეგეშიძე სრულ ეფექტს ახდენს. კოსტუმებში აქვს მორღება დეკორაციის ფერები, მაგრამ თითოეულ ფერს აქ მტეი ფართობი უჭირავს, ნაკლებად არის დანაწევრებული, რის გამოც ინტენსივობას ინარჩუნებს და მეტ შემოქმედებასაც ახდენს მაყურებელზე. ამ მხრე საყურადღებოა გ. მესხიშვილის ესკიზები „შჩელკუნჩიკისათვის“. დეკორაციის კონტრასტულ ფერთა სიუხვესა და მზარულ ციმციმში თითოეული კოსტუმით გამოკვეთილია, დეკორაციის რომელიმე თითო შემადგენელი ლაკონური ფერით, რთორიკა: წითელი, მწვანე, თეთრი, იისფერი და სხვ.

თუ ესკიზებში მხატვარი აღწევს დეკორაციისა და კოსტუმის ფერთა საინტერესო შესამებას, სპექტაკლის ზოგიერთ სურათში სუსტადაა გამოვლენილი მათი პარონია. „შჩელკუნჩიკის“ პირველ მოქმედებაში ჭრელი ფარდების სისტემა მინიმედ აღწევს მოცეკვეთა დასს, სივრცე შეზღუდულია ფარდების სიმრავლით, დატვირ-






- ფ. ლაიაშვილი „ლილო“. მოსკოვის მცირე თეატრი.
- შ. ხუციშვილი „აბალაგაზრა გვარდია“. გორის თეატრი.
- ი. გეგეშიძე „სქანური ლეგენდა“. თბილისის ოპერასა და ბალეტის თეატრი
- მ. მურვანიძე „დუნია“. ლომის საოპერო თეატრი.
- ო. ქოჩიაძე, ი. ჩიკაიძე, ა. სლოვინსკი „ოლიაოს მეფე“. მაკეტი.

თულია რეალურ და აბსტრაქტულ საგანთა გამოსახულებებითა და კონტრასტული ფერებით, ხოლო სტუმრებისა და მშობლების კოსტუმებში გამოირებული იგივე ტონები, რის გამოც მსუყვე სიჭრელში იძირება ისეთი ფერადი მახვილიც კი, როგორცაა თოჯინების ოსტატის ხასხასა მწვანე, შრელკუნჩიკის ლალისფერი და ემმაკების შავწითელი კოსტუმები.

საწინააღმდეგო მხატვრული ეფექტი იქმნება მეორე მოქმედებაში, სადაც ფარდების გამჭვირვალება, ფერთა ნაზი ტონალობა, ნახატის კომპოზიცია და ფერადი მახვილების გამოყენება, როგორც კოსტუმების, ასევე ფარდების კონტურების სახით, დეკორაციის კოსტუმებთან ერთად, წარმოგიდგენს ერთ მთლიან მხატვრულად შეკავშირებულ სცენურ გარემოდ. მასში ვერძობთ ს. ვირსალაძის მიერ გაფორმებული „შრელკუნჩიკის“ გაფლენასაც. განსაკუთრებით მომხიბვლელია და დეკორაციასთან ფერად დინამიკურ კავშირშია შრელკუნჩიკის, ფიფქების, ფერიისა და მისი ამაღლის, აგრეთვე დივერტისმენტის მოცეკვავეთა კოსტუმები.

დეკორაციისა და კოსტუმის მხატვრული ერთიანობის მაგალითია მ. მურვანიძის „დუნიაც“, რასაც ფაქტურითა და ფორმით უფრო გადმოგვეცემს მხატვარი, ვიდრე ფერით. მ. მურვანიძე ხავერდისა და მაქანის ფაქტურას დეკორაციაში უხვად იყენებს, ხოლო მასზე გაფანტულ სხვადასხვა ზომისა და ფერის წინწკლებს იგივე ფაქტურის კოსტუმშიც ვხვდებით. მ. მურვანიძის კოსტუმი, როგორც ყოველთვის, აქაც ზედმიწევნით თეატრალურია, რასაც აპლიკაციებით აღწევს მხატვარი. ფერადი ნაჭრებისაგან, უფრო სწორედ ნაკუწებისაგან შედგენილი კოსტუმი გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს. ფერთა შეხამების უამრავი სახესხვაობა მხატვრის ამო-





უწურავ შესაძლებლობაზე და მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს.

ქართველი მხატვრები ლაკონურად გადმოგვცემენ არა მხოლოდ სცენურ გარემოს, არამედ ნაწარმოების არსსაც, რაც ყველაზე რთულია და მნიშვნელოვანი მხატვრის შემოქმედებაში, არსის გადმოცემა თანამედროვე თეატრალურ მხატვრობაში ძირითადი სიმბოლოები უნდაა, მაგრამ იგი დამახასიათებელია უფრო დრამატული ნაწარმოებებისათვის. მუსიკალურ ნაწარმოებებში არსის გადმოცემის მხატვრები უმეტესად ფერისა და ფორმის საშუალებებით აღწევენ, თუმცა სიმბოლიკა არც აქაა გამორიყვლი. „სამეული“, „ბერეკონი“ საიდუმლო სერობა, რომელიც გუმბათშია გამოსახული, თავბრუსხვას, ბერეკებისა და ხაზობის უმოთხრდამოკიდებულების სიმბოლო სურათს წარმოადგენს. ნაწარმოების მიხედვით ბერეკებზეც მოიპოვებან იუდეები, ხოლო მათ მოძღვარს, თავბრუსხვას სიკვდილით სჯიან თავბრეკა ქრისტესავით აღსდგება შემდგომ. „სამეული“ განგებ სტოვებს საიდუმლო სერობის მონაწილეთა სახეებს ცარილებს; მაყურებელს უტოვებს საშუალებას სურვილის მიხედვით ჩასვას ცარიელად იტლებში ბერეკათა სახეები. გუმბათისა და მოქმედ პირთა ცეცხლით შემომწვარი ტანისათვის საქართველოს ჭირნახული წარსულის სიმბოლოა, ხოლო პურის ბულუღებზე დადგმული ვეროპული სავაძრეები წრდილოეთ საქრისტიანოს მოძალების მეტყველი სურათი.

ასევე ლაკონურად არის შექმნილი მ. ჭავჭავაძის „სიმონა მამარის სიხმრებში“ საფრანგეთის დამარცხების სიმბოლოური სახე. ცენტრში, უმწოდ ხელბეგაშლილი დევის ადამიანი, რომლის წინ საფრანგეთის სულიერი ნანგრევები ყრია. სექტაკლში მხატვარი კიდევ უფრო საინტერესოდ გამოიყურება. ნანგრევები, რომელიც ესკიზში მოსჩანს, შესდგება ფანჯრის ჩარჩოების, მანქანის საბურავებისა და ეზოში დაყრილი სხვადასხვა ნივთებისაგან, რომლებსაც სექტაკლის დასაწყისში თავისი ადგილი და დანიშნულება გააჩნია, ხოლო დასასრულს თითოეული ლოქმედი პირი, ე. ი. ფრანგები თავისი ხელით ხსნიან ნივთებს კვდილიდან თუ სხვა ადგილიდან და ნანგრევების სახით ჰყრიან ერთადერთი მებრძოლი ფრანგის სიმონა მამარის წინ, რომელიც ჯერ შეურყენელი ფრანგი ახალგაზრდობის წარმომადგენელია.

სიმბოლოურია ე. დონცოვას „უკანასკნელნიც“, სადაც მდიდრულად მართულ ინტერიერში ყველაფერი დასაწვრვად არის გამზადებული, ამ ინტერიერში ვითხოვლობით არა მხოლოდ საგანგაშო განწყობასა და განწირული სოციალური ფენის უკანასკნელ ამბუნთქვას, არამედ მრუდე სულის გამოხატულებასაც.

სიმბოლიკა უაღრესად ლაკონურია შ. ხუცი-

შვილის „ახალგაზრდა გვარდიამი“, სადაც სისხლისფრად შეღებილია შარავანდელი თავზე ადგია გმირთა სადიდებულ ძეგლს, რომელდაც იღვიძებენ ახალგაზრდები და ზედმე იხოცებიან სამშობლოს უკვდავსაყოფად. სამარადჯამო დიდების ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდების მოკლე ცხოვრების გზასაც, სისხლისფრად დღვარებს, ხოლო მის ფუნდამენტთან ჩამწკრივებული სვასტიკიანი ქუდები მათთვის გაღებული სამსვერდლო შეიჩიურლებია.

სიმბოლოურია გ. მესხიშვილის „სანამ ტურემი გადბრუნდება“, სადაც ცენტრში დგას სტრუბიგაშლილი ერთადერთი ბებური ხე. მის გარშემო სოფლის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნივთების უწყსრივო, ქაოსური განლაგებით, მხატვარი ადამიანებისად მიტოვებულ გარემოს გვისატყვას, ხოლო ფსევგაგარი ხე სოფლის ჭირისუფლის, ავაბოს სიმბოლოური სახეა.

ნაწარმოების არსის სიმბოლოურად გამოხატვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხერხი, ერთის შეხედვით, მარტივია, მაგრამ მიგნება არ არის იოლი, დიდ შემოქმედებით ძიებას მოითხოვს, სწორედ იმიტომ, რომ მათ მხატვრულად უნდა განაზოგადონ და ლაკონურად გადმოსცენ ნაწარმოების არსი.

მრავალ თვისებათა გვერდით არ შეიძლება არ შევინშოთ ქართველი მხატვრების ინდივიდუალური ხელწერაც, რის გამოც ჩვენს ამოკუნებში ასე მრავალფეროვანია, ინდივიდუალური ხელწერითა და გამოგონებლობით გამოირჩევა აქ გამოყენილ ნაწარმოებთა უმეტესობა, რასაც ვერ ვიტყვით შ. დარჩიას „საბრალდებო დასკვნაზე“. იგი ციხის მშრალი ოლუსტრაციაცაა და თანაც გ. მესხიშვილის „ამავე სახელოდების“ ყველაზე მუსტი ნამშეურების მიბავა.

ორიგინალობითა და გამოგონებლობით ყოველთვის გამოირჩეოდა ვ. გუნია და ამჟერადაც არ ულაღატნია მისთვის ფანტაზიას. რვა ესკიზიდან თითოეულს თავისი დამოუკიდებელი სახე აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ჩარო ყველგან უცვლელი რჩება და იგი წარმოადგენს მთლიანს მხატვრულ საფუძველს. აქერული დანადაგარის კამერულობისა და მიედრული დეკორის იუველორული დამუშავების საზემო სახითის მიუხედავად ესკიზებში ვერმნობთ მუსიკალური ტრაგედიის მიმზე განწყობას, რასაც მხატვარი აღწევს შავი ლილვების მკაცრი სიხუსტითა და შიგ ჩართული ბანქოს შავი ნიშნებით. გერმანიის ლიხსადმი სიყვარულის ლირია, რომელიც ჩაკოვსკის ოპერის ერთ-ერთი ძლიერი და წარმტაცი მუსიკალური ხაზია, გადმოცემულია დინჯი მწვანე ფერისა და თბილი ოქროსფერის შესამებით. მეთრამეტე საკუნის რუსული არქიტექტურის მიედრული ინტერიერი წარმოდგენილია ლაკონურად, მხოლოდ დეკორითა და შანდლებით. ორიგინალობით გამოირჩევა აგრეთვე ა. ჭელიძის „რევიზო“



რი“, სადაც მხატვარი დამაჯერებლობით დაპირობითი ხერხების საინტერესო შერწყმით წარმოგიდგენს სავაჭრო ცენტრის ყოფითი ცხოვრების მრავალფეროვნებას, მოძრავ მაგიდაზე გამოსახული რუსული ქალაქის კრებით სურათსა და მემწანურ ინტერიებს.

არანაკლებ გვიბობავს მხატვრული ფანტაზიითა და ორიგინალური გადაწყვეტით „სამეულის“ „ოიდიპოს მეფე“ (სოფოკლე), თ. ნიუსის „მურატინის თავგადასავალი“ (ა. ბუსტოი), შ. შევლაშვილის „განიკთხვის დღე“ (ს. მრევლიშვილი), მ. მურვანიძის „ბარონ მიუნაუსუნის ცხოვრება და გარდაცვალება“ (გ. ვორინი), განსაკუთრებით უნდა აღვინიშნო მ. მაღაზონიას მიერ გაფორმებული „აბესალომ და ეთერის“ მეორე ვარიანტი.

დასანანია, რომ ესკიზებში არ გადმოგვეცემს მხატვარი იმ სივრცეს, რომელიც სპექტაკლშია წარმოდგენილი. თავისთავად მშვენიერი ესკიზების მიხედვით ძნელია წარმოვიდგინოთ „აბესალომ და ეთერის“ მასში გათამაშება, არადა, რა წარმატაცია სცენაზე თითოეული მოქმედების დეტორაცია!

თამაში და ორიგინალური გადაწყვეტა კონსტრუქციული დეტორაციის მილიანად, ხალიჩასათო მოხატვა. პირველ მოქმედებაში ფოთლოვანი ტყის სტილიზებულ ნახატი მონუმენტური ხასიათითა და შინაგანი დამბულოებით, ნახატის მღელვარებით რაღაც უჩვეულოსა და მოულოდნელს გვიჩვენებს. აქ იბადება მეფისა და გლეხის გოგოს დიდი სიყვარული.

სიმბოლურია მეორე მოქმედების ნათელ საზვიმო ფერთა მკვეთრი, კოლორიტული დაპირისპირება დანარჩენ მოქმედებათა ფერმართალ ტონალობასთან. მზიური ფერებით მხატვარი პომნს უგალობს სიყვარულის ზვიმს, ქორწილს. ქართული არქიტექტურის დეტალებით მოხატული ნარინჯისფერი დეტორაცია წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს ამავე ტონალობის კონტრუსთა დარბაისლურ ფორმებთან შერწყმით.

მესამე მოქმედებაში სურსოფერი თაღებისა და კამარების სისტემის მწუნაბების ჩრდილი ეფინება, რასაც შუქურითა და კოსტუმთა მუქი კოლორითი გადმოგვეცემს მხატვარი. რამპისთან დაკიდული სატაძრო სარკმლის მწვანე მისათავი დეტორაციის უმშვენიერესი, ორგანული ნაწილია, ისევე, როგორც მეორე მოქმედების ბარელიეფი ქრისტესა და ანგელოსების გამოსახულებით.

მეთოთე მოქმედებაში ქართველი ხალხის ფანტაზიაში წარმოსახული ბროლის ციხე-კოშკებითაა მოხატული იგივე წყობის ტრასული დეტორაცია. ცისფერი ტონების, პაეროვან, სველიან კოლორიტთან ერთად მხატვარი შუქურით გადმოგვეცემს ეთერისა და აბესალომის სიყვარულის ტრაგიკულ დასასრულს.


ეს ყველაფერი უაღრესად დახვეწილი გემოვ-

ნებით, ეროვნული ელფერთი, თეატრალურობის სპეციფიკით და მხატვრული დამაჯერებლობით აქვს გადმოცემული მ. მაღაზონიას. ძნელია გომოვარჩიოთ რომელიმე მოქმედების დეტორაცია; თითოეული მათგანი დამოუკიდებელი მომზიბავს თითო ნახატიისა და ფერთი არის შესრულებული და მიინც სპექტაკლის გაფორმებას ერთი მთლიანი მხატვრული სახე გააჩნია.

კულისების სიღრმეში შტერილი ბანებით ავეებული დეტორაცია გატანილია სცენური სივრცის გარეთ, როგორც სიმაღლეში, ასევე ვანზე, რაც მონუმენტურობას ანიჭებს ფეოდალური ეპოქის არქიტექტურასა და სამეფო კარის ცხოვრებას. იგი მოქმედების შესაბამისად მოხერხებულად იშლება, ცალკეედება და ისევე ერთდება სხვადასხვა კომბინაციით, ეს კი სპექტაკლის დაინიჭებს წარმატავს ევროპეალური მიმართულებითაც, მიზანსცენებს ამრავალფეროვნებს.

დასასრულ უნდა აღვინიშნო ისიც, რომ ქართული თეატრალური ესკიზი ხშირად დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს, რაც მისი მეორადი ფუნქციაა. ზოგჯერ კი ისევე ხდება, რომ პირველადი ფუნქცია ზოლომდე არ არის გასწილი ესკიზში. მისი ზოგიერთი ღირსება ავტორის ჩანაფიქრის სახით არსებობს და ამ ღირსებათა ხილვა სპექტაკლში შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ფ. ლაპიაშვილის „ლილოვ“. ავტორის გადმოცემით, თეთრი შერობა აურული უნდა ყოფილიყო. შვინიდან განათებისა ინტერიერში მიმდინარე მოქმედება კედლებთანაც გამოჩნდებოდა. განათების გარეშე აურული თეთრი კედლის მხატვრული ფაქტურა ერთის მხრივ მითის სისპეკაკეს, ხოლო, მეორეს მხრივ, მის თეატრალურობას გაუსვამდა ხაზს. თეთრი ფონი სასამულო ომის დაწყების შემდეგ თანდათან დაიფარებოდა შავი ფერთი, ხოლო მთარაჯვების შემდეგ ისევე გადაიფარდა ძაძას და თეთრად აელვარდებოდა. ასეთი სიმბოლური გადაწყვეტა და კედლის აურული ფაქტურა ესკიზში არ ჩანს. შენობაზე გამოსახული გადაშკვითი შტრინები აღიქმება, როგორც დეტორაციული მხატვრული ელემენტი და არა შერობის აურული ფაქტურის გადმოცემის ხერხი. ლაპიაშვილის ესკიზებში უდავოდ გვიბობავთ მონუმენტური დეტორაციის ფერთა წყობა, ამას მნათობის დეტორაციული გამოსახულებით აღწევს მხატვარი.

გამოყენაზე წარმოდგენილი იყო მხატვართა სამი თაობა, გაცივებთ უფროსი თაობის მარდახლებური აზროვნება და ეპოვნება სასაითის ღრმა შეგრძნება, ხოლო საშუალო და ახალი თაობის ქართულ ტრადიციებთან უწყვეტი კავშირი, ახალი მხატვრული გზების ძიება და შემოქმედებითი მრავალფეროვნება.



ათი წლის წინათ, 1968 წლის ოქტომბერში, თბილისში, ჩვენს რესპუბლიკაში პირველად, შეიქმნა ფოტოკლუბი „საქართველო“, რომელშიც გაერთიანდა ერთუნიასტა — როგორც პროფესიონალ ფოტოჟურნალისტთა, ისე ფოტომოყვარულთა — მცირე ჯგუფი. მოკლე ხნის მანძილზე ფოტოკლუბი ახალგაზრდა ქართული ფოტოხელოვნების ნამდვილ შემოქმედებით და ორგანიზაციულ ცენტრად იქცა.

პირველი გამოფენა ფოტოკლუბმა უკვე თავისი არსებობის მესუთე თვეზე გამართა. ექსპოზიცია ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა და თბილისელების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ათი წლის მანძილზე ოცდათერთმეტი გამოფენა გაიმართა. მათ შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი გამოფენები, როგორცაა ამირეკაკასის ფოტოხელოვნათა პირველი გაერთიანებული გამოფენა. იგი მოეწყო 1969 წელს თბილისში, ბაქოსა და ერევანში და დიდი წარმატება ჰქონდა. საქართველოს ფოტოკლუბი წარმატებით მონაწილეობდა აგრეთვე საკავშირო ფოტოფესტივალში „სსრკ-55“, საერთაშორისო გამოფენებზე და ჩვენს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში (რიგა, ვილნიუსი, ტალინი, ბაქო, ერევანი, ლეოვი, ალმა-ათა და სხვ.) მოწყობილ ექსპოზიციებზე.


მაღალი შეფასება დაიმსახურა სპეციალურმა სააფგანიშო გამოფენამ „საქართველოს მოტივები“, რომელიც 1977 წელს ჯერ კურორტ ბიჭვინთაში, შემდეგ კი მოსკოვში გაიმართა.

კლუბმა მრავალი ჯილდო მოიპოვა, მათ შორის ფოტოხელოვნების საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალური პრიზები და მედლები.

ქართულ ფოტოხელოვნებას გაეცნენ მრავალი აოციალისტური ქვეყნის ფოტომოყვარულები. ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთსა და იუგოსლავიაში მოეწყო ქართული ფოტოხელოვნების სიმონ კილაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

ფოტოკლუბმა „საქართველომ“ მრავალი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა, საკავშირო ფოტოკონკურსებსა და ფოტოგამოფენებზე. ჩვენს ქვეყანაში პირველად მან მოიპოვა სპეციალური პრემია გაზეთ „პრავედის“ მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ფოტოკონკურსზე. იგი არის საკავშირო ფოტოკონკურსის, სოციალისტური ქვეყნების, ცენტრალური ტელევიზიის ფოტო-კონკურსის პრიზიორი.

ხალხური შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალის მომზადებაში ნაყოფიერი ორგანიზაციული და შემოქმედებითი წვლილისათვის, ფოტოხელოვნების პროპაგანდის საქმეში დამახარებისა და საუკეთესო საკლუბო მუშაობისათვის




ბ. კვარიაშვილი

ნატურმორტი

# ფოტოკლუბი „საქართველო“ ათი წლისაა

ვ. კუჩინი

პატარა მოზანავე





ს. კილაძე

ვანო პაპა

ფოტოკლუბმა „საქართველომ“ ფესტივალის კლასიკურ ეტაპის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა. ლურჯატის წოდება მიენიჭათ და ოქროს მედალით დაჯილდოვდნენ ფოტოკლუბის დამაარსებელი და თავმჯდომარე სიმონ კილაძე და გამგეობის წევრი ზურაბ დათუაშვილი. ფოტოკლუბის წევრები მ. თათარიშვილი, დ. ლომაძე, ნ. სარდლიშვილი, ბ. დათუაშვილი, მ. როსტომაშვილი, ს. შენგელაია და სხვები ფესტივალის საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ათი წლის მანძილზე ფოტოკლუბ „საქართველოს“ ფოტომოყვარულებიდან მრავალი დახელოვნდა და პროფესიული ფოტოსტატის გახდა. მათ ვაღასაჩინო წვლილი შეაქვთ ქართული ფოტოხელოვნებისა და ფოტოჟურნალისტიკის განვითარებაში. დამსახურებული აღიარებით სარგებლობენ ფოტოსტატები: ა. სააკოვი, ა. რუხაძე, მ. დათიკაშვილი, ა. მამულავი, გ. ნახუცრიშვილი, ს. ედიშერაშვილი, დ. ლომაძე, ს. ჭანტურია, ბ. კეკელიძე, რ. რუხიანი და სხვ.

თავისი არსებობის ათი წლისთავს კლუბი აღნიშნავს საინტერესო ფოტოგამოფენებით. მათ შორის პირველია „მოსკოვი-თბილისი“, რომელიც გამოცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში გაიმართა. მოსკოვის საოლქო ფოტოკლუბთან ერთობლრგად გამართულმა ამ გამოფენამ კვლავ ნათელყო ქართველ ფოტოხელოვანთა მზარდი ოსტატობა, ნამუშევრების ღრმა იდეური და ეროვნული შინაარსი, პორტრეტების, პეიზაჟების, ჟანრული და რეპორტაჟული, რთული ექსპერიმენტული ფოტოგრაფიის მაღალმხატვრულობა.

მ. თათარიშვილი

ხოროში





# ჩეოქოველი თანამედროვეობა და კლასიკის პერსონაჟი სულიკვათაბა

წერილი შირაძე

ნოდარ გურაბანიძე

1924 წელს ჟურნალ „ხელოვნების დროში“ კ. მარჯანიშვილი გამომკვეყნა „დეკლარაცია“ მიმართული ქართველი მხატვრების, პოეტების, მხატვრების, მოქანდაკეებისა და მუსიკოსებისადმი. ეს მოკლე და მძაფრი დეკლარაცია შრავლისმეტყველი ისტორიულ-მხატვრული დოკუმენტია, რომელშიც მკვეთრად გამოხატული კ. მარჯანიშვილის აქტიური პოზიცია და მისი დამოკიდებულება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების მიმართ. დეკლარაციის პათოსი პოლიტიკური სულისკვეთებითაა გაშვებული, რადგან იგი არის დაუფარავი მძაფრი რეაქცია, შემორჩენილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მიმართ, რომლის ძირითადი ფორმულა იყო — ვითომცდა ქართველი ფიციონიზმის შენარჩუნების მიზნით, ქართველი ჩარჩოებით შე-

მოზღუდა, რაც არსებითად სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთგვარი სულიერი პანოტიკუმის შექმნა, ქართული ხელოვნებისა და სულიერი კულტურის განვითარების მოწყვეტა, იზოლირება რევოლუციური გარდაქმნებისაგან და მსოფლიო პროგრესული ხელოვნებისაგან. კ. მარჯანიშვილი ორმხრივი კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა — ერთის მხრივ, მის სარეპერტუარო პოლიტიკას და თეატრის მიერ აღებულ კურსს თავს ეხსმოდნენ ნაციონალისტური, პატრიოტული, ეროვნული სუვერენიტეტის ნიღბით შემოსილნი, მეორეს მხრივ, იგი პროლეტკულტის პათეტიკური შემახილებისა და ყიფინის სამიზნე გახდა. განსაკუთრებით პროლეტკულტის იმ ფრთისა, რომელიც უარყოფდა მსოფლიო კლასიკურ კულტურას, საერთოდ კულტურულ მემკვიდრეობას და რევოლუციურ ნახტომს მოითხოვდა ხელოვნებაში. ამ ბრძოლების შუა პერიოდში მიმდინარეობს სწორედ „კამლუტის“ რეპეტიციები, პირველებს მან პასუხი გასცა თავისი „დეკლარაციით“, მეორეთ კი ასევე მძაფრი პოლემიკური წერილი ეცადა გასწორებოდა (მხედველობაში მაქვს მისი სტატია „ჩვენი quasi თანამედროვე კრიტიკოსები“, რომელიც მაშინ არ დაბეჭდილა). კონფორტაციის ორივე ფრთას კი თავისი შესანიშნავი სპექტაკლით „კამლუტი“ — გაუსწორდა საბოლოოდ. „დეკლარაციაში“, როგორც ითქვამს, პოლიტიკური პათოსია წამყვანი. ჩვენ თითქოსდა პოლიტიკური ბრძოლების მიღმა ვდგავართო — აცხადებდა კ. მარჯანიშვილი, მაგრამ ახლა დადგა დრო, როცა უნდა გადავხედოთ ამ „თითქოსდას“. ცხოვრების კონფორტების, წინააღმდეგობების, ბრძოლის მიმართ პასიური პოზიციის დაკავება ნიშნავს სიკვდილს, გამყინვარებას, მრავალი სულიერი ღირებულების, მათ შორის ხელოვნების ეროვნული სახის საბედისწევრო სიკვდილს. ჩვენთვის, ხელოვნების მუშაკებისათვის, კულტურის მშენებლებისათვის უმთავრესია ახლავე — ამ რთულ მომენტში, ნათელი გაგხადოთ ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილისადმი და დაედგეთ მათ გვერდით ვინც ახალ ცხოვრებას აშენებს და არა ჩვენი საზოგადოების იმ ბრმა ნაწილთან, ვინც შეეცდება ჩვენ „მოღალატეებად“ და „გამცემლებად“ მოგვანათლოს.

„ახალმა, დიადმა იდეებმა შემტრეს მსოფლიო. დიდი ცოდვა იქნება ზედაყვამობილი კულტურისა და ნაციონალური ხელოვნების წინააღმდეგ არსებობა, რომელიც ჩვენს ვიწრო ნაჭურჭელში, პაწაწაწინებულ სამყაროში და სინამდვილისთვის გავუწოთ წინააღმდეგობა.“

მივხედოვებ ვანსად და სიციცხლისმოყვარულ ახალგაზრდობას ბოლო მოუღოს სახემოდებულ მემწანობას, აუხდენელ ოცნებათა გამო ოხურა-ვაებას, თამამად მოკიდოს ხელი ახალი ხელოვნების ორგანიზაციას, შეუთავსოს იგი პოლიტიკურ აღმშენებლობას და ნაციონალურ ნიადაგზე განამტკიცოს საერთო საკაცობრიო კულტურა.<sup>18</sup>

რადღუნ უცნაურადაც არ უნდა გვეჭვინოს, სპექტაკლი „კამლუტი“ სწორედ ამ პოლიტიკური კრების მხატვრული რეალიზაციაა. მართლაც, 1924 წლის ნაციონალისტურმა პუტჩმა ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა ახალგაზრდა ინტელექტუალის იმ ნაწილში, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი იდეურ-პოლიტიკური მრწამსი, გარ-

\* ვაგრიტელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 4, 1977 წ. № 5, 1978 წ.

კველი ამ იყო რევოლუციურ გარდაქმნათა სირთულეში და შინაგან მარცხობას განიცდიდა. ეს, რთული მომენტი მშვენიერად იგრძნო კ. მარჯანიშვილმა, მომენტი ისტორიის განავარაუდინსე ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენციის შეუფენებისა და მან თავის მოქალაქობრივ ვალად მიიჩნია მიემართა დეკლარაციის მთელი „კულტურული ფორმისათვის“, რადგან მას, რუსეთის რევოლუციის, ოქტომბრის იდეებს ნაზიარებს, ამის სრული უზნებრივი უფლება ჰქონდა. მაგრამ, კ. მარჯანიშვილი იყო არა პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც შეუძლია ამგვარი დეკლარაციებით გამოსვლა, არამედ დიდი ხელოვანი და მისგან ახალი საქართველო ამ დეკლარაციას კი არ ელდა, არამედ სპექტაკლს, სადაც „ნაციონალური ნიადაგზე განმტკიცებული ოქნობადა საერთო საკაცობრიო კულტურა“, სადაც ვიყოფიერდა „დამოკიდებულება სინამდვილისადმი“ და ნაჩვენები იქნებოდა „ჯანსაღი და სიცოცხლისმოყვარული ახალგაზრდობა“, დაპირისპირებული შემწიანობას, ცხოვრების აუხდენელი ოცნების გამო ამაო ოხურას. მისი პოზიციის სიმტკიცე და სიცხადე გამოვლინდა აგრეთვე კორპორაცია „დურუკის“ ჩამოყალიბების, მისი მანიფესტის გამო ამტყდარ ცხარე კონფლიქტში, რომელსაც, — თუ არსებითად შევხვდებით საქმის ვითარებას, ერთგვარად შეფარული პოლიტიკურ-იდეური სარჩულიც კი ედო. ხელოვნებისა და კულტურის მშენებლობის ახალი პრინციპებისთვის ბრძოლა, ხელოვნებისა და კულტურის მშენებლების ახალი პრინციპების დამკვიდრება გამოძიხილი იყო საზოგადოების წიაღში მიმდინარე მძაფრი კონფლიქტებისა — საერთოდ „ახლისა“ და „ძველის“ ბრძოლის ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტისა. კ. მარჯანიშვილმა კორპორაცია „დურუკის“ მოღვაწეობაში დაინახა რევოლუციური მარცვალი, დაინახა ის, რასაც თვით მოუწოდებდა ქართველ ინტელიგენციას თავის „დეკლარაციასში“ („მოვეწოდებ ჯანსაღ და სიცოცხლის მოყვარულ ახალგაზრდობას... თამამად მოპკიდებს ხელი ახალი ხელოვნების ორგანიზაციას, შეუთავსოს იგი პოლიტიკურ დამშენებლობას...“), თუმცა, თავიდანვე განიზობდა „დურუკის“ საქმიანობის ნაკლოვან მხარეებსაც, მიიჩნეოდა თამამად, საჯაროდ დაუჭირა მას მხარი გახ. „ქართული სიტყვაში“ გამოქვეყნებული სტატიით „ქართული თეატრის ირველი“. ახლა ნათელია, რომ ამ პოზიციით იგი აშკარად გაემიჯნა ქართული ინტელიგენციის რუტინიორთა და ტრადიციონალისტთა წარმომადგენლებს.

ამგვარად, არჩევანი „ჰამლეტისა“, როგორც კიდევ ვნახათ, ნაკარანხვეი იყო საზოგადოებრივი, მხატვრულ-პოლიტიკური, იდეურ-ზნეობრივი მოსაზრებებით, საქართველოს სპეციფიური ვითარების მთელი კომპლექსით. ეს არჩევანი ითვალისწინებდა ქვეყნის ახალ პოლიტიკურ ვითარებას (როგორც თავის დროზე „ცხვრის წყაროს“ დადგმა), თვით ქართული თეატრის წინაშე მდგარ მხატვრულ და საზოგადოებრივ პრობლემებს. აკ. ვასაძე თავის მოგონებათა წიგნში „ჰამლეტის“ დადგმის გამო წერს:

„...მას რომ არ ეპოვნა ამ როლის საიმედო შესრულებელი ჩვენს კოლექტივში, „ჰამლეტს“ დადგმას ხელს არ მო-

კიდებდა, მითუმეტეს 1925 წლის სეზონში, როდესაც სათეატრო ხელოვნების მიერ კლასიკური მემკვიდრეობის ათვისება ჯერ კიდევ სადისკუსიო საკითხად მიანდა ოფიციალურ საბჭოთა კრიტიკას“ (გვ. 190). („როგორ? — უკეთებნდა კ. მარჯანიშვილს საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რ. კლაძე, — პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის შორის ნუთუ არ მოვეპოვებთ ისეთი ძალები, რომლებიც შექმნიან თავის რევოლუციურ-კლასობრივ ლიტერატურასა და თეატრს?!“)

„მარჯანიშვილი ყოველთვის, — წერდა უ. ჩხეიძე, — ეპოქასთან ერთად მიიპყრებდა და ამის გამო ის დადგმობილასიკურ პიესებში ყველგან იყო ანარქული თანადროულთან, მას არ შეეძლო ყოფილიყო პასიური რესტაურატორი ამ ამსახველი რომელიმე კლასიკოსის და მისი ეპოქისა. მას ყოველთვის ახასიათებდა აქტიური დამოკიდებულება როგორც თანამედროვე, ისე წარსული ცხოვრებისადმი“ (გვ. 133).

სწორედ თანამედროვე ცხოვრებისადმი, მისი მწვევე პრობლემისადმი აქტიური დამოკიდებულების შედეგი იყო რუსთაველის თეატრის სცენაზე 1925 წელს განხორციელებული „ჰამლეტი“, რომელიც ახალ სიტყვას წარმოადგენდა ამ დიდ ტრაგედიის ახლებურ ინტერპრეტაციაში საბჭოთა თეატრის სცენაზე. აღსანიშნავია, რომ ერთი წლით ადრე გენიალურმა ჩ ჩხეიძემ ასევე თავისებურად, ღრმად და ორიგინალურად წაიკითხა ჰამლეტი. მისი შესრულებით წინა პლანზე გამოვიდა ადრთა კავშირის რღვევის ტრაგედია. ცნობილი რუსი თეატრმეოდიის პ. მარკოვის გამოთქმით აქ „გამატონებული იყო „დარღვეული სამყაროს შეგრანებები“. თუმცა მისი ჰამლეტი თავისუფალი იყო უნებისყოფი მსჯელობებისგან, მაგრამ ა. ლუნაჩარსკის მოწმობით:

...«Этo страшно нервная натура, до такой степени надломленная, что нас несколько не удивляет ни появление Тень, ни слова, которые будто бы говорит Тень, которые Гамлет сам себе говорит. Это его предчувствия воплощаются в видения. Он галлюцинирует потому, что разум его накренился»<sup>12</sup>.

ა. ფერარსკი, ავტორი წიგნისა „რუსთაველის სახელობის თეატრი“ ძირითადად სწორად და საფუძვლიანად აანალიზებს კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ „ჰამლეტს“, მაგრამ აქვე გვთავაზობს ისეთ მოსაზრებას, რომელიც, ჩვენთვის აზრით, აშკარად არღვევს მის საერთო მსჯელობას და არ შეესაბამება არათუ კონტრეტულად ამ დადგმას, არამედ, საერთოდ, კ. მარჯანიშვილის კლასიკურ დრამატურაზე შექმნილი სპექტაკლების ხასიათსა და მიმართულებას:

«Спектакль театра имени Руставели был проникнут оптимистическим мироощущением, Марджанишвили и его сотрудники удалось пронести через тягостные перипетии трагедии высокое чувство веры в человека. На первый план выступил гуманизм Шекспира — самое драгоценное для советского человека в творчестве величайшего поэта возрождения. Однако Марджанишвили не учел того, что этот гуманизм все же был исторически ограниченным и что образ

Шекспира, выражаясь словами самого драматурга, присуши «форма и отпечаток своего времени»<sup>20</sup>.

ამ მოსაზრებად გამომდინარეობს მხოლოდ ერთი დასკვნა, — სახელმძღვანელო, — რომ კ. მარჯანიშვილმა ვერ შესძლო გაერღვა „ისტორიულად შეზღუდული ჭეშინჯის“ სამყარო, დარჩა რენესანსული ეპოქის საზღვრებში და პამლეტის ტრაგედია, მისი ფილოსოფია არ აღმოჩნდა ოციანი წლების საბჭოური სინამდვილის თანახმად; ეს თუ ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოური არქიტონიზმით აღბეჭდილია და, ამდენად, იმდროინდელი მაცურებლისათვის გაუგებარი იყო.

სინამდვილეში კი სულ სხვა სურათი გვაქვს: „პამლეტი“ ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე საბჭოური იყო, მთელი თავისი სამყაროთი — გააზრებით, ფილოსოფიით, ეთიკური იდეალებისადმი ერთგულებით და თანამედროვე ეპოქის შესაბამისი ჭეშინჯით. უფრო მეტი — იგი რეალუკებით განახლებული ქვეყანა, ახალი ადამიანების სრულსკვეთების გამოშვებელი იყო. პამლეტისა და კლავდიუსის ბრძოლა, შეუარაგებელი კონფლიქტი არ იყო მხოლოდ პერსონიფიკირებული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, არც მხოლოდ პამლეტის შურისგება მოისპყლეულ კლავდიუსზე; თავის მხრივ, არც კლავდიუსი იბრძოდა გვირგვინის, ტახტისა და პატივების სარკველის შენარჩუნებისათვის, თუმცა, თავდაპირველად, ამან მისცა იმპულსი მის საქციელს. კ. მარჯანიშვილის გააზრებით ეს იყო ბრძოლა პამლეტის ახალ, ნათელ სამყაროსა და კლავდიუსის ძველ, ბნელ სამყაროს შორის. ეს იყო ძლიერი სულის, უმწიკველ ჭაბუკის ძალთახმევა ახალი ქვეყნის ასაშენებლად, ახალი იდეალების, ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობის დასამყარებლად. ამგვარად, საბჭოურ საფუძველად ედო იდეათა ბრძოლაც (ცხადია, იგულისხმება ხასიათების ბუნებრივი კონფლიქტი), სადაც გარკვეული იყო როგორც წინააღმდეგობის განლაგება, ასევე საზღვრები ამ სამყაროთა შორის. საბჭოურში ნაწევრებ ამგვარ ბრძოლას კიდევ უფრო ამძაფრებდა მაცურებელი დაბაზის რეაქცია, რომელიც პამლეტში ხედავდა თავისი იდეალების კონკრეტულ გამოხატულებას, ახალგაზრდა ინტელიგენციის დიდ ნაწილი კი — თავისი ღრმა ფიქრის, შინაგანი, დაძაბული ცხოვრების, კონფლიქტის სიტუაციის ერთგვარ პროექციას... მხედველობაში მყავს ახალგაზრდა ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ღრმად გარკვეული ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში და შინაგანად მერყეობდა. რ. ჩხეიძე იცინებდა: „ეს ის დრო იყო, როდესაც ქართველმა ინტელიგენციამ ძველი დაძაბულობა, მაგრამ ახალი ჯერ სახეებით არ ჰქონდა მიღებული და ერთგვარ მერყეობას განიცდიდა. თვითონ ჩემში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც დამახასიათებელი იყო მაშინდელი ინტელიგენციის განწყობილებისათვის. რადგან მე თვითონ ამ ინტელიგენციის ნაწილის შვიდიგენდი და, რასაკვირველია, ჩემი განწყობილება, ჩემად უნებლიედ, უსაუთოდ ერთგვარ გეგულვას ახდენდა ჩემს პამლეტზე“<sup>21</sup>.

ახალი და ძველი სამყაროს ბრძოლა კ. მარჯანიშვილმა კიდევ უფრო მაკალიერა კლავდიუსის სახის ღრმა და ორიგინალური გააზრებით.

ჯერ თვით პამლეტზე ვილაპარაკოთ.

„მე მინდა შენი პამლეტი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი იყოს“ — ეუბნებოდა კ. მარჯანიშვილი რ. ჩხეიძეს. „და-

მიანური უნდა იყოს ყველაფერი, არჩილიდან დაწყებული პამლეტამდე. ყველანი ცოცხალი ადამიანები უნდა იყვნენ“<sup>22</sup>. შინაგანად კ. მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრის დასს. „პამლეტი უარესად წმინდა ადამიანია, ადამიანები სინდისის განსახიერება, რომელიც მოკალობგულ წრეში მოხდა და მოწამებობრივად იტანება, მაგრამ, როდესაც, უმადლესი მსახურის — თავისი სინდისის მოვებით ბოლომდე შეიცონის მის გარშემო არსებულ სიბინძურეს, ებრძვის ამ ჭეშქას, ამ სიღამებულს, ჭაობს და ამოაშრობს კიდევ, ოღონდ სპეციალური სიციხის ხარჯზე“<sup>23</sup>.

კ. მარჯანიშვილისა და უ. ჩხეიძისათვის აბსოლუტურად იყო მოხსნილი საკითხი პამლეტის თეატრალიზებული ბუნების შესახებ. პამლეტის მისტიფიკაცია — შემოილი ადამიანის ნიღბის ტარება — სხვა მნიშვნელობის ქვეტექსტს შეიცავდა — პამლეტი წინააღმდეგ იმდენად სრულქმნილი პიროვნებაა, იმდენად მაღალია მისი აზრები და ცხოვრების ფილოსოფიური ახსნა — რომ ეს თავისთავად უკვე შეიცავს „დანი-საპრობოლუს“ მიმართ კონფლიქტს, მაგრამ შინაგანი მეორეა — თავისი აბსოლუტულობის გამო იგი გარშემოწყოფთ — ადვილი შესაძლოა — შემოილიად მოსვენებულად არსებითად, ამგვარ პამლეტს არ სჭირდება შემოილის თამაში, სულერიანა, მას მაინც გიჟად მიჩნევენდნენ სხვები... იგი მათთვის აუხსნელი მოვლენაა, გამოუჩინარი აზრება, მათვე მტრულად მიმართული და სანამ თვით მოვიდოდეს გონს და გაეანადგურებდეს, მანამდე უნდა მოისპოს. ამგვარი გააზრება ტრაგედიისა, ცხადია, ცხოვლად ეხმაურებოდა იმდროინდელი ცხოვრების მდლვარე საკითხებს.

ახლა კლავდიუსის გამო.

კლავდიუსი — ავაკი ვასაძის შესრულებით, სრულიადეკ არ იყო თიროზური ფიგურა. ენერჯული, სიცოცხლისმიყვარული, პატივრებადანი ვნებით გამსჭვალული ძლიერი მამაკაცი იყო იგი. მხოლოდ ასეთ კაცს შეეძლო ეგრძნო პამლეტის ძალა და შინაგანი, ფარული მამანსწრაფვა. სხვებისათვის პამლეტი შემოილი იყო, კლავდიუსი კი, თუმც სხვებს ვეჯრს უკრავდა, გულის სიღრმეში ღრმად იყო დაჩაწეული პამლეტის სრულქმნილი გონიერებაში. „კლავდიუსის სახეში აქცენტირებული იყო ბოროტების ტრაგიკულობა პამლეტის სიკეთის ტრაგიკულობასთან ტოლფასოვანი შეპირისპირებით. კლავდიუსი ტრაგიკულად განაცხადდა თავის ბოროტებას“ — იგონებს აკ. ვასაძე (გვ. 197). ამგვარად, კ. მარჯანიშვილის მიერ ასახული სამყარო ისტორიის გზაჯარინდნებ, გარდაცემის მიჯნაზე იდგა. სიტუაცია უღრმესად კონფლიქტურია — მისი ფხნალი — უმეწლად ტრაგიკული. ამ სამკვერთ-სასიცოცხლო ბრძოლაში ამ ძველმა სამყარომ უნდა განიმტკიცოს, გაისანგრძლივოს არსებობა სიკეთის, სამართლიანობის (რომელსაც ასასიერებს პამლეტი) დამხობის ხარჯზე ან კავთმოყვარობაზე, მაღალ წინააღმდეგობაზე აღმოცენებულმა ახალმა სამყარომ უნდა შემუსროს ძველი, ძალადობრივი, მძათაპყლელობაზე, მრუშობაზე აგებული სამყარო (რომლის ხატია კლავდიუსი); აქ იყო „მოვალეობის, თავგანწირვის ტრაგედია“... „და პამლეტი აუჯანყდა არსებულ სამყაროს, რომელსაც მან შურგი აქცია“ (უ. ჩხეიძე).

ამგვარად, რეჟისორის გააზრებით, „ღრთოთ კავშირს“ არღვევს პამლეტი, იგია პირველი, ვინც სიტყვით და მახვილით დაუპირისპირდა კლავდიუსის მოვლ სამყაროს. პამლეტის ისტორიული მისიაა მის მიერვე დარღვეული ღრთო



კავშირი შეკრას, გასწავლილი სამყარო შეაერთოს. ეს მისია მის ჭაბუკურ სულს ფიქრითა და ეჭვებით ავსებს — შესაძლებს კი იგი თავისი მართალი მახვილით გააკვეთოს ბიჭყურების მცარი მატერიალობა და განანდლებული სულისკვეთებისათვის გზების გახსნა? ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა საქმეტაღის ერთ-ერთი უძლიერესი სცენა, სავსე ფსიქოლოგიური, ემოციური და გონებრივი დაძაბულობით ეს სცენა ე. მარჯანიშვილის ნაოლეი ნიჭის, ნაწარმოებში ღრმად წვდომის ნაშთშია. მან თავისი მონტაჟით, კამლეტის მონოლოგის განმარტვლებით, შექმნა სცენა (მეორე მოქმედებაში), რომელიც კამლეტის ცხოვრებაში გარდატეხის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ.

აზრიდან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ კამლეტე უჩვეულებით იპყრობს მოქმედების სურვილი. ე. მარჯანიშვილი, რომელიც, დროის სულისკვეთების შესაბამისად, ცდილობს წინ წამოსწიოს კამლეტის ქმედითი საწყისი, სულიერი შეზარბების, გმირული პათოსი, დამნიჭური სცენების მონტაჟით ქმნის შინაგანად დაძაბულ, კონფლიქტური სიტუაციის, სადაც სრულად გამოვლინდება კამლეტის მებრძოლი ბუნება. („...მარჯანიშვილის საქმეტაღში, რომელიც სხვა ეპოქაში შეიქმნა, სინთეზი მიღწეული იყო. გმირული, ვაჟაკური საწყისი დროის სულისკვეთების ნიშნავივტი გახდა. დრო ძალიან და ვაჟაკობის დამკვიდრებას ხელოვნებისგანაც მოითხოვდა“; წერს თავის წიგნში „კოტე მარჯანიშვილი“ — ეთერ გუგუშვილი (გვ. 389).

რეჟისორის მიერ შექმნილი მძაფრი კონფლიქტური სიტუაციებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ორი სცენა „სამლოცველოში“ და „ხაფანგში“.

ორი მუხრიგებელი ძალა, ორი ურთიერთგამომრიცხავი საწყისი ე. მარჯანიშვილმა შეახვედრა სამლოცველოში, სადაც მიდის კამლეტი სანუკვარი ფიქრების ხმაბლად წარმოთქმისათვის, ყოფიერების არსზე დაფიქრებულ. აქვე მოდის კლავდიუსი ტანჯული სულს აღსაფრთხისათვის. ორივეს აქ სურს სულიერი სიმშვიდის მოპოვება — ერთს წმინდა ფიქრების გამარტვებით, მეორეს — კაენის ცოდვის გამხველით ღღის უნდობის მიღება. მაგრამ მათი შეხვედრა ორივეს საბოლოოდ აღძრავს ერთი მიზნისაკენ — მოწინააღმდეგე უნდა მოისპოს. ერთს სიმართლის, შურისგების წმინდა მახვილი უყვარს, მეორეს — ძმის სისხლში გახვრილი სხელით კამლეტის მოშობა სურს ეს ფსიქოლოგიური დღელი კამლეტის გამარტვებით მოაფრება, სასაწარმოველით, მოახლოებული შურისგებისგან ცხოველური შიშით ატანელი კლავდიუსი პირველი სტოვებს ასპარეზს. ამავე სცენაში (მესამე მოქმედებად მეთორეში) გადმოიტანა ე. მარჯანიშვილმა, როგორც კამლეტის მონოლოგი „ყოფნა-არყოფნა“ ასევე კლავდიუსის ლოცვა.

„თუ მსაჯულს (კამლეტს) განაჩენის გამოტანის ფიქრებში, მთელი ღამე თვალად არ მოხუტავს, დანაშაუვებს (კლავდიუსს) კოშმარად არ ასვენებს იმავე ღამეს. რეჟისორმა ისინი დაზღვევლილი შეაფთვა ერთმანეთს, რადგან უწინდესი მონამართლე — კამლეტი, განაჩენის ბრძანდმსრულებელი როლიან ის არც თვალთმაქობს და არც სივთებს იგონებს ეს ძალიან დაკინებდა ყოვლის სიკეთით აღსავსე პიროვნებას, საშინელი ბოროტმოქმედებით შეტრწუნებულ მის სულს; უნდა დასტოვო მისი სარწმუნოებაცნავე. გვაქვს თუ არა უფლება დანის დარტყმას დანის დატყმით უუპასუხოთ?... განა შეიძლება კამლეტმა უნაჩინეი დასრულებული მართოდუნდ

